ქსენია სიხარულიძე

ხალხური ზღაპრები

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი
ბავშვთა და ახალგაზრდობის
ლიტგამომცემლობა
თბილისი 1938

დათვი, მგელი და მელია

ათვი, მგელი და მელია შეხვდნენ ერთმანეთს და შესჩივლეს — ხშირად დიდის ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმებაო. მოდი, დავძმობილდეთ და ამიერიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეჰფიცეს ერთმანეთისათვის არ ელალატნათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროდ. იმათ ილბალზე, დაჭრილი ირმის ნუკრი ნახეს, კისერი მოუგრიხეს, ჩერო[1] მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმშილით კბილები უკაწკაწებდა, აბა, გაჰყავიო.

მგელმა თქვა: თავი, შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, შუატანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული უყვარსო. ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, როდესაც დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში წინა თათი, რომ მთებმა ბანი მისცეს. მგელი ყმუილით განზე დაჯდა.

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა: აბა, ჩემო მელიავ, შენ გაჰყავიო.

---

[1] ჩერო — მცირე ჩრდილი.

ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოთქვა: თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუატანი შენ, რადგანაც შენ ჩვენ-ზე მარად მამობრივადა ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაი-დან ჩვენ საკეთილდღეოდ არიან წარმართულნი სვლანი შენნი.

—ბარაქალა, ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვი-ანური გაყოფა?—ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო: შენ, რომ წელან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო.

ღათვი და მელია

ყო ერთი გლეხიკაცი, ჰყავდა ერთი ქალი. გლეხი ცხვრის ფარას აძოვებდა, ქალი კი—ბატკნებს.

ერთ დღეს ქალმა შეჯგუფული ბატკნები ველარ გაშალა, დაჯდა და დაიწყო ტირილი. მოცუნცულდა ერთი მელია ქალთან და ჰკითხა:

— რა გატირებს, ქალო, რა დაგემართაო?

— ბატკანი შემიჯგუფდა და ვერაფერი მოვუხერხეო.

— თუ ერთ ბატკანს მაჩუქებ, მე გავშლიო.

— მოგცემო,—უთხრა ქალმა.

მელია შეევარდა ბატკნებში და დაიწყო აქეთ-იქით კუდის ქნევა. ბატკნები დაფრთხნენ და დაიშალნენ.

მელიამ წამოიყვანა ერთი ბატკანი, სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა.

მელიას ძალიან შეუყვარდა ბეკეკა, იშვილა, გაუკეთა ერთი სახლი და ჰყავდა შიგ. ბალახს მუდამ პირით უზიდავდა. საღამოზე, როცა ბრუნდებოდა პირში ბალახით, შეყოფდა თავს კარებში და ბატკანს დაუძახებდა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია,
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ბატკანიც გაიგონებდა ამ სიტყვებს, დაინახავდა მელიას პატარა თათს და გაუღებდა კარებს, შევიდოდა მელია სახლში და ეთამაშებოდა თავის პატარა ბეკეკას.

იქვე ახლოს დათვი ბუდობდა. შენიშნა მელიას ბეკეკა ჰყავსო და გადაწყიტა როგორმე შეეჭამა. დაუდარაჯა დათვმა მელიას, როცა საღამოზე შინ ბრუნდებოდა და დაიმახსოვრა ის სიტყვები, რასაც მელია ბეკეკას უძახოდა.

ერთხელ, როცა მელია სხვაგან იყო წასული, მივიდა დათვი ბატკნის სახლთან, შეეყო თავისი ბანჯგვლიანი თათი და ბოხი ხმით დაიძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია,
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ეუცხოვა ბატკანს ხმა, შეხედა დიდ თათს, იცნო დათვი და დაუძახა:

— წადი, მე ჩემი დედობილის თათს კარგად ვიცნობ, შენ ის არა ხარ, იმას პატარა თათი აქვს და შენ დიდიო.

გაწბილებული დათვი ტყეში წავიდა. ბატკნის შეჭმის სურვილი არ ასვენებდა. ტყეში ცეცხლი დაინახა, მწყემსებს დაენთოთ. მივიდა, ამოითხუპნა ნაცარში, გაიტრუსა თათი და ისევ ბატკნისაკენ გაეშურა. მივიდა კარებთან, შეეყო გატრუსული თათი ჭუჭრუტანაში და წვრილი ხმით დაიძახა:

ბეკეკო, კარი გამიღე,
მე დედაშენი ვარია,
პირში ბალახი მიჭირავს,
ძუძუებში რძე არია.

ბატკანს თავისი დედობილი ეგონა და კარი გაუღო. შევიდა დათვი სახლში, მაგრამ მაშინვე არ შეჭამა ბატკანი, უნდოდა რაიმე მიზეზი ეშოვნა. გადაგორდ-გადმოგორდა ბატკნის წინ, დააბოყინა და თქვა:

— ბეკეკოს მამასაო.

— დათვის მამასაო,—უპასუხა ბატკანმა.

— სუ, ბეკეკო, თორემ შეგჭამო,— დაემუქრა დათვი.

— ფეხებსაც კი ვერ მომჭამო,—უპასუხა ბატკანმა.

კიდევ გადაგორდ-გადმოგორდა დათვი, დააბოყინა და თქვა:

— ბეკეკას მამასაო.

— დათვის მამასაო,—შეუბრუნა სიტყვა ბატკანმა.

— სუ, ბეკეკო, თორემ შეგჭამო,—კიდევ დაემუქრა დათვმა.

— ფეხებსაც ვერ მომჭამო—უთხრა ბატკანმა.

დათვმა დაიჭირა ბატკანი და ნახევარი შეჭამა, რადგან მელიასი ეშინოდა და ნახევარი შეუნახა.

მოვიდა მელია, ნახა დათვი სახლში და მიხვდა, რაც მოხდებოდა.

— ძმისწულო, გამაჯავრა ბატკანმა და შევჭამე, ნახევარი კი შენ შეგინახეო.

— მადლობელი ვარ ბიძავ, ბატკნის ხორცს არა ვჭამ, ჩემი საჭმელი ქათამი და თაგვია, მეორე ნახევარიც შენ მიირთვიო, — ეშმაკურად მიუგო მელიამ.

დათვს გაეხარდა და მეორე ნახევარიც შეჭამა.

— ბიძავ, აქ ახლოს ქორწილია, წავიდეთ იქ, ერთი ნასუქი დეკეულია; შევიდეთ ბოსელში და მივირთვათ, მთვრალი მაყრები ვერაფერს გაიგებენ და შეგვრჩებაო, — უთხრა დათვს მელიამ.

— წავიდეთო, — მიუგო გახარებულმა დათვმა.

მართლაც წავიდნენ. შევიდნენ ბოსელში, დაკლეს ერთი მსუქანი დეკეული; მიაძღა დათვი.

მელიამ უთხრა დათვს:

— მე ხმა ჩამიწყდა, შენ ბოხი ხმა გაქვს და, მოდი, ერთი მაყრული შემოსძახეო.

დაუჯერა დათვმა და თავისებურად დაიღრიალა. მაყრებმა გაიგონეს დათვის ღრიალი, გამოცვივდნენ გარეთ. მელიამ ფხაჭა გაადინა კარების ძირიდან და თავს უშვყლა.

დათვი დაიჭირეს, ბევრი სცემეს და ტყავი გააძრეს. ბოლოს, როგორც იყო, გაიქცა ტყავგამძვრალი.

დათვი ძალიან გაბრაზებული იყო მელიაზე. უნდოდა ჯავრი ამოეყარა და წავიდა მის საძებრად. დაინახა ერთ გორაზე, ეკლის ჯაგთან იჯდა, და მისკენ გაეშურა. მელიამ დაინახა დათვი, თითქოს ვერ იცნოო და პირი მოარიდა.

დათვმა დაუძახა:

— დამიცადე მანდ მოვიდეო.

ველიამ დაიძახა:

— ხმა ჩემი ბიძისაა, მაგრამ ეს წითელ-ყვითელი ჩასაცმელი კი მისი არ არისო.

დათვი გამოუდგა მელიას დასაჭერად. მელია ჯაგებში და ეკლების ძირში ძვრებოდა, კუდს დათვს მიუშვერდა, რომ შეეტყუებინა ჯაგებში, მიჰყვებოდა დათვიც, იკაწრებოდა, სდიოდა სისხლი და ყვიროდა. ამგვარად კარგახანს ატარა მელიამ ჯაგებში დათვი. ბოლოს დაუძახა:

— ბიძავ, ოღონდ ნუ მაწვალებ და მე თითონ მოგარჩენო.

— როგორ? — შეეკითხა დათვი.

— როგორა და იმ გორაზე მწყემსებია, ისინი მიშველიან; შენ წადი, სახნის-საკვეთი მოიტანე, გავახურებ, დაგდალავ და მორჩებიო.

დათვი წავიდა, მოიპარა სახნის-საკვეთი და მელიას მიუტანა.

მელიამ მოიყვანა მწყემსები, შეაკვრევინა ფეხები დათვისათვის და უთხრა მწყემსებს:

— არ მომიკლათ ჩემი ბიძა, უნდა დავდაღო და მოვარჩინოო.

გაახურა სახნის-საკვეთი, დაუწყო დათვს დაღვა. დაიწყო დათვმა სიმწარისაგან ყვირილი.

კარგახანს აღრიალა მელიამ დათვი, შემდეგ გაუხსნა ფეხები და უთხრა:

— ახლა გოდორს მოვნახავ, შიგ თივა-ბუმბულს ჩაგიგებ, ჩაგაწვენ და ბეწვი ამოგივაო.

მართლაც მოიტანა გოდორი, ჩასვა შიგ დათვი, გადაუხლართა თავი და გააგორა. მიაგორა [illegible] დაბლა გადაუძახა. თითონ კლდის წვერზე წამოჯდა და დაიმღერა:

ახტება და დახტება
ეს სულბოროტიანი,
დაჯდება და უცქერის
ხოსრო დოვლათიანი.

ბეჭა

ყო და არა იყო რა, იყო ერთი ძლიერ ღატაკი კაცი. ერთი გამხდარი ხარისა და სამი დღის მიწის მეტი ქვეყანაზე არა გააჩნდა რა. ეს მიწაც სათივედა ჰქონდა დატოვებული. ერთხელ ფიქრად მოუვიდა ღარიბ კაცს:

— ეს სათივე მაქვს და ხარიცა მყავსო, მოდი ამ, სათივით გავასუქებ ამ გამხდარ ხარსა, იქნებ რიგიან ფასში გავყიდო. ასეც მოიქცა. მიიყვანა ხარი სათივეში, ხარმა მოძოვა სამი დღის სათივე და იმოდენა გაიზარდა, რომ სამი დღის მიწაზეც თითქმის ვერ ეტეოდა. ამ დროს ზეციდან ჩამოუარა ორბმა, დაეცა ამ უზარმაზარ ხარს თავში და აიტაცა ჰაერში, თან მიფრინავდა და თან ჭამდა. გამოხრა ბეჭი და გადმოაგდო ძირს. ბეჭი თვალებში ჩაუვარდა ერთ მეცხვარეს, რომელიც იქვე ცხვრებს აძოვებდა. ჯერ მეცხვარემ ვერა გაიგო რა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვალმა ტკივილი დაუწყო, მოისვა თვალებზე ხელი და თქვა:

— ეს რა ამბავია, მგონი, თვალში რაღაცა ჩამვარდნიაო.—დაუძახა ამხანაგს, რომელიც იქვე ცხვარს უდგა. მოვიდა ამხანაგი, ჩახედა თვალში, კარგად გაუსინჯა, ამოაცალა თვალიდან ბეჭი და გადააგდო.

ამ ბეჭზე გაშენდა საუცხოო ქალაქი, რომელსაც ბეჭა დაერქვა.

ამ ქალაქის მკვიდრთ დაიწყეს მშვიდობიანი ცხოვრება.

გავიდა რამდენიმე ხანი და ამ ქალაქს უბედურება ეწვია. ყოველღამ მთელი ქალაქი ინძრეოდა. შიშით თავზარდაცემული მცხოვრებნი მთელ ღამეებს ქუჩაში ათენებდნენ, რადგან ეშინოდათ სახლები თავზე არ დაგვენგრესო. ბევრი იფიქრეს იმის შესახებ, თუ როგორ ეშველათ საქმისათვის და ბოლოს გადაწყვიტეს ედარაჯათ და გაეგოთ, თუ რა ანძრევდა ამოდენა ქალაქს.

ერთი ღამე უდარაჯეს თოფებითა და სხვა იარაღით და ნახეს: მოცუნცულდა მელია — კუდი-გრძელია, რომელიც მივარდა ბეჭს და გამწარებული დაუწყო ხვრა. დარაჯებმა დაინახეს, რომ ამ დროს ამოდენა ქალაქი შეინძრა. მოიმარჯვეს თოფები, მელიას ზედიზედ დაახალეს და იქვე მოკლეს. მოვიდნენ და დაუწყეს გატყავება. ერთი გვერდი გაატყავეს, მეორე გვერდიც უნდა გაეტყავებინათ, მაგრამ მელია იმოდენა იყო, რომ ვერ გადააბრუნეს და თავი მიანებეს.

მელიას ნახევარი ტყავი მთელ ქალაქს ეყო. ყველამ შეიკერა ქუდები და მრავალი მისი ბეწვით მოირთო.

მკვდარ მელიასთან მოვიდა ერთი მოხდენილი ტანის ლამაზი ქალი, რომელსაც გოლიათი ერქვა. ქალმა წამოჰკრა ხელი მელიას, გადააბრუნა, გაატყავა მეორე გვერდი და შინ წაიღო. ტყავისაგან თავის პატარა ვაჟს ქუდი შეუკერა, მაგრამ ეს ტყავი არ ეყო ქუდსა: ცოტაღა დააკლდა. ადგა გოლიათი ქალი, ქუდს მაუდის ყალამა გამოაკერა და დაახურა თავის პატარა ვაჟს.

რომელი უფრო დიდი ყოფილა: ხარი, ორბი, მეცხვარე, მელა თუ გოლიათიას პატარა ვაჟი?

მელა, მამალი, ბაზკანი და ჩიტი

ელა, მამალი და ჩიტი დაძმობილდნენ. გაუდგნენ გზას. გზაზე შემოაღამდათ, დადგნენ ერთ ადგილას და დაანთეს ცეცხლი.

მელამ უთხრა მამალს:

— აბა, მამალო, მოდი, ვიჭიდაოთო.

დაიჭიდნენ. მელიამ მოგლიჯა მამალს თავი და ჩაახრამუნა. მერე ბატკანიც შეჭამა.

— მელიავ, მე ცარიელი ქონი ვარ, პირი გააღე ჩაგივარდები და შემჭამეო, — უთხრა ჩიტმა.

მელიამ გააღო პირი, ჩიტმა აიღო ერთი მუგუზალი და შიგ პირში ჩაჰჩარა. მელიას გამოეწვა პირი და ვეღარ შეჭამა ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა, დაინახა გზაზე — ორი კაცი ერთ ძაღლსა ცემდა.

ჩიტი მიფრინდა და სთხოვა:

— მე მომეცით ეგ ძაღლი და რაც გინდათ იმას მოგცემთო.

კაცებმა უთხრეს:

— ოღონდ ეგ მოგვაშორე და, პირიქით, ჩვენ შოგცემთ ფულსაო.

წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი. ძაღლი მშიერი იყო.

ჩიტმა უთხრა:

— აი, იქ დედაკაცები რომ სხედან და მაწონს შეექ-ცევიან, ხომ ხედავ?

— ვხედავ, — უპასუხა ძაღლმა.

— მაშ მე მივალ იმ დედაკაცებთან, დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაჭერად გამომედევნებიან, მიდი შენ და მაწონს მიაძეხიო.

ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები, და ძაღლი კარ-გად გაძღა.

წამოვიდნენ იქიდან, გზაზე მელიას შეხვდნენ. ჩიტმა ძაღლი დამალა და მელიას დაუძახა:

— გამარჯობა მელიავ, მოგირჩა პირი თუ არაო?

მელიამ დაუძახა:

— პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში კი აღარსად მიჭა-ჩიაო.

ჩიტმა დაუძახა:

— წამო აქ არის ლეშიო.

ძაღლს კი უთხრა:

წაწექ გზის პირზე და როდესაც მელია მოვა შესაჭმე-ლად, წამოუხტი და ტყავი გააძვრეო.

მართლაც მივიდა მელია და დასწვდა ძაღლს კუდზე. წამოხტა ძაღლი და შემოაცალა ქურქი.

ჭირი იქა,
ლხინი აქა,
ქატო იქა
ფქვილი აქა.

მელია



ყო და არა იყო რა, იყო ერთი რუწილი და მელია. დაძმობილდნენ და მიდიან. ერთი წყალი შემოხვდათ. მელიამ უთხრა რწყილს:

— ისკუპე, რწყილოო.

ისკუპა და წყალში ჩავარდა.

მელია გადახტა და წავიდა. ხორბლიანი ტომარი ზურგზე შემოიკრა. მიდის და ერთ ოჯახში დაულამდა.

– ოჯახიანო, სტუმარი არ გინდა? — დაუძახა მელიამ.

— როგორ არა, მელია, მობრძანდი, სტუმარი ღვთისა არისო.

შეიყვანეს სახლში, მიართვეს საჭმელი რაც უნდოდა და დააძინეს.

ყველამ რომ დაიძინა, ადგა მელია, გამოიპარა გარეთ, ხორბალი მოაპნია საქათმის ქვეშ და ისევ შევიდა სახლში დასაძინებლად.

ადგნენ მეორე დილით. მოიკითხა მელიამ ხორბალი. ნახეს, ქათმებს უყრია, რაღას იზამენ. დაიჩემა მელიამ ერთი მამალი:

— თუ ამას მომცემთ, მომეცით თორემ აქედან აგყრითო.

აიღეს და მისცეს მამალი.

წაიყვანა მამალი და კიდევ ერთ ოჯახთან დაუღამდა. კიდევ ისე დაუძახა:

— ოჯახიანო, სტუმარი არ გინდაო?

შეიყვანეს სახლში. როცა დაიძინეს, ადგა, გამოიყვანა თავისი მამალი, მოუგრიხა თავი და ცხვრისქვეშ ამოდო.

ადგნენ მეორე დილით. მელიამ მოიკითხა მამალი. ნახეს, რომ ცხვრისქვეშ არის.

თუ მაგ ცხვარს მომცემთ, მომცემთ, თუ არა, აქედან არ წავალო, — დაიჟინა მელიამ.

აიღეს და მისცეს ცხვარი. მიჰყავს და ერთ ოჯახში კიდევ დაუღამდა. იქაც დააძინეს.

ადგა ღამით, გამოიყვანა თავისი ცხვარი, მოუგრიხა თავი და ხარქვეშ ამოდო.

მეორე დილით მოიკითხა ცხვარი.

— ჩქარა ჩემი ცხვარი მომიყვანეთო.

ნახეს — ხარქვეშ არის.

— თუ მაგ ხარს მომცემთ, მომცემთ, თუ არა და აქედან აგყრითო, — დაემუქრა მელია მათაც.

შეშინდა ხალხი, მისცეს ხარი და წაიყვანა.

მიდის და ხედავს — ერთ ოჯახში ქორწილია. დაინახეს მელა და მიიპატიჟეს:

— მობრძანდი, მელია, მობრძანდიო.

მივიდა. დასვეს პატარძლის გვერდით. იქეიფეს იმ ღამეს. შემდეგ სულ ყველას დაეძინა. ადგა მელია, დასინჯა ყველას ჯიბეები. პატარძლის ჯიბეში დანა ყოფილიყო. ამოიღო, წაიღო და თავისი ხარი დაკლა. დაკლა და გაასისხლიანა დანა და ისევ პატარძლის ჯიბეში ჩადო.

ადგნენ მეორე დილით. მელიამ მოიკითხა ხარი. ნახეს — დაკლულია.

— აბა ვისაც სისხლიანი დანა აღმოაჩნდება, ის უნდა წავიყვანოო, — დაიძახა მელიამ.

ნახეს და პატარძალს აღმოაჩნდა.

დაღონდა პატარძალი, მაგრამ რას იზამს, აშინებს მელია.

— აბა, თუ ამ პატარძალს მომცემთ, მომცემთ, თუ არა დაგხოცავთო.

მელიას ემუდარებიან, გინდა ორი ხარი წაიყვანე და პატარძალს ნუ წაიყვანო, მაგრამ არ ქნა. ჩასვა გუდაში პატარძალი და წაიყვანა.

მიდის და მღერის:

პური გავცვალე მამალზე;
მამალი, — ცხვარზე,
ცხვარი — ხარზე,
ხარი — პატარძალზე.
ბანი, პატარძალო, ი, ი, ი, ი, ი!

ღიღინებს თითონა.

გზაზე მეგუთნეებმა დაინახეს და დაუძახეს:

— მობრძანდი, მელია, სადილზე დაგვეწვიეო.

— არა, გმადლობთო, — დაუძახა მელიამ.

— მობრძანდი, მობრძანდი, წყალი მაინც ამოგვიტანეო, — დაუძახეს.

მელია მიბრუნდა, მოიხსნა გუდა. მერე ცხრილი[1] მისცეს და გაგზავნეს წყალზე. ჩაჰყოფს მელია ცხრილს წყალში — აივსება, ამოიღებს — დაცალიერდება. დაუძახა მეგუთნეებს:

— ვერ ვავსებო.

მეგუთნეებმა უპასუხეს:

— გაგლისე და გაავსებო.

მელია ისევ იქ არის და ყვირის:

— მაინც ვერ ვავსებო.

მეგუთნეებმა ამოსვეს გუდიდან პატარძალი და მაგივრად გუდაში ჩასვეს ერთი დიდი შავი ძაღლი, ჩაუყარეს პურის ნამტვრევები.

---

[1] ცხრილი-მცირენახვრეტებიანი ჭურჭელი ხორბლის გასაცხრილად.

პატარძალს უთხრეს:

— წადი ჩქარა, სულ ირბინეო.

მელიას დაუძახეს:

— მოდი, მელიავ, მოდიო.

მელია მოვიდა და თქვა:

— რამდენი ვეწვალე და ვერ ავავსეო.

— არა უშავს რა, მელია, მადლობელი ვართო, — მიუგეს მეგუთნეებმა. მელიამ აიკიდა გუდა და მიდის. მიდის და მიიმღერის:

პური გავცვალე მამალზე,
მამალი — ცხვარზე,
ცხვარი — ხარზე,
ხარი — პატარძალზე.
ბანი, პატარძალო, ი, ი, ი, ი, ი!

ღიღინებს არხეინად. ძაღლი დაიღრენს.

— ეს რაღაც ცუდ ხმაზე იძახის, თუ არა ვნახეო. მოიხსნა გუდა, მოხსნა პირი, და ამოვარდა ძაღლი. ეცა მელიას და გაგლიჯა და გამოგლიჯა.

პატარძალი შინ მივიდა და ძაღლიც პატრონთან დაბრუნდა.

გლეხი, დათვი და მელია



ყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. მის ცოლს მეტი არავინ ჰყავდა.

ერთხელ გლეხი ყანაში წავიდა სამუშაოდ. გზაზე პანტის ძირში დათვი ნახა. დათვს იმდენი პანტა ეჭამა, რომ ველარ მოენელებინა და იქვე ხის ქვეშ გორავდა.

გლეხმა ეს რომ დაინახა სიცილი შესკდა.

დათვმა უთხრა:

— არავისთან გამამხილო თორემ შეგჭამო.

გლეხმა უპასუხა:

— არავისთან გაგამხელო.

როცა გლეხი შინისკენ წამოვიდა, დათვიც ადგა და ჩუმად უკან გამოუდგა. გლეხი შინ რომ მივიდა, დათვი სახლის ყურეს ამოეტუზა და ლაპარაკს ყური დაუგდო.

გლეხი მოუყვა ცოლს დათვის ამბავს.

დათვმა ყველაფერი გაიგონა და გამობრუნდა. წავიდა და გლეხის ყანაში ჩაწვა.

მეორე დღეს ისევ წავიდა გლეხი ყანაში სამუშაოდ. იქ დაწოლილი დათვი რომ დაინახა, შეშინდა.

წამოდგა დათვი და შესძახა:

ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ,
გვიან გამოგხრავო.

გლეხი შეშინდა, გამოვიდა გზაზე და დაღონებული დაჯდა. შუადღეზე ცოლმა სადილი მოუტანა: ერთი კარგად შემწვარი დედალი, სამი ხაჭაპური და ერთი ბოთლი ღვინო.

გლეხმა უთხრა ცოლს:

— რა მესადილება, ქალო, დათვი ყანაში ჩაწოლილა და ასე მეუბნება:

ადრე გამოხნავ,
ადრე გამოგხრავ;
გვიან გამოხნავ, —
გვიან გამოგხრავო.

ცოლმა უთხრა:

— შენ რა დაუშავე მაგის ფასიო?

— წუხელი რომ ამბავი გითხარი, იმისთვის მექადნებაო.

ამ დროს სად იყო და სად არა, გაჩნდა მელია. გლეხი რომ შეწუხებული ნახა ჰკითხა:

— რამ დაგაღონაო?

— როგორ რამ დამაღონა, აგერ ყანაში დათვი წევს და შეჭმას მიპირებსო,—უპასუხა გლეხმა.

მაშინ მელიამ უთხრა:

— თუ მაგ ქათამს და ხაჭაპურებს მე მაჭმევ, გიშველიო.

გლეხმა მიუგო:

— ოღონდ კი მიშველე და ღვინოც კი შენი ფეშქაში [1] იყოსო.

დაჯდა მელია და შეექცა გემრიელ საჭმელს.

როცა გაათავა, გლეხს უთხრა:

— შენ წადი და დათვის ახლოს დაიწყე ხვნა, მე გავალ პატარა სერზე და იქიდან დაგიძახებ, შენ კი მაგიერი პასუხი მომეციო.

გლეხმა ხვნა დაიწყო.

მელია გორაზე გავიდა და იქიდან გადმოიძახა:

— კაცო, შენ, ჰეი!

---

[1] ფეშქაში—საჩუქარი.

— რა იყო, რა!

— სამი წლის დათვის კვალი ხომ არ გინახავს? ხელმწიფე მოდის თავისი ჯარით და მისი ნახვა უნდაო.

დათვი შეეხვეწა გლეხს:

— ასე უთხარი არ მინახავსო.

— არა, არ მინახავს!—დაუძახა გლეხმა მელიას.

— მაშ ეგ რა არის?

გლეხი დაეკითხა დათვს:

— რა ვუპასუხოვო?

დათვმა უთრხა:

— ჯირკიათქო.

— ეს ჯირკია, ჯირკიო.

— თუ ჯირკია ურემზე დადევიო, — გადმოსძახა მელიამ.

დათვი შეგორდა ურემზე.

მელიამ გადმოსძახა:

— აბა დააკარი ჯირკი ურემზედაო.

გლეხმა დათვი ურემზე თოკით დააკრა.

მელიამ დაიძახა:

— აბა უცულდისყუეო! [1]

გლეხმა დასცხო ცულდი დათვს და მოკლა. მელიამ და გლეხმა ბევრი იცინეს.

გლეხმა დათვის ხორცი ხორცად გაჭყიდა, ქონი ქონად მოიხმარა და ტყავი ტყავად.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა.
თითო სტაქანი ყველასა.

---

[1] ცელდისყუება—ხალხური გამოთქმაა, ყუით ცემა.

წიქარა



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა, დაობლდა ვაჟი, დარჩა პატარა. ოჯახისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვალის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ხშირად უმიზეზოდ სცემდა პატარა ვაჟს.

დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა. ქმარმა არ იცოდა ეს; ვაჟმა იცოდა ეს ამბავი და დედინაცვალს გულით უნდოდა გერის თავიდან მოშორება.

კაცს ერთი ხარი ჰყავდა — წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ვაჟს დაჰყავდა წიქარა, აძოვებდა და ამით ერთობოდა.

დედინაცვალი დროს არჩევდა ვაჟის თავიდან მოსაშორებლად. ერთხელ მოიავადმყოფა თავი და ტყუილ-უბრალოდ დაიწყო კვნესა და გმინვა.

ქმარმა ჰკითხა:

— რა მოგივდა, რა გიშველისო?

— შენი შვილის გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მიშველისო.

მამა შეწუხდა ამ გაგონებაზე, მაგრამ ცოლი არჩია და შვილს დაკვლა დაუპირა.

მეორე დილით ვაჟი ხედავს, რომ მამა დანებს ლესავს და ჰკითხა:

— რად გინდა, მამავ, ეგ დანები, რომ ლესავო?

— წაიყვანე შვილო, წიქარა, წყალი დაალევინე, უნდა დავკლაო, ეტყვის მამა.

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზე, ასმევს წყალს და ტირის, ტირის, რომ იმისი ცრემლები წყალს ერთვის.

— რა გატირებს ჩემო მეგობარო, რაზე ითხრი თვალებს შემოგევლოს შენი წიქარა თავსო,—ეტყვის წიქარა.

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლას!—ეტყვის გულამომჯდარი ვაჟი.

— მე კი არ მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრას; წადი წამოიღე ერთი სალესავი ქვა, ერთი სავარცხელი, ერთი ბოთლი წყალი, შემაჯიქ ზურგზე და წავიდეთო, — უთხრა წიქარამ ვაჟს.

წავიდა ვაჟი მოიტანა ყველაფერი, რაც წიქარამ უთხრა, შეჯდა წიქარაზე და გაქუსლა.

გაიგო ვაჟის მამამ შვილის გაქცევა, შეჯდა ერთ წყეულ ღორზე და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიაქროლებს პატარა მეგობარს, მისდევს ღორზე მჯდომი მამა დალესილი დანებით. ის არის უნდა დაეწიროს, და ამ დროს წიქარა ეტყვის ვაჟს:

— რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგას, გადალვარე ბოთლი წყალიო.

გადალვრის ვაჟი წყალს—და გაჩნდება საშინელი ზღვა. ღელავს შავად ზღვა. აბობოქრებულია; ტალღები სიკვდილს უქადის ყველას, მაგრამ წყეული ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მიცურავს; სანამ ღორი ზღვას გაცურავს, წიქარა და მისი მეგობარი კარგ მანძილს გაივლიან.

— წიქარა ეტყვის ვაჟს:

— თავი მიიბრუნე, ნახე, მოდის ღორი თუ არაო?

მიიბრუნებს ვაჟი თავს და ეტყვის წიქარას:

— ბუზის ოდენა ჩანს რაღაცა, მორბის და მოფრინავსო.

— ეგ ღორია და ზედ მამაშენი ზისო,—ეტყვის წიქარა და უფრო ჩქარა გააქროლებს ვაჟს.

მორბის ღორი, და მოაელვებს ვაჟის მამა გალესილი დანებს. ცოტა კიდევ—და ღორი დაეწევა წიქარას.

— გადააგდე სავარცხელიო!—შესძახა ვაჟს წიქარამ.

გადააგდო ვაჟმა სავარცხელი; უცებ ისეთი ხშირი და წვრილი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. ჭრა კბილით ღორმა, ჭრა და გავიდა.

წიქარა და ვაჟი მირბიან. კარგა მანძილი გაიარეს. მოიხედა ვაჟმა და დაინახა — შორს ბუზივით რაღაც მოჩანს.

— ღორი მოგვდევსო,—ეტყვის ვაჟს წიქარა.

ცოტა კიდევ და სადაც არის ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ წიქარას რჩევით ვაჟი სალესავს გადააგდებს, და წიქარასა და ღორს შუა საშინელი თვალუწვდენელი კლდე აიმართება. ჭრის ღორი კლდეს, ჭრის რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილას, რომ მიაღწია, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავის მხედრიანა უფსკრულში შთაინთქა. წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც.

ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მიეცათ. იარეს, იარეს და სამშვიდობოს გავიდნენ. წიქარამ გამოიყვანა ვაჟი ერთ ტრიალ მინდორზე; იქ ერთი ალვის ხე იდგა, ისეთი მაღალი, რომ იმისი წვერი ცასა წვდებოდა.

წიქარამ შესვა ვაჟი ალვის ხეზე, მისცა ორი სალამური — ერთი საჭირო, მეორე სალხინო—და უთხრა:

— მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებში, მე ვძოვ, თავს დავირჩენ, შენ აქ იჯექ; გაგიჭირდეს, — დაუკარი საჭირო სალამური და მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს, — უკარ სალხინო სალამური, საქმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაც. გამოეთხოვა წიქარა პატარა ვაჟს და წავიდა.

ვაჟი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს. სალამურის ხმაზე ნაირ-ნაირი პეპლები თამაშობდნენ. გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა მისი ხელში ჩაგდება. მიჰყვა სა-

ლამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა — ბიჭი ზის ხეზე, უკრავს სალამურს; პეპლები მოგროვილან მის ირგვლივ, სალამურის ხმაზე ირევიან ერთმანეთში და თამაშობენ. მეცხვარეს შურით თვალები დაებრიცა; ვაჟს დაუძახა:

— ჩამოდი ძირს, მაჩვენე, რისგან არის გაკეთებული სალამურიო.

ვაჟი არ ჩავიდა, წიქარასგან იყო დარიგებული — ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო.

შურიანი მეცხვარე წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ამა და ამ ადგილას ალვის ხეზე ერთი ვაჟი ზის და სალამურს უკრავს; იმის ხმაზე მთელი ქვეყანა ხარობსო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა ნაზირ-ვეზირნი და უბრძანა:

— მოიყვანეთ ის ვაჟი, ან კაცი იშოვნეთ მისი მომყვანიო:

ერთმა ბებერმა უთხრა ნაზირ-ვეზირებს:

— მე მოვიყვან იმ ვაჟსო.

ადგა ბებერი, წავიდა. წაიყვანა ერთი თხა, წაიღო სადგისი და მივიდა ალვის ხის ძირში. ზის ვაჟი ხეზე და უკრავს სალხინო სალამურს; დგას ბებერი ხის ძირში, ჩხვლეტავს სადგისით თხას და საცოდავად აჩხავლებს. დაინახავს ვაჟი ამას და ბებერს დაუძახებს:

— რას შვრები, დედილო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა და ვერ დამიკლავს; იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი, დამიკალო.

რას მოიფიქრებდა ვაჟი, თუ ბებერს ღალატი ედვა გულში, და ძირს ჩავიდა. ბებერმა დაათრო და დააძინა. ხელმწიფის კაცებმა წაიყვანეს და ცხრაკიტულში ჩასვეს.

ვაჟს გამოეღვიძა, ნახა თავისი თავი დატყვევებული და დაღონდა; დაიწყო ტირილი, ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ სალამურები ალვის ხეზე იყო ოხრად დარჩენილები.

იჯდა ვაჟი ფანჯარასთან და ცას გასცქეროდა, ცხრაკილტულს გვერდით ყვავმა ჩაუფრინა, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

— ყვავო, ყვავო! სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზეს, მინდვრად რომ ალვის ხე დგას, იმაზე ჩემი სალამურებია და აქ მომიტანე!

— მე რომ ლეშს ვჭამდი და შენ ქვებს მესროდი, ალარ გახსოვს? — უპასუხა ყვავმა და ფრენით განაგრძო გზა.

გააყოლა თვალი ვაჟმა და ცრემლები ჩამოყარა.

გადმოფრინდა ყორანი.

— ყორანო, ყორანო! შენი შვილების მზეს, წადი ალვის ხეზე სალამურები დარჩა და აქ მომიტანეო! გასძახა ვაჟმა ყორანს.

— მე რომ წიქარას ლეში გთხოვე, არ მომეცი, სალამურებს რად მოგიტანო?!—ჩამოსძახა ყორანმა და გასცილდა; თავისი სიშავით უფრო გააშავა ისედაც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა.

გადაიარა არწივმა.

— არწივო, არწივო, მხარკვერიანო! ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია; წადი, მინდორში რომ ალვის ხე დგას, იქ სალამურები დამრჩა, აქ მომიტანეო! — გასძახა ვაჟმა.

— მე ჩემი საქმე მაქვს; შენგან კრავი როდის მიმილია საჩუქრად, რომ სალამურები მოგიტანოო? — უპასუხა არწივმა და ფრთების შხლარტუნით გასცდა.

გადმოფრინდა ჩიტი და ვაჟმა იმასაც შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო შენი ბარტყების გაზრდას, მინდორში სალამურები დამრჩა და მომიტანეო.

— შენ რომ მახეს მიგებდი და ბუდეს მიშლიდი, მე ვერ მოგიტან, სხვას სთხოვეეო, - უთხრა ჩიტმა და ჟივილ-ხივილით გასცდა.

გააყოლა ვაჟმა იმასაც თვალები და ცრემლები ჩამოსცვივდა.

ბოლოს მერცხალი დაინახა. ახლა იმასაც შესტირა:

— საით მიფრინავ მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდვრად რომ ალვის ხე ხარობს,
ცივნი წყარონიც დიანო,
იქ პეპელები სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო;
შაიყრებიან ჩიტებიც
ყვავილნიც შეკრბებიანო;
წიქარაც იმათთან მოდის,
იქ დაინახავ, ხვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო;
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო!

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირე სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა.

წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და მტვრევა დაუწყო. რვა კარი გატეხა; მეცხრე კარი ქონდა გასატეხი და რქა მოტყდა. დაღონდა წიქარა. თავის რქას ისე არა ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას. რქა ინატრა. ამ დროს გამოძვრა საიდგანლაც ერთი თაგვი და წიქარას უთხრა:

— შენი ლეში მაჭამე და რქას მოგაბამო.

— გაჭმევო,—უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმთელა რქა.

ეცა წიქარა მეცხრე კარსაც და შელეწა. შევიდა ვაჟთან შეისვა ზურგზე და გაეშურა ალვის ხისაკენ. დატოვა ვაჟი ალვის ხეზე და თვითონ ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაჟი ალვის ხეზე, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ერთხელ ძალიან მოუნდა წიქარას ნახვა და საჭირე სალამური დაუკრა; დაუკრა მაგრამ წიქარა ალარ მოვიდა. დაღონდა ვაჟი. ჩამოვიდა ძირს; კიდევ დაუკრა

საჭირე სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა; იმისი ცოდით ბალახებიც ტიროდნენ; ჰეკლები აღარ ფრინავდნენ და ცრემლებსა ღვრიდნენ. ხეებიც აღარ ინ-ძრეოდნენ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი, ლე-შით გამძღარი, სადღაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი, ეძე-ბა წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა. შავ ყორანს და უმსგავსო სვავ-ყაჯირებს თვალები დაეთხარათ, ყვავ-კაჭკაჭებს გამოეხრათ. დასტირა ვაჟმა წიქარას, დას-ტირა ცხარედ; აღარ დაუკრავს სალამური, არც სალხინო და არც საჭირე...

ჭირი იქა,
ლხინი აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა.

ნ ა ს ი ა



ყო ერთი უღონო კაცი, სახელად ნასია. ისეთი მსუბუქი იყო, რომ ქარის შემობერვაზე ერთ ვერსზე გადავარდებოდა.

ერთხელ ნასია ქარმა სკაში ჩააგდო, თამაშობდა ფუტკრებში და იყო ასე. მოიმწყვდევდა ხელში ათას ფუტკარს და ხოცავდა.

ერთხელ ნასიამ ჩვეულებრივად მოიმწყვდია ხელში ათასი ფუტკარი და დახოცა. აიღო ქაღალდი და დააწერა:

„მე ვარ ბიჭი ნასია,
ცალი ხელით მომიკლავს ათასი კაცია“.

ქაღალდი მინდვრად დააგდო.

მეფის ვეზირებმა იპოვეს მინდვრად დაგდებული ქაღალდი და მიართვეს მეფეს.

მეფეს გაუკვირდა ასეთი ღონიერი კაცის არსებობა და ბრძანება გასცა — მომიძებნეთ ნასიაო.

წავიდნენ სხვადასხვა მხარეს ნასიას საძებრად. ნახეს — ერთ მინდორში კაცი გორაობს. ეს ნასია იყო, რომელიც ქარს სკიდან ამოეგდო და მიწაზე გორაობდა.

ვეზირებმა აჩვენეს დაწერილი ქაღალდი და ჰკითხეს, ასეთი კაცის შესახებ ხომ არა იცი რაო.

— ეს მე ვარო, — მიუგო ნასიამ.

ნასია შემოსეს ძვირფასი ტანისამოსით და შეფეს მიჰ
გვარეს.

შეიტყო მეზობელმა ხელმწიფემ, ამ მეფეს ასეთი და ასეთი შესანიშნავი კაცი ჰყოლიაო, და შემოუთვალა: ეგ ვილაცაა ჩემთან გამოგზავნე საჩხუბრადო.

შეუკაზმეს ნასიას ცხენი და გაგზავნეს საომრად,

ნასიამ გაიხედა და დაინახა—ხელმწიფეს აუსხამს ურიცხვი იარაღი და მოდის მისკენ. შიშით კინაღამ გული გაუსკდა, თვალებზე ხელი მიიფარა და მტერს მიუახლოვდა.

ხელმწიფემ დაინახა—ნასია თვალებზე ხელაფარებული მიდის მისკენ, იფიქრა: ეს კაცი ან სასაცილოდ მიგდებს, ან ეს არის კარგი საომარი ხერხიო, მოდი, მეც დავხუჭავ თვალებს. მართლაც დახუჭა თვალები.

შიშისაგან აკანკალებულმა ნასიამ გამოიხედა და დაინახა, რომ მტერი თვალდახუჭულია. იძრო ხმალი, გაჰკრა ხელმწიფეს და თავი წააგდებინა.

დაბრუნდა ნასია გამარჯვებული. მეფემ თავისი ქალი მიათხოვა.

შეიტყო მეორე ხელმწიფემ ნასიას გმირობა და ახლა ამან გამოითხოვა საომრად.

ნასიამ სიმამრს მოსთხოვა:

— გამატანე ასი კაცი, თითოეულმა წამოიღოს თითო კეტი, თითო ქათამი და რაც მე გავაკეთო, იმათაც იგივე გაიმეორონო.

სიმამრმა თხოვნა შეასრულა.

გამოეთხოვა ნასია სიმამრს, ცოლს და წავიდა საომრად.

გზაში მდინარე შეხვდათ გასავლელი. ნასიამ გადვა თავისი კეტი მდინარეზე, ასმა კაცმაც ასევე ქნა და გავიდნენ ზედ, როგორც ხიდზე.

იარეს, იარეს და დაინახეს, რომ მოდის მტრის უთვალავი ჯარი.

ნასია თავისი მხლებლებით მინდორზე დაჯდა. ყველამ ქათმებს დაუწყო ჭამა. მოვარდა მტრის ძალი და

ერთი ქათამი მოიტაცა. წამოავლო ნასიამ კეტს ხელი და გამოუდგა. მას, სხვებმაც მიჰბაძეს და მისდიეს ძაღლს მტრის ბანაკამდის.

ხელმწიფემ იფიქრა ესენი ამოგვჟლეტენ კეტებითო და თავისი ჯარით უკან გაიქცა.

გამარჯვებული ნასია მივიდა სიმამრთან. სიმამრმა თავისი ტახტი ნასიას მისცა.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა.

ხუთკუნჭულა



ყო და არა იყო რა, იყვნენ ცხრა ძმანი. ცხრავე ისეთი ღარიბები იყნენ, რომ იმათას ვერც არას ცეცხლი დაწვავდა და ვერც არას წყალი წაიღებდა. ნახევარჯერ მშივრები იყვნენ.

ბოლოს თქვეს ძმებმა:

— წავიდეთ, ან მოჯამაგირედ დავუდგეთ ვინმეს ან კიდევ ვიმუშაოთ. დღიური ლუკმა ვიპოვოთო.

წავიდნენ.

იარეს, იარეს და ერთ ქვეყანაში მივიდნენ. აქ ერთი დევი შეხვდათ.

დევმა ჰკითხა:

– სად მიდიხართო?

იმათ უპასუხეს:

— სამუშაოდ, ლუკმის საშოვნელად, გვინდა მოჯამაგირედ ვისმეს დავუდგეთო.

— მე დამიდექითო, — უთხრა დევმა.

— კარგიო — უპასუხეს ძმებმა.

წაიყვანა დევმა და წავიდნენ.

დევს ცხრა ქალი ჰყავდა, აუარებელი საქონელი, ძროხა და ცხენი. იმ ღამეს დევმა კარგი ვახშამი აჭამა ძმებს. დააწვინა და თითონ კი თვალი დაიჭირა როდის დაეძინე-

ბათო. რვა ძმასა ძინავს, ხუთკუნჭულა კი — უმცროსი ძმა არ იძინებს, ლოგინში წევს და დევზე უჭირავს თვალი.

— დაგეძინათო? — დაუძახებს დევი.

— არაო—უპასუხებს ხუთკუნჭულა.

— რა არ გაძინებსო?—ჰკითხავს დევი.

— შენი ბატების ყიყინიო!—უპასუხებს ხუთკუნჭულა.

წავა მაშინვე დევი, გადაყლაპავს ბატებს და ცოტას მოიცდის:

— დაგეძინა, თუ ისევ გღვიძავსო? — დაუძახა ისევ დევმა.

— არაო უპასუხებს ხუთკუნჭულა.

— რა არ გაძინებსო?—ჰკითხა ხელმეორედ დევმა.

— შენი ძროხების ხმაო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა. წავა დევი, გადაყლაპავს ყველა ძროხას და დაბრუნდება; დაუგდებს ყურს, ყველას სძინავს ვითომ.

— დაგეძინათო?—დაუძახა ხუთკუნჭულას.

— არაო!—უპასუხებს ისევ ხუთკუნჭულა.

— რა არ გაძინებსო? — დაუძახებს გაცეცხლებული დევი.

— შენი ცხენების ჭიხვინიო, — უპასუხებს ხუთკუნჭულა.

დევი ისევ წავა, ახლა ცხენების დასაჭმელად. ამ დროს ადგება ხუთკუნჭულა, აიღებს დევის ქალების ტანისამოსს, ძმებს დაუწყობს, ძმებსა და თავის ტანისამოსს და ხანჯლებს კი დევის ქალებს და გაიტრუნავს სულს, თითქო დაეძინაო.

მოვა დევი, დაუვლის თავის ქალებს, ვაჟები ჰგონია, დასჭრის თავებს და დაჭყრის.

ხუთკუნჭულა ჩააცმევს ძმებს ქალების ტანისამოსს, იმათ გაისტუმრებს და ეტყვის:

— თქვენ წადით და ხიდს გადითო.

თვითონ კი იქ დარჩება.

მეორე დღეს ქალად ჩაცმული ეტყვის დევს:

— იმ ვაჟების ხორცს ჩავყრი რომ დავხოცეთ და მეც ჩემ დებთან წავალ, საყდარში წავიდნენო.

— კარგი წადიო,— ეტყვის დევი.

ბიბლიოთეკა

წავიდა ხუთკუნჭულა და გავიდა ხიდს.

დევი ამოიღებს და ჭამს ხორცს. ხორცში ძუძუები ამოუჩნდება. მაშინვე იტყვის:

— ეს ხუთკუნჭულამ მიყოვო.

აგდებს ხორცს და გამოუდგება ხუთკუნჭულას. კარგა გზას გაივლის და დაუძახებს:

— ხუთკუნჭულავ გამასწარ ხიდსაო?

— გაგასწარ და თვალიც მოგთხარეო! – უპასუხებს ხუთკუნჭულა

ის ხიდი დევისა და ერთი ხელმწიფის საზღვარზე იდო. იმ ხიდს დევი ვერ გავიდოდა და ძალიანაც ეშინოდა, ამიტომ რაკი ხიდს გავიდა ხუთკუნჭულა, სამშვიდობოს იყო გასული. დაბრუნდა დევი შინ კბილების კრაჭუნით.

ძმები კი წავიდნენ და მივიდნენ ერთ ხელმწიფესთან. ახლა იმას დაუდგნენ მოჯამაგირედ. ძმები აუხირდნენ ხუთკუნჭულას, მოინდომეს იმისი მოკვლა და ხელმწიფეს უთხრეს:

— ერთ დევს ერთი თხა ჰყავს, ის თხა გულთმისანია და რასაც ან ნახავს, ან გაიგონებს, ყველაფერს იტყვისო. ხუთკუნჭულამ ის თხა რომ მოიყვანოს, კარგი იქნებაო. ის თხა იმ დევისა იყო, ვისთანაც ძმები იყვნენ.

ხელმწიფემ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა:

— წადი და ამა და ამ დევს რომ თხა ჰყავს, აქ მოიყვანეო, თუ არ მოიყვან, — ვერაფერი გიხსნისო.

რას იზამდა ხუთკუნჭულა, ადგა და წავიდა თხის მოსაყვანად. მივიდა დევის სახლში და დაენახვა თხას.

თხამ დაუძახა დევს:

— ხუთკუნჭულა! ხუთკუნჭულა!

გავიდა დევი გარეთ, ეძებს ხუთკუნჭულას. ხუთკუნჭულა კი კარის უკან არის დამალული. ეძებს დევი, მაგრამ ამაოდ.

ხუთკუნჭულა კიდევ დაენახვა თხას.

თხა კიდევ დაიძახებს:

— ხუთკუნჭულა!

კიდევ ეძებს დევი, მაინც ვერა პოულობს. ბოლოს გაბრაზებული გადისვრის თხას გარეთ.

ხუთკუნჭულა დაავლებს თხას ხელს, გაიქცევა და გავარდება ხიდს.

დევი იფიქრებს: — ბიჭო იქნება ის ოხერი ხუთკუნჭულა მართლა სადმე იყვეს, თხა მომტაცოს და წაიყვანოსო, და გამოიხედა გარეთ. სადღაა თხა! იმისი კვალიც აღარ იყო. მაშინვე გამოუდგება დევი, ირბენს და მოუახლოვდება ხიდს.

— ხუთკუნჭულავ, გახველ ხიდს თუ არაო?

— თვალი კი არ მოგთხარეო!! — მოაძახა ხუთკუნჭულამ და წაიყვანა თხა.

დევი შინ დაბრუნდა გაბრაზებული.

ხუთკუნჭულამ მრუყვანა თხა ხელმწიფეს. ძმებს ეს რა-საკვირველია, ვერაფრად ეპიტნავათ.

ხელმწიფეს უთხრეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მაგ თხის პატრონს ისეთი ხალიჩა აქვს, რომ იმის ფასი დედამიწის ზურგზე არაფერი იქნებაო. თუ ხუთკუნჭულამ იმისი თხა მოიყვანა, ხალიჩასაც მოიტანსო.

ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა.

— უნდა წახვიდე და იმ დევს რომ ერთი ხალიჩა აქვს, ის მოიტანოო.

ხუთკუნჭულას მეტი რა ღონე ჰქონდა, უნდა წასულიყო.

ხელმწიფეს მოახსენა:

— ერთი მუჭა ნემს-მახათი მიბოძეთო.

მისცეს ნემს-მახათი. ადგა და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დევის სახლში, შეიპარა, სადაც ხალიჩა იყო დაგებული, და დაარეკ ხალიჩაში ნემსები.

მოვიდა დევი, დაჯდა ნემსებზე, — შეერეკ, იქით გადაიწია — იქიდან შეერეკ, აქეთ გადმოიწია — აქედან შეერ-

ჭო. ბოლოს რაკი ძალიან შეწუხდა, მოავლო ხელი ხალიჩას და გარეთ გადაუძახა.

დაავლო ხელი ხალიჩას ხუთკუნჭულამ, გააქცია და გავარდა ხიდს.

დევმა იფიქრა: — ის ეშმაკი ხუთკუნჭულა კი არ იყვეს სადმე და ის ხალიჩა არ წაიღოსო. გამოიხედა, მაგრამ სადღაა ხალიჩა!

დარჩა ხახაცარიელი დევი. გამოეკიდა ხუთკუნჭულას და დაუძახა:

— ხიდს გახველი, ხუთკუნჭულავ, თუ არაო?

— გაველი და თვალიც მოგთხარეო! — უპასუხა ხუთკუნჭულამ.

მივიდა ხუთკუნჭულა ხელმწიფესთან და მიუტანა ხალიჩაც.

ძმებს უფრო აერიათ გული. ხელმწიფეს მოახსენეს:

— ხუთკუნჭულამ მაგ თხისა და ხალიჩის პატრონიც რომ მოიყვანოს, ძალიან კარგი რამ სახილველი იქნებაო.

ხელმწიფემ ისევ დაიბარა ხუთკუნჭულა და უთხრა:

— უნდა წახვიდე და ამ ხალიჩის პატრონიც აქ მოიყვანოო.

— კარგიო, ოღონდ ერთი ხელი იმერული ტანისამოსი და ხუროს იარაღები რაც რამ არის მიშოვეთო, — მოახსენა ხუთკუნჭულამ.

ხელმწიფემ უშოვა. ჩაიცვა ხუთკუნჭულამ, აიღო ხელში ხერხი, ეჩო, ხუსტარა,[1] შალაშინი და სხვა და გასწია.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა დევის საბრძანებელში. უცებ დევს შეხვდა ტყეში.

— ოჰ, შენ არა ხარ ხუთკუნჭულაო? — დაუძახა დევმა,

— აი ასე და ასე მოუვიდეს ხუთკუნჭულას და ჩემი ცოდო ნუ დაულიოს ღმერთმა, იმ ვერანას ვშველოდი, იმერელი ვარ, არაფერი მომცა და გამომაგდოო.

დევმა მართლა დაუჯერა.

---

[1] ხ უ ს ტ ა რ ა — სადურგლო ხელსაწყოა.

— თუ იმერელი ხარ, მაშ შენ კარგი ხელობა გეცოდინება, რას გააკეთებ საკვირველსაო?—ჰკითხა დევმა.

— მე ისეთ კიდობანს გავაკეთებ, რომ შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოვო,—უთხრა ხუთკუნჭულამ.

— აბა გააკეთეო,—უთხრა დევმა.

საჩქაროდ გააკეთა კიდობანი ხუთკუნჭულამ და უთხრა დევს:

— აბა, ჩადი, ნახე, ძირს გააგდებინებ თუ ვერაო.

ჩაჯდა დევი, ჰკრა წიხლი და გააგდებინა.

გააკეთა მეორედ, ჩასვა და უთხრა:

— აბა ახლა გააგდებინეო?

დევმა მართლაც ვეღარ გააგდებინა ფიცარი. ხუთკუნჭულამ დალურსმა და უთხრა:

— ფეხით არ იაროო, ზურგზე აგიკიდებ და შენს სახლში ისე მიგიტანო.

— კარგიო,—უთხრა დევმა.

მოიკიდა ხუთკუნჭულამ დევიანი კიდობანი და გასწია ხელმწიფისაკენ. ხიდს რომ გავიდა, დევს გულმა გაუგო:

— აი, გადამიყვანე, განა ხიდსაო! —უთხრა ხუთკუნჭულას და ღონივრად გაექანა, მაგრამ სად წავიდოდა.

ხუთკუნჭულამ დევი ხელმწიფეს მიუყვანა.

შეიკრიბა მთელი ჯარი, ნაზირ-ვეზირი, ხელმწიფე და სხვა დიდებულნი დევის სანახავად, უნდოდათ გაეხსნათ და ენახათ.

ხუთკუნჭულა კი გაიქცა, წაიღო ერთი მარილის ქვა და ავიდა ერთ მაღალ ჭადარზე. იქიდან უცქერის სეირს.

ახადეს კიდობანს, ამოვარდა იქიდან გაგიჟებული დევი, დაერია ხალხს და ყველა ერთად თავის ხელმწიფითა და რვა ძმით გადასანსლა, რაკი ყველა მიყლაპ-მოყლაპა, ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა და მერე ჭადარზე შეიხედა, იქ მჯდომი ხუთკუნჭულა დაინახა და დაუძახა:

— ხუთკუნჭულავ, მასწავლე, მანდ როგორ ახველო?

— ამ მარილის ქვას ხომ ხედავ, ეს მარილის ქვა გულზე დავიდევ, ამოვფრინდი და ამოველო,—დაუძახა ხუთკუნჭულამ დევს.

— სად ვიშოვო მაგისთანა ქვაო?—ჰკითხა დევმა.

— მე ჩამოუშვებ, გულზე დაგეცემა და ამოხტებიო,— დაუძახა ხუთკუნჭულამ.

დაწვა დევი გულაღმა. ჩამოაგდო ხუთკუნჭულამ, მარილის ქვა, დაეცა დევს და იქვე მოკლა.

ამრიგად მოიშორა ხუთკუნჭულამ დევი თავიდან. ჩამოვიდა ხიდან.

იმოდენა ქონება მას დარჩა, ასე დიდი სიმდიდრისა და შეძლების პატრონი, ქვეყნის ხელმწიფეც გახდა.

მენახირე

რთხელ მამამ თავისი უმცროსი შვილი წაიყვანა შორს მთაზე, სადღაც დაებნა და თვითონ დაღონებული შინ წამოვიდა. ამ ქედზე გველეშაპი ცხოვრობდა, გადაიხარა, დაინახა ბიჭი და ჩამოსძახა.

— ეი, შენ, ადამიანის შვილო, არ გინდა გაგზარდო ჩემ ძმადაო?

ბიჭმა თანხმობა გამოუცხადა.

გველაშაპმა აიყვანა ბიჭი მაღალ ქედზე და უთხრა:

— აქედან პირდაპირ ჩადი. ერთი ალვის ხე დგას, იქ ნახავ ჩემ დედ-მამას და უთხარი: თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთ-თქო, ისინი დაგაყენებენ; დილით უთხარი: თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მომეცით-თქო, მამაჩემი უარს გეტყვის, მაგრამ დედაჩემი მოგცემსო.

ყმაწვილი ჩავიდა ალვის ხესთან. იქ ერთი კაცი და დედაკაცი ცხოვრობდნენ. ბიჭმა სთხოვა:

— თქვენს მზეს, ამაღამ შემინახეთო.

მისცეს ბინა.

დილით სთხოვა:

— თქვენი შვილის მზეს, ამ ალვის ხის ნაფოტი მომეცითო.

კაცი არა შვრებოდა, მაგრამ ქალმა მისცა და ფან დაარიგა:

— რასაც ინატრებ, მოგცემს ეს ნაფოტი, მხოლოდ უთხარი:

ნაფოტო, შენს მზესა, შენი გამომცემის მზესა, ესა და ეს ამისრულე-თქო.

ბიჭმა წაიღო ნაფოტი და წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთ ქვეყანაში. იქ ერთ დედაკაცს სთხოვა:

— დედი, პური მშია, მაჭამეო.

დედაკაცს ორი პური ჰქონდა და ერთი მისცა ბიჭს. ბიჭმა შეჭამა, დედაკაცმა მეორე პურის ნახევარიც მისცა, ისიც შეჭამა, ნარჩენი ნატეხიც მისცა, ბიჭმა ისიც შეჭამა. ბიჭი დანაყრდა და დედაკაცს უთხრა:

— დედი, შენი შვილი ვიქნებიო.

— მე შვილი არა მყავს და შენ იყავი ჩემი შვილიო,— მიუგო დედაკაცმა.

ბიჭმა უთხრა:

— წამიყვანე სადმე, მოჯამაგირედ დამაყენეო.

დედაკაცმა წაიყვანა სოფელში და ერთი წლის ფადით მებატეედ დააყენა; მეორე წელიწადს მეღორედ დააყენა; მესამე წელიწადს—სოფლის მენახირედ.

იქაურ ხელმწიფის ქალს ორი ძროხა ჰყავდა და თითონ წველავდა. ერთხელ, როცა ქალი ძროხას წველავდა, მენახირემ საქონელი ჩაატარა. დაინახა ხელმწიფის ქალი, ამოიღო ნაფოტი და დაელაპარაკა:

— ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ამ ქალს მე ნუ ამაცდენ, ჩემი გახადეო.

შუადღისას მენახირემ ნახირი წყალზე მირეკა. ხელმწიფის ქალიც იქ იყო. დაინახა ქალმა მენახირე და შეიყვარა, ხვდებოდნენ ერთმანეთს. ქალი დაორსულდა, შვილი შეეძინა.

ერთ დღეს ხელმწიფემ გაიგონა ბავშვის ტირილი და გაუკვირდა:

— ჩემ ქალს როდის, საიდან ან ვისგან გაუჩნდა შვილი, ეს რა ამბავია ჩემს თავსაო?

შეყარა ჯარი-ჯარამათი. უნდოდა გაეგო, ვინ იყო ბავშვის მამა.

ბავშვი გაიძახოდა:

— დედა აქა მყავს და მამა არაო.

ხელმწიფემ იკითხა:

— კიდევ აკლია ვინმეო?

— არავინ არ აკლია მენახირის მეტიო, — უთხრეს ხელმწიფეს.

მოიყვანეს მენახირე; ზოგი თავში სცემდა, ზოგი დასცინოდა:

— ხელმწიფის ქალი სწორედ შენ გიკადრებდა, რომ ბავშვმა მამა შენ დაგიძახოსო.

დაინახა ბავშვმა მენახირე და მოყვა ძახილს:

— დედა აქა მყავს, მამაც მოვიდა, დედა აქა მყავს, მამაც მოვიდაო.

ხელმწიფე მიხვდა რაშიაც იყო საქმე: გადევნა ქალი და სიძე; თითონ ჯავრისაგან ავად გახდა. დაიბარა უფროსი სიძეები და უთხრა:

— უკვდავების წყალს თუ მომიტანთ, მოვრჩები, თუ არა და არაო.

მენახირის ცოლმა გაიგო მამის სურვილი, მივიდა მამასთან და უთხრა:

— ჩემ ქმარს გავგზავნი უკვდავების წყლის მოსატანადაო.

მამა გაუწყრა:

— წადი, თვალით არ დამენახო, თქვენი მიზეზითა ვარ ავადაო.

გააგდო ქალი. სიძეები წავიდნენ უკვდავების წყლისათვის.

მენახირემ ამოიღო ნაფოტი და ინატრა:

— აბა, ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, ერთი კარგი შეკაზმული ცხენი და ტანისამოსი მომეცეო.

გაჩნდა შეკაზმული ცხენი და კარგი ტანისამოსი. მოირთო მენახირე, შეაჯდა ცხენს და მიაქროლა წყალთან.

უფროსი სიძეები მისულიყვნენ წყალთან. მენახირემ დაუყვირა:

— ვინა ხართ, რისთვის მოსულხართ აქაო?

სიძეებს წყლის პატრონი ეგონათ და მიუგეს:

— წყალი გვინდა ვიყიდოთო.

— არა ვყიდიო,—უთხრა მენახირემ:

— მაშ რა ვქნათ, უწყლოდ როგორ წავიდეთ, ხელმწიფე კვდებაო,—შეწუხდნენ სიძეები.

— წყალს არა ვყიდი, მაგრამ რადგან ასეა საქმე მოგყიდით, მაგრამ ფასად ყურის ბიბილოებს მოგაჭრიეთ.

მოაჭრევინეს სიძეებმა ყურის ბიბილოები და წაიღეს წყალი.

ხელმწიფე მაინც არ განიკურნა. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა:

— უკვდავების ყურძენი მომიტანეთ, იქნებ მარგოსო.

მენახირის ცოლმა კიდევ სთხოვა მამას:

— ჩემი ქმარიც გავგზავნე უკვდავების ყურძნის მოსატანადაო. ხელმწიფემ დაითხოვა თავისი ქალი, ქმარს ნუ ახსენებო.

მენახირემ სიძეებს მიასწრო უკვდავების ყურძენთან.

მივიდენ სიძეები და თხოვეს მენახირეს:

— უკვდავების ყურძენი მოგვყიდე, სიმამრი გვყავს ავადაო.

— ყურძენს არ ვყიდი, მაგრამ თუ ჩემ ცხენს თითო წიხლს მიაკვრევინებთ, მოგყიდით თუ არა და არაო,—მიუგო მენახირემ.

რას იზამდნენ სიძეები, მიაკრევინეს ცხენს წიხლები, წაიღეს ყურძენი. ხელმწიფეს ვერც ყურძენმა უშველა რაიმე. ისევ დაიბარა სიძეები და უთხრა:

— ირმის რძე მომიტანეთ, თუ მარგებს ის მარგებსო.

მენახირემ ახლაც გაასწრო სიძეებს, ამოიღო ნაფოტი და დაიკივლა:

— ნაფოტო, შენსა მზესა, შენი გამომცემის მზესა, რაც ირმები არიან, სულ აქ მოგროვდნენო.

მოცვივდნენ ყოველი მხრიდან ირმები და ერთ ადგილას მოგროვდნენ.

ქვისლები მივიდნენ მენახირესთან და სთხოვეს:

— ირმის რძე მოგვყიდეო.

— თუ თითო შოლტ ტყავს ამაძროობინებთ, მაშინ მოგყიდითო,—მიუგო მენახირემ.

რას იზამდნენ ქვისლები, ააძროობინეს თითო შოლტი ტყავი. მენახირემ მისცა ირმის რძე და მიუტანეს სიმამრს. ხელმწიფე მორჩა, დიდი მეჯლისი გამართა. მენახირემ კარგად ჩაიცვა და ხალხში გაერია. ხელმწიფის სიძეებმა დაინახეს მენახირე და უთხრეს სიმამრს:

— აი ის კაცი გვაძლევდა უკვდავების წყალს, უკვდავების ყურძენს და ირმის რძესაო.

ხელმწიფემ ახლო მიიწვია უცხო სტუმარი, გვერდით მოისვა და ჰკითხა:

— ვინ ბრძანდები, სადაური ხარო?

მენახირემ არაფერი უპასუხა ამაზე და ჰკითხა:

— უფროსი ქალები თუ დაპატიჟეთ მეჯლიშზე, რატომ უმცროსი ქალი არა გყავთ დაპატიჟებულიო?

— უმცროს ქალს ცოცხლებში აღარ ვთვლი, ისეთი მსხარა მენახირე ქმარი შეირთო, რომ საქვეყნოდ თავი მომჭრაო,—მიუგო ხელმწიფემ.

— მენახირე სიძე მე გახლავარ, რით მჯობიან სხვა სიძეები, ჩემგან მოჰქონდათ უკვდავების წყალი, უკვდავების ყურძენი და ირმის რძე; აი მაგათი ყურის ბიბილოები, საშოლტე ტყავები, გახადეთ შარვლები, თუ ჩემი ცხენის ნალის კვალები არ ამჩნევიათო,—თქვა მენახირემ და გამოხსნა ხელსახოცში გახვეული ყურის ბიბილოები და ტყავები.

ხელმწიფე დარწმუნდა მენახირე სიძე სჯობნებია სხვა სიძეებსო, პატიება სთხოვა და თავისი სახელმწიფო ჩააბარა.

ყოფილმა მენახირემ დაპატიჟა ძმობილი გველეშაპი, მამა და ძმები. სანამ გამოეცნაურებოდა მამას ჰკითხა:

— შვილი ხომ არა გყავს დაკარგულიო?

— მგონი ერთ დროს დავკარგე პატარა შვილი, კარგად არ მახსოვსო, — მიუგო მამამ.

გველეშაპს გული მოუვიდა და თქვა:

— მეც უდიერ მამისაგან ვარ დაკარგული და გველის ტყავში გავიზარდეო.

შვილი გამოეცნაურა მამას და თავის სახელმწიფოში ცხოვრობდა ბედნიერად.

გველის წიწილი

ხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი. ცოლმა დაამზადა ძაფის გორგალი და ქმარს გაატანა გასაყიდად.

კაცმა გზაში ნახა, რომ ბავშვებს ხელში ჩაეგდოთ გველის წიწილი და აწვალებდნენ. შეეცოდა პატარა გველი, ბავშვებს ძაფის გორგალი მისცა და გველის წიწილი შინ წამოიყვანა.

ცოლი გაუწყრა ქმარს:

— რად გვინდა გველის წიწილი, ძაფის გორგალი ამაში როგორ დაკარგე, წაიყვანე, გადააგდე, მომაშორეო!

— ამალამ სად უნდა წავიყვანო, იყოს აქ და ხვალ თავის დედ-მამას მივგვრიო, — მიუგო ქმარმა.

მეორე დღეს მართლაც წაიყვანა გველი. გზაში ერთი მეცხვარე შეხვდა.

— ეს გველის წიწილი მინდა თავის დედ-მამას ჩავაბარო, არ ვიცი სად იქნებიან, იქნებ შენ იცი და მასწავლეო, — სთხოვა მეცხვარეს კაცმა.

— მე ვიცი იმათი ბინა, ამა და ამ ალაგას არიან; როცა დაგინახავენ, უამრავ თვალ-მარგალიტს, ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენ, იცოდე, არ აიღო; იმათ ერთი ძველი სუფრა აქვთ, ის სუფრა ნატვრის სუფრა არის — რომ გაშლი, 'რასაც ინატრებ, ყველაფერი მოგერთმევა, ის სთხოვე და წამოიღეო, — უთხრა მეცხვარემ.

გაუდგა კაცი გზას. მივიდა იქ სადაც მეცხვარემ ასწავლა. მიიყვანა გველის წიწილი, გველებს ძალიან გაეხარდათ დაკარგული შვილის ნახვა. მიიპატიჟეს კაცი, გაუშალეს ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და სთხოვეს—რამდენიც უნდოდა აერჩია და წაეღო.

კაცმა თვალ-მარგალიტი არ აიღო, მხოლოდ ძველი სუფრა ითხოვა. გველებმა დაუნანებლად, სიხარულით მისცეს.

წამოვიდა კაცი შინ, წამოიღო ნატვრის სუფრა.

ცოლი გაუწყრა:

— რად გინდა ეს ძველი სუფრა ხომ ჩვენცა გვაქვს, რატომ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი არ გამოართვიო?!

კაცმა აიღო სუფრა, გაშალა და თქვა:

— სუფრავ, სუფრავ, შენსა მზესა, ჩემსა მზესა, შენი გამოცემის მზესა: რაც ამ საწყალ ხალხს გვეკადრებოდეს, აქ მოგვერთვასო.

სუფრა აივსო ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელით.

რასაც ინატრებდნენ, ყველაფერს აჩენდა სუფრა.

ცოლ-ქმარი გამდიდრდა.

ცოლმა უთხრა ქმარს:

— ხელმწიფე მოვიწვიოთო,

ქმარს არ უნდოდა ხელმწიფის დაპატიჟება, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

მოიწვიეს ხელმწიფე თავის ნაზირ-ვეზირებით.

გაშალეს სუფრა, აივსო იქაურობა ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელით.

ხელმწიფეს გაუკვირდა, მოსამსახურეები არსადა ჩანდნენ, სხვადასხვა საჭმელი-კი მოდიოდა.

ბოლოს მიხვდა ხელმწიფე, რაშიაც იყო საქმე. დაამთავრა თუ არა სადილი, აიღო სუფრა, დაკეცა, მისცა ვეზირს წასაღებად და წავიდა.

დაბრუნდა ცოლ-ქმარი.

კაცი წავიდა ისევ გველებთან. გზაში ისევ ის მეცხვარე შეხვდა და შესჩივლა:

— ხელმწიფე დავპატიჟე, მოეწონა სუფრა და წამართვაო.

მეცხვარემ უთხრა:

— გველები კიდევ შეგთავაზებენ ბევრ ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს, მაგრამ არ აიღო. კარებს უკან ერთი რაში ჰყავთ, რამდენსაც დაიფრუტუნებს, ცალ ნესტოდან ოქროსა ყრის, ცალიდან ვერცხლს; თითო დაფრუტუნებაზე თოფრას ავსებს; ის მოითხოვე და მოგცემენო.

კაცი მივიდა გველებთან. დაინახა თუ არა წიწილმა, მაშინვე იცნო, გახარებული გაექანა და ყელზე შემოესკვნა. გველებიც მიეგებნენ; გაუშალეს თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი. კაცმა არ აიღო, რაში სთხოვა. გველებმა ისიც დაუნანებლად მისცეს.

წამოიყვანა შინ რაში. რამდენსაც დაიფრუტუნებდა თოფრა ოქრო-ვერცხლით ივსებოდა. ისევ გამდიდრდნენ.

ერთ დღეს ცოლმა აიხირა, აბანოში რაშით უნდა წავიდეო. წავიდა. შევიდა აბანოში. იმ დროს ხელმწიფის ცოლიც იქ ბანაობდა. გამოვიდა და ნახა მშვენიერი რაში.

ხელმწიფის ცოლს შეშურდა, ვიღაცა დედაკაცს უნდა ჰყავდეს ამისთანა რაში და მე უბრალო ცხენიო? აუშვა რაში, შეჯდა და გააქროლა. თავისი ცხენი იქ დატოვა.

დედაკაცი გამოვიდა აბანოდან, შეჯდა ცხენზე და წავიდა; ვერ გაიგო, რომ რაში შეუცვალეს. მივიდა შინ და ქმარს უთხრა:

— ხედავ, კაცო, როგორ იცვალა ფერი ჩვენმა რაშმა?

ცხენს ნესტოებიდან ოქრო-ვერცხლი არ ჩამოსდიოდა. მიხვდნენ, რომ ხელმწიფის ცოლმა წაიყვანა რაში.

კაცი ახლა კიდევ გველებთან წავიდა.

გზაში ისევ ის მეცხვარე შეხვდა, შესჩივლა:

— რაში ხელმწიფის ცოლმა წამართვაო.

მეცხვარემ დაარიგა:

— გველები კიდევ დიდი სიხარულით მიგიღებენ, გა-

გიშლიან თვალ-მარგალიტს, ოქრო-ვერცხლს, მაგრამ არც ახლა აიღო. იქ იქნება ერთი გოგრა, ისა სთხოვე და მოგ-ცემენო. წამოიღე გოგრა, მიიტანე ხელმწიფესთან, მოს-თხოვე შენი სუფრა და რაში; თუ უარს გეტყვის, გოგრა იფეთქებს, გასკდება, ხილმწიფის სახლს, არემარეს გადაწ-ვავს; სუფრა, რაში, და მთელი სახელმწიფოც შენ დაგ-რჩებაო.

კაცი მივიდა გველებთან. გველები ისევ სიხარულით, წივილ-სისინით მიეხვივნენ, გაუფინეს ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი. კაცმა არ აიღო, მადლობა გადაუხადა ბევრი პატივცემისათვის და გოგრა სთხოვა.

გველებმა გოგრაც უშურველად მისთავაზეს.

კაცმა წამოიღო გოგრა, მიიტანა ხელმწიფესთან და თავისი სუფრა და რაში მოსთხოვა.

ხელმწიფე გარისხდა სუფრისა და რაშის მოთხოვნა როგორ გაბედაო. უბრძანა კარის კაცებს ცემით გაეგდოთ.

მივარდნენ კაცს საცემრად კარისკაცები. ამ დროს იფეთქა გოგრამ, და ხელმწიფის სახლკარი, არემარე ცეცხლის ალში გაეხვია.

რაში, სუფრა და მთელი სამეფო კაცს დარჩა.

ჭირი იქა,
ლხინი აქა.

ცრუ და მართალი

ყო ორი ამხანაგი. ერთი იყო ცრუ და მეორე მართალი. ცრუს თავის დღეში სიმართლე არ ეთქვა და მართალს — სიცრუე.

ერთხელ ცრუმ უთხრა მართალს:

— გავაკეთოთ საგზალი პური და მჭადი, წავიდეთ ბედის საძებნელად, იქნება ხეირს შევეყაროთო.

— კარგიო—მიუგო მართალმა.

გამოაცხვეს პურები, მჭადები და გაუდგნენ გზას. საგზალი ცრუმ წამოიკიდა ზურგზე.

იარეს, იარეს, მოშივდა მართალს და შეეხვეწა ცრუს:

— ცოტა თუ არ მაჭამე, შიმშილისაგან დავსუსტდი, სიარული აღარ შემიძლიაო.

ცრუმ უარი უთხრა:

— რა დროს ჭამაა, ფეხი გამოადგი ჩქარაო.

რას იზამდა მართალი კაცი, განაგრძო სიარული, მაგრამ უარესად დასუსტდა და ისევ შეევედრა ამხანაგს:

— ცოტა მაინც მაჭამეო.

ცრუ ამხანაგმა უთხრა:

— თუ მარჯვენა თვალს ამოიგლეჯ, გაჭმევო.

რაღა უნდა ექნა მართალს, შიმშილით კუჭი ეწოდა, ამოითხარა მარჯვენა თვალი და ლუკმისათვის ხელი გაიშვირა.

ცრუმ ჩვეულებრივად იცრუა და უთხრა ამხანაგს:

— ჯერ ცოტა კიდევ იარე და მერე გაჭმევო.

ძლივსძლივობით კიდევ განაგრძო მართალმა გზა, მაგრამ შიმშილმა ძლიერ შეაწუხა და ისევ სთხოვა ამხანაგს პატარა მჭადი.

ცრუმ უთხრა:

— სანამ მეორე თვალს არ მოითხრი, არას გაჭმევო.

მართალს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ამოითხარა მარცხენა თვალიც და მჭადისათვის ცრუს ხელი გაუშვირა.

ცრუმ მჭადის ნაცვლად ბრმას ხელში ქვა ჩაუდვა დ სადღაც გაეპარა.

დარჩა მართალი თვალებდათხრილი მარტო, უდაბურ ტყეში. შეწუხდა საწყალი, მაგრამ რას იზამდა. გადადგა ორი ნაბიჯი და ხეს დაეჯახა. ბოლოს იფიქრა, ძირს რომ დავრჩე, ნადირი შემჭამსო და დიდი გაჟირვებით ხეზე აცოცდა. მოუსვა ხელები აქეთ-იქით და ხელში მწიფე მსხალი მოჰყვა—ხეს თურმე მსხალი ესხა ბლომად; დაიწყო ბრმამ ჭამა და ძალზე გაძღა.

გავიდა ცოტა ხანი და ბრმას ხის ძირიდან რაღაც ხმა შემოესმა. თურმე სამი ქაჯი მოსულა და ერთიმეორეს რაღაცას ელაპარაკებიან.

ქაჯებმა თქვეს: ვთქვათ, ვინც რა ვიცითო. ერთმა დაიწყო:

— მე ის ვიცი, რომ აქ ერთი წყალია და ზევით ხეზე რომ ბრმა ზის, ის რომ იმ წყლით თვალს ამოირეცხდეს, მაშინვე აეხილებაო.

მეორემ თქვა:

— ამა და ამ ქვეყანაში ფულის ქესატობაა [1], იქ ერთი დიდი ჭადრის ხეა, მის ძირში აუარებელი ფულია; ვინც ჭადარს მოთხრის, ფულიც მისი იქნებაო.

მესამემ თქვა.

— ამა და ამ მეფეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს და

[1] ქესატობა—ფულის ნაკლებობა.

უკვდება, ვერავინ ვერ უშველა და არც მორჩება, თუ არ მოკლეს ის ბაყაყი, რომელიც ქალის ტახტის ქვეშაა.

ბრმამ გაიგონა ქაჯების ნალაპარაკევი.

ქაჯები წავიდნენ. ბრმა ჩამოცოცდა ძირს, როგორც იქნა მოძებნა წყალი, ამოიბანა თვალები და მორჩა, აეხილა თვალები.

წავიდა ჭადრის ხის საძებრად და იმასაც მიაგნო. მივიდა იქაურ მეფესთან და მოახსენა:

— რას მარგებ, იმდენი ფული რომ აღმოვაჩინო, შენს სახელმწიფოში ყველას ეყოსო.

მეფემ უპასუხა.

— ოღონდ აღმოაჩინე და რამდენიც გენებოს, მიირთვიო.

წავიდა მართალი კაცი, წაიყვანა მეფის კაცები, მივიდა ჭადართან, მოთხარა, ამოიღო უამრავი ფული და მეფეს მიუტანა. ერთი ჯორკიდებული თითონ აიღო და მეფეს მიაბარა.

მართალი კაცი წავიდა მეორე სახელმწიფოში, მივიდა იქაურ მეფესთან და მოახსენა:

— მეფეე, რას მიბოძებ გასამრჯელოდ, შენი ქალი რომ მოგირჩინოო?

მეფე დაჰპირდა: ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ, თუ კი ქალს მომირჩენო.

შევიდა მართალი ქალის ოთახში, გამორეკა ყველა გარეთ, მონახა ტახტქვეშ ბაყაყი, მოკლა — და ქალიც მორჩა.

გახარებულმა მეფემ უხვად დაასაჩუქრა ეს ექიმი, გამოიტანა ჯორკიდებულები და გამოისტუმრა.

მართალმა კაცმა გამოიარა პირველ მეფესთან, გამოართვა მიბარებული ფული და წამოვიდა სამშობლოში. იწყო მდიდრული ცხოვრება.

გაიგო ცრუმ მართალი ამხანაგის გამდიდრება, მოვიდა და ჰკითხა:

— რამ გაგამდიდრაო?

მართალმა ყველაფერი სიმართლით უამბო.

ცრუმ იფიქრა: გაკეთდა ჩემი საქმე, თუ ასე ადვილად შეიძლება გამდიდრებაო, წავიდა ტყეში, მონახა ის მსხლის ხე და აცოცდა ზედ. ღამით მოვიდნენ ქაჯები ხის ძირში და დაიწყეს ლაპარაკი.

გახარებული ცრუ სმენად გადაიქცა.

ერთმა ქაჯმა თქვა:

— ამ ხეზე ცრუ კაცი ზის, ჩამოვიყვან ძირს და ერთს რჯულზე მივბეგვავო.

მეორემ დაუმატა:

— მე სულ მოვკლავო.

მესამემაც დაურთო:

— ეს მოლესილი დანა რად მინდა? მე სულ ლუკმა-ლუკმად ვაქცევო.

ქაჯებმა შეასრულეს თავიანთი ნათქვამი: ერთმა ძირს ჩამოიყვანა ცრუ და მიბეგვა, მეორემ სულ მოკლა, მესამემ გალესილი დანით ლუკმა-ლუკმად აკუწა.

ასე გათავდა ცრუს დღე-ბედი.

მუჭანახევარი

ყო და არა იყო რა, იყო ორი კაცი. ერთი ქოთანი ლობიო ჰქონდათ მოსახარში, მაგრამ მარილი არ მოეპოებოდათ. შედგეს შეჭამადი; ერთმა უთხრა მეორეს:

— მარილი არა გვაქვს შეჭამადისთვის, წადი ქალაქში და იყიდე მუჭანახევარი მარილიო.

— მუჭანახევარი დამავიწყდება, როგორ დავიხსომოო?—უპასუხა მეორე კაცმა.

— გზაზე იძახე სულ მუჭანახევარი, მუჭანახევარი და არ დაგავიწყდებაო,—დაარიგა პირველმა.

მიდის ეს კაცი ქალაქისაკენ და გაიძახის:

— მუჭანახევარი, მუჭანახევარიო.

— ამ დროს ერთ კაცს მოეხნა მამული, პურსა თესდა და გაიძახოდა:

— ერთი—ათასად, ერთი—ათასადო!

ჩამოიარა ქალაქში მიმავალმა კაცმა და დაიძახა:

— მუჭანახევარი, მუჭანახევარიო.

მთესველს ბრაზი მოუვიდა: მე ერთი-ათასად მინდა მომივიდეს და ეს-კი მუჭანახევარს იძახისო. დაიჭირა კაცი, დასცხო და დასცხო; კარგად რომ იჯერა გული, თავი დაანება.

კაცმა უთხრა:

— რადა მცემე, რა დაგიშავე, რომ კინალამ მომკალიო?

— იმიტომ გცემე, რომ მე ვიძახი ერთი—ათასად მომივიდეს მეთქი და შენ-კი მუჭანახევარს გაიძახიო,—უპასუხა მთესველმა.

– მაშ როგორ უნდა მეთქვაო?

— როგორ და „ერთი—ათასად, ერთი—ათასად“ და მადლობას გეტყოდიო.

მიდის მარილის მყიდველი. მივიდა ერთ სოფელში. იქ ვილაცა მომკვდარა და მიაქვთ დასამარხავად. გაუარა გვერდით და დაუძახა:

— ერთი – ათასად, ერთი – ათასადო.

გამოუხტნენ მიცვალებულის პატრონები, მიარტყეს და მიაყოლეს. გული რომ მოიჯერეს, თავი დაანებეს.

— რაზე მკლავთ, რას მერჩითო?—შეეკითხა მარილის მყიდველი.

— ერთის სიკვდილი გვიმძიმს და შენ-კი ათასის სიკვდილს გვისურვებო,—მიუგეს ჭირისუფლებმა.

— მაშ რა მექნა, როგორ უნდა მეთქვაო?

— როგორა და უნდა მოსულიყავ, ქუდი მოგეხადა და გეთქვა: ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოს თქვენს ოჯახშიო. მაშინ პატივს გცემდით და ისე გაგისტუმრებდითო.

წავიდა მუჭანახევარა და ერთ ალაგას მაყრიონ-ნეფიონს შეხვდა. მოიხადა ქუდი, დადგა და დაიძახა:

— თქვენს ოჯახში ეგ ამბავი პირველი და უკანასკნელი იყოსო.

გადმოუხტნენ მაყრები მუჭანახევარას; დადეს და აიღეს; მიარტყეს და მოაყოლეს, იმდენი სცემეს, რომ რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცეს; როცა გული იჯერეს, თავი დაანებეს.

მუჭანახევარამ ძლივს მოიბრუნა სული და მაყრებს უთხრა:

— რაზე მკლავთ, რა დაგიშავეთ, მე აგრე მასწავლეს, მაშ როგორ უნდა მეთქვაო?

— უნდა მოგეხადა ქუდი, მოსულიყავ და გეყვირა: ნეფიონს გაუმარჯოსო.

მუჭანახევარას ამდენი ცემისაგან გვერდები სტკიოდა. ისევ განაგრძო გზა. გზაზე სულ იმას ფიქრობდა, — რა უნდა ვთქვა, კიდევ რომ შემხვდეს ვინმეო? დაინახა ერთი მონადირე. შეუყენებია თოფის ჩახმახი და მტრედებს ეპარება. მუჭანახევარამ მაშინვე მოიხადა ქუდი, მონადირისაკენ გაექანა და დაიყვირა:

— გაუმარჯოსო!

ხმაურზე აფრთხიალდნენ მტრედები და გაფრინდნენ.

წამოხტა მონადირე და გაბრაზებული გაეშურა კბილების კრაჭუნით მუჭანახევარასაკენ. მივიდა მასთან და თოფის კონდახი ზურგში უდო და უდო. იმდენი სცემა საწყალს, რომ კინაღამ წუთისოფელს გამოასალმა. გული იჯერა ცემით და თავი დაანება.

— შებრალება აღარ იცი, კაცო? რომ მცემ, რადა მცემ, რა დაგიშავე? მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რა მეთქვა, ან რა მექნაო?—ჰკითხა მუჭანახევარამ.

— ხმა არ უნდა ამოგეღო, უნდა დაკუზულიყავი და ისე გაგევლო; მტრედები ვეღარ დაგინახავდნენ, არ გაფრინდებოდნენ და აღარც ამ კონდახებს იგემებდიო.

მიდის მუჭანახევარა ისევ თავის გზაზე. მიადგა ერთ ღობეს. დაინახა ოთხი კაცი, ფულიანი ქისა დაკარგვიათ და ეძებენ. დაიკუზა მუჭანახევარა და ჩუმად მიიპარება ღობის ძირზე. დაინახეს კაცებმა, რომ ვიღაც მიიპარება, ქურდი ჰგონიათ. გამოუდგნენ, სტაცეს ხელი ჩოხის ბოლოში, დაიჭირეს, ამოიდეს ფეხებქვეშ და უდეს და უდეს. თან სცემდნენ და თან ლანძღავდნენ:

— შენ არამზადა, უაჩაღო, ქურდო, ჩვენი ქისა იპოვნე და მალავო.

იმდენი სცემეს საწყალს, რომ უკან დაბრუნებული შინისაკენ ძლივს მიათრევდა ფეხებს.

ჭირი იქა,
ლხინი აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა.

ზარმაცი



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი მეტისმეტად ზარმაცი იყო, არაფერს არ აკეთებდა, იჯდა, ჰამდა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე. ცოლი შრომობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქმარსაც კვებავდა, აცმეკდა და თავისთავსაც. მაინც ღარიბად ცხოვრობდნენ. ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდათ სადღაც შორს, რიყეზე [1] და ქვიშაზე, ზედ ღოლო [2] და ჭინჭარი იდგა, არაფერი მოდიოდა.

ერთ გაზაფხულზე ცოლმა თესლი ჩამოითხოვა. მოახვნევინა მეზობლებს მიწა და მოათესინა. ამოვიდა ყანა, მაგრამ რა ყანა: სულ ზღვასავით ღელავდა.

მოვიდა მკათათვე. ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, ადექი, წადი, ყანას დახედე, იქნება არაფერი მოსულა და ჩვენ ტყუილუბრალოდ იმედი გვქონდესო.

ზლაზვნით წამოდგა ზარმაცი, წავიდა ყანის სანახავად. ნახევარი გზაც არ გაუვლია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლი მოატყუა:

— წავედი, ვნახე, ღოლოსა და ჭინჭრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაზე გადავყარეთ ტყუილადო.

---

[1] რიყე—მდინარის პირი, ქვიანი და ქვიშიანი.

[2] ღოლო—ერთნაირი მცენარეა.

ცოლმა იცოდა, რომ ქმარი ტყუოდა, მაგრამ არაფერი უთხრა.

როცა ყანა სამკალი გახდა, ცოლმა უთხრა ზარმაც ქმარს:

— კაცო, ან სამკალს წადი, ან შინ დარჩი და რძე შედღვიბე, კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე, თვალი დაიჭირე და თანაც ფქვილი გასცერი და პური გამოაცხვეო.

ზარმაცმა შინ დარჩენა არჩია. კრუხ-წიწილა არსად წავიდესო—აიღო ძაფის გორგალი, ერთმანეთს გადააბა და კალოზე გაუშვა. უცებ საიდგანღაც გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და ერთბაშად ყველა გააქანა.

წამოიკიდა ზარმაცმა ფქვილიანი გუდა, სარძევე და ისე გამოუდგა ქორს. იფიქრა: კრუხ-წიწილასაც დავაგდებინებ ქორს, ფქვილიც გაიცრება, რძეც შეიდღვიბება და ერბაშად ყველა საქმეს გავაკეთებო.

ვერც კრუხ-წიწილა დაატოვებინა ქორს, ფქვილი დააპნია, რძეც დაღვარა და დაბრუნდა შინ.

შეფიქრიანდა ზარმაცი:

-- რაღა ვუთხრა ცოლს, საიდან ვუშოვო კრუხ-წიწილა, ან ფქვილი და რძეო?

იფიქრა, იფიქრა და მოიგონა:

— ჩემს ცოლს ხომ კვერცხები აქვს შენახული, ჩავაწყობ იმას ბუდეში, ზედ დავაჯდები და ვიდრე ჩემი ცოლი სამკალიდან დაბრუნდება, წიწილებს გამოვჩეკ კიდეცაო.

იფიქრა ეს და შეასრულა კიდეც. ჩააწყო კვერცხები ბუდეში, ზედ თითონ დააჯდა და მოჰყვა კრუხ-კრუხს.

საღამოზე ცოლი დაბრუნდა სამკალიდან და ქმარს დაუძახა:

— კარი გამიღე.

— კრუხ-კრუხ-კრუხ!—მოესმა სახლიდან.

— კარი გამიღეო,—გაიმეორა ცოლმა.

— კრუხ-კრუხ-კრუხ!—მოესმა კიდევ.

მესამედ კიდევ დაუძახა:

— სადა ხარ, სად დაიკარგე, ჩქარა კარი გამიღეო!

მაგრამ ხმა არავინ გასცა და მარტო კრუხ-კრუხ ისმოდა სახლიდან.

ცოლმა შეამტვრია კარები, შევიდა სახლში და რას ხედავს: ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუხუნებს.

— რა არის, კაცო, ეს რა მოგიგონებია, რასა შვრებიო?! —გაუწყრა ცოლი.

— კრუხ-წიწილა ქორმა წამართვა, კვერცხებს დავაჯექი გამოსაჩეკადო,— უპასუხა ქმარმა.

— არ მინდა შენი გამოჩეკილი წიწილები, ამოდი ბუდიდანაო,! — უთხრა ცოლმა, ზარმაცი ქმარი ბუდიდან ამოიყვანა და კერაზე დასვა.

მეორე დღეს ცოლმა ისევ ჰკითხა ზარმაცს:

— რას იზამ: ისევ შინ დარჩები და სახლს მოუვლი, თუ სამკალში წახვალო?

— სამკალში წავალ, მარტოკა მე მოვმკი იმ ყანას, თუ დღეში სამ ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმადო,—უპასუხა ქმარმა.

— ოღონდ შენ ის ყანა მომკე და თუნდ ოთხ ქათამსაც დაგიკლავო,—უთხრა ცოლმა.

წავიდა ზარმაცი ყანაში. მთელი დღე ეგდო და ეძინა. სამი ქათამი შეჭამა და სამი ძნა კი ვერ მოჭრა. ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. სამკალი თითქმის მიწას ერთვოდა.

ერთ დილას ადგა ზარმაცის ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი, იარაღი; ჩაიცვა ტანზე, იარაღი აისხა, შეჯდა ცხენზე და ქმრისაკენ გასწია, მიუახლოვდა ზარმაცს და დაუძახა:

— მომკალო, ერთი ზარმაცი კაცი ხომ არ იცი, ხელმწიფეს შვილი ჰყავს ავად, უკვდება; ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო.

ზარმაცი შეშინდა და შეჰფიცა:

— აი ეს ერთი საათია, რაც მკა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდიო.

— თუ საღამომდის არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, ენახავ, თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგაცლი და ხელმწიფეს წავუღებო.

ეს თქვა, გასცდა და წავიდა.

ეცა ზარმაცი ყანას, დატრიალდა, საღამომდის ბოლი ااადინა, სულ მომკა. საშინლად მოიქანცა, დაჯდა და დაიწყო ქშენა.

საღამოზე ცოლმა ვახშამი მოუტანა, მაგრამ ზარმაცს ჭამის თავი აღარა ჰქონდა, იჯდა და კვნესოდა.

ცოლი შეეკითხა:

— რამ დაგღალა ასეო?

ზარმაცმა უამბო:

— დილით ერთმა ხელმწიფის კაცმა გამოიარა და დამემუქრა: თუ საღამომდის არ მომკი ყანას, მოვალ, თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგაცლი და წავიღებო.

— მერე, შენ რისი გეშინია, ყანა მოგიმკია, ის შენ არაფერს გეტყვისო,—გაუკეთა გული ცოლმა.

ცოლმა და ქმარმა მოაგროვეს ძნები, გალეწეს, ჩაყარეს მარცვლები და შინ წამოვიდნენ.

ზარმაცს ერთი ღორი ჰყავდა; რაც რამე ებადა, იმას აჭმევდა.

ცოლმა უთხრა:

— კაცო, ჩვენთვის არაფერი გვაქვს რომ ვჭამოთ, და შენ ყველაფერს ღორს აჭმევ, მოვიშოროთ, დავკლათო.

— სანამ სიმსუქნისაგან ქონი გარეთ არ გამოუვა, არ დავკლავო,—უპასუხა ქმარმა.

ერთ დღეს ცოლმა გაათბო ერბო, მიასხა ღორს, მიიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა:

— შეხედე, ისე გასუქებულა, რომ ქონი გამოსდისო.

დაიჯერა მცონარამ, დაკლა თავისი საყვარელი ღორი, რადგანაც მუცელი უფრო უყვარდა. ღორის ხორცი მალე შეჭამა, მხოლოდ ერთი ბარკალი-ღა დარჩა, რომელიც მისმა ცოლმა გადამალა.

შეიტყო, ცოლს ღორის ბარკალი დაუმალავსო, და გადაეკიდა—მომეციო.

ცოლმა უარი უთხრა.

— თუ არ მომცემ, მოვკვდებიო,—უთხრა ზარმაცმა.

— მოკვდი, თუ მოკვდები, ვის დააკლდებიო,—მიუგო ცოლმა.

ზარმაცი გაიშოტა ტახტზე, დახუჭა თვალები, სული განაბა, თავი მოიმკვდარუნა. ცოლმაც დაიწყო ვითომ ტირილი. გააკეთებინა კუბო, ჩადვეს შიგ, მოიყვანეს მღვდელი და წაიღეს საყდარში.

ცოლი მივიდა ქმართან და ჩასჩურჩულა:

— გაცოცხლდი, თორემ მართლა დაგმარხავთო.

— მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო,—უპასუხა ქმარმა.

— გაცოცხლდიო,—დაუჟინა ცოლმა.

— გავცოცხლდები, თუ ღორის ბარკალს მომცემო,— უთხრა ქმარმა.

— არაო,—მიუგო ცოლმა.

— მაშ არც მე გავცოცხლდებიო,—უპასუხა ზარმაცმა.

დაასვენეს მცონარა ეკლესიაში და შინ წამოვიდნენ.

როცა დაღამდა, ადგა ზარმაცის ცოლი; მივიდა საყდრის კარებთან და დაიძახა:

— მკვდრებო, ახლებო და ძველებო! გაიგონეთ, ადექით, ცაში საყდარი შენდება; ვინც ახალი მკვდარი ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ, ვინც ძველი—ას-ასიო.

გაიგონა ზარმაცმა, შეშინდა: მე ხუთ აგურსაც ვერ ვზიდავ, ორასი როგორ უნდა ავიტანო ცაშიო, წამოხტა და ეკლესიიდან შინისაკენ მოუსვა.

ის დღე დაიმახსოვრა, აღარც თავი მოუმკვდარუნებია, აღარც ღორის ბარკალი მოუთხოვნია და აღარც გვერდზე უგორავნია, მუდამ შრომობდა და ცხოვრობდნენ მდიდრად და ტკბილად.

ყლასა—მელასა
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელს და გამგონებელს,
ჭირი გაშოროთ ყველასა.

ოსტატი და შეგირდი



ყოფილ ერთი ღარიბი გლეხი, ჰყავდა ერთი ვაჟი შვილი. წაიყვანა შვილი და აღსაზრდელად ერთ ოსტატიანს, თვალთმაქცი ოსტატს მიაბარა.

ოსტატმა გლეხს პირობა დაუდო:

— ჩემს ხელობას შევასწავლი, მოდი შემდეგ და თუ შენი შვილი ვერ იცნო, ჩემი იყოსო.

გლეხი დაეთანხმა.

ერთი თვის განმავლობაში შეგირდმა იმდენი რამ ისწავლა, რომ ოსტატს გადააჭარბა თავის ხელობაში.

წამოვიდა გლეხი შვილის სანახავად. შვილი გზაში შეხვდა, მაგრამ ვერ იცნო.

შვილი გამოეცნაურა მამას და დაარიგა:

— სადილად რომ დავჯდებით, მე ღვინოს დავასხამ; ოსტატი რომ გკითხავს რომელია შენი შვილიო, შენ მიუგე, ღვინოს რომ ასხამს ის არის-თქო.

გლეხიც ასე მოიქცა და წამოიყვანა თავისი შვილი.

გზაში შვილი ფეხმოტეხილ ჩხიკვად გადაიქცა. მამამ სდია, სდია, ვერ დაიჭირა.

ჩხიკვმა დაუარა თავი და უკან დასკუპდა.

მამამ მოიხედა უკან, შვილი დაიხახა და საყვედურით მიმართა:

— შვილო, უკან რომ არ ჩამორჩენილიყავ, იმ ჩხიკვს დავიჭერდითო.

— ის ჩხიკვი მე ვიყავიო,—მიუგო შვილმა.

მამას გაუკვირდა ძალიან, ეს რა უსწავლია ჩემს შვილსო.

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟი ფეხმოტეხილ კურდღლად გადაიქცა და მამას წინ გადაუარა.

გამოეკიდა მამა, სდია, სდია, ვერ დაიჭირა. მოიხედა და უკან ჩამორჩენილი შვილი დაინახა. საყვედურებით აავსო:

— შვილო, რომ მომყოლოდი, იმ კურდღელს არ გავუშვებდიო.

ის კურდღელიც მე ვიყავიო,—მიუგო ვაჟმა.

მამას ახლა უფრო გაუკვირდა.

მესამეთ ვაჟი ჯორად იქცა, შეისვა მამა ზურგზე, შინ მიიყვანა და ისევ ვაჟად გადაიქცა.

გლეხი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. ერთხელ შვილმა ურჩია მამას:

— მე ჯორად ვიქცევი, შენ წამიყვანე, გამყიდე, მხოლოდ ჩემს ოსტატს არამც და არამც არ მიმყიდოო.

ვაჟი იქცა ჯორად. წაიყვანა გლეხმა გასაყიდად. გზაში ხიდთან ოსტატი შეხვდა. შეევაჭრა ოსტატი, მაგრამ გლეხმა უარი უთხრა, არ მიჰყიდა.

ოსტატმა სამას თუმნამდე ასწია ფასი, შეაცდინა გლეხი და იყიდა ჯორი. მიიყვანა შინ, დაბა თავლაში და ცოლ-შვილს უთხრა:

— მე სხვაგან მივდივარ, არამც და არამც ჯორი გარეთ არ გამოიყვანოთო. წყალი თუ მოუნდეს, შიგ თავლაში ასვითო.

ოსტატი წავიდა. მეორე დღეს მივიდნენ შვილები ჯორთან. შეკუნტრუშდა ჯორი. შვილებმა თქვეს:

— გავლა უნდა, მოდი, წყალზე წავიყვანოთო.

წაიყვანეს. მიუახლოვდა თუ არა ჯორი მდინარეს, იქცა თევზად და წყალში შეცურა.

დაბრუნდა ოსტატი შინ, იკითხა ჯორი. გაიგო რაც მოხდა, იქცა ბადედ და დაიჭირა თევზი.

თევზი თაგვად იქცა და გაიქცა.

გადაიქცა ოსტატი კატად და გაედევნა თაგვს.

თაგვმა იმდენი ირბინა, რომ მზეთუნახავის კალთაში ჩახტა და ვაშლად იქცა.

კატა იქცა მათხოვრად, მივიდა მზეთუნახავთან და ვაშლი ითხოვა.

მზეთუნახავმა ვაშლი გადმოუგდო, მაგრამ ვაშლი ფეტვად იქცა და ძირს გაიპნა.

მათხოვარი წიწილებიან კრუხად იქცა, დაეხვივნენ მარცვლებს და დაუწყეს კენკვა.

ერთი მარცვალი ჭერში შეხტა, იქცა ნემსად და იქ შეერჭო.

კრუხი ძაფად იქცა და ნემსში გაეყარა.

ნემსი ჩახტა ცეცხლში, დაწვა ძაფი, იქცა ისევ ვაჟად და მამასთან დაბრუნდა.

სამი ღა

ყო და არა იყო რა, იყო ცოლი და ქმარი. ჰყავდათ სამი ქალი. ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ; მამული არა ჰქონდათ და დედული.

ერთხელ ცოლი თაროს წმენდდა; ამ დროს თაროდან ძირს პურის სამი მარცვალი გადმოვარდა. წაიღეს ეს მარცვლები, გაჩიჩქნეს მიწა და ჩათესეს შიგ. ისეთი ყანა მოვიდა, რომ ავი თვალით არ შეეხედებოდა, ზღვასავით იდგა. თავთავების სიმძიმისაგან ყანა მიწოლილი იყო. ცოლი და ქმარი სიხარულით ცას ეწეოდნენ.

დამწიფდა მარცვალი, შემოვიდა ყანა და ყველანი წავიდნენ სამკალად. მომკეს, შეკონეს და დადგეს უზარმაზარი ძნა. საღამოთი შინ წამოვიდნენ.

მეორე დღეს მამამ უფროსი ქალი ძნის სანახავად გაგზავნა. მივიდა ქალი,შეხედა და რას ხედავს: ძნას უზარმაზარი გველეშაპი შემოხვევია და კუდი პირში უპირავს. ქალს შიშისაგან გული წაუვიდა. როცა გონს მოვიდა, წავიდა მამასთან და უამბო, რაც იქ ნახა.

მეორედ მამამ შუათანა ქალი გაგზავნა: — ჰკითხე, რა უნდა გველეშაპს, რისთვის შემოჰკვრია ძნასაო?

წავიდა ქალი, მაგრამ დაინახა თუ არა უზარმაზარი გველეშაპი, შიშით კინაღამ გული გაუსკდა, ვერაფერი ვერ ჰკითხა და ისე წამოვიდა შინ.

მესამედ მამამ უმცროსი ქალი გაგზავნა. ქალი მივიდა გველეშაპთან და ჰკითხა:

— რა გინდა, რისთვის მოსულხარ, გვითხარიო.

— წადი, მამაშენს უთხარი, ერთერთი ქალი მომცეს ცოლადაო,—უთხრა გველეშაპმა.

ქალი მივიდა მამასთან და გადასცა გველეშაპის დანაბარები.

მამამ უფროს ქალს ჰკითხა:

— შვილო, გველეშაპს გაჰყვები ცოლად თუ არაო?

— გველეშაპს ცოლად როგორ გავყვებიო — უპასუხა ქალმა.

შუათანა ქალმაც ასე თქვა. ჯერი უმცროსზე მიდგა. უმცროსმა ქალმა თანხმობა გამოაცხადა, — გავყვებიო.

მივიდა ქალი გველეშაპთან და გაჰყვა. წინ გველეშაპი მიცურავს და უკან ქალი მისდევს. როცა სოფელს გასცდნენ, გადაიძრო გველეშაპმა ტყავი და ისეთ ვაჟკაცად იქცა, რომ უკეთესი არ შეიძლება. ქალს ძალიან გაეხარდა.

ვაჟმა უთხრა ქალს:

— ჩვენს ქვეყანაში ქაჯურად ლაპარაკობენ; დედაჩემმა რომ გითხრას კოკა გატეხეო, შენ ადექი და მიუტანე; რომ გითხრას წყალი დაღვარეო, წყალიც მიუტანე; თონე დაამტვრიეო რომ გითხრას,—შენ გაახურე; სუფრა აალაგეო— შენ გაშალე; ჯამები დაამტვრიეო — მიუტანე.

ამგვარად დაარიგა ვაჟმა ცოლი და მიიყვანა ქაჯების ქვეყანაში.

დედამთილმა დასაქმა პატარძალი:

— წყალი დაღვარეო.

ადგა ქალი და მიუტანა წყალი. ყველაფერს ისე ასრულებდა, როგორც ქმარმა დაარიგა. ყველას ძალიან უკვირდა: ახალი მოსული არის და საიდან იცის ყველაფერი აქაური წესი და რიგიო.

ქალი ყველას მოსწონდა და უყვარდა.

გავიდა ხანი. ქალი დაორსულდა. მშობიაობის დრო რომ მოახლოვდა, სამშობიაროდ სამშობლოში წაიყვანეს. უფროს დებს შეშურდათ მისი ცხოვრება.

ქალს ვაჟი შეეძინა. მივიდა ქმარი წასაყვანად. უფროსმა დამ მოინდომა გაჰყოლოდა დასა და სიძეს. ქალმა უთხრა:

— ნუ წამოხვალ, ბოროტი დედამთილი მყავს, არ მოგასვენებსო.

არ დაიშალა უფროსმა დამ და გაჰყვა. გზაზე ცოლისდამ უთხრა სიძეს:

— ჩემი და დაიღალა, ბავშვს მე გამოვართმევ, შენ წინ წადი და მოგეწევითო.

წავიდა ვაჟი წინ. დები უკან მიდიან. გზაზე ერთი ვაშლის ხე შეხვდათ, უტოტო, ძალიან მაღალი და წვერში დახუნძლული.

უფროსმა დამ უთხრა უმცროსს:

— მოდი, დაო, ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი, შენი არ დაგეხეს, გიშველი და ვაშლის ხეზე ადი, დაკრიფე და შენს ჩამოსვლამდის ბავშვს მე დავიჭერო.

რას იფიქრებდა საბრალო დედა, შვილი დას მისცა, დამ უშველა და ხეზე ავიდა. დაიწყო ვაშლის კრეფა. უფროსმა დამ მიატოვა ქალი ხეზე, აიყვანა ბავშვი და გაუდგა გზას. ტირის, ტირის ბავშვი, მუშტის ოდენა ცრემლები სცვივა, მაგრამ ვინ უგდებს ყურს. ვაშლის ხეზე ზის დედა და ესმის შვილის ტირილი, მაგრამ ხიდან მარტო ვერ ჩამოვიდა და დაუძახა დას:

დაო, დაო, ძუძუძალლო,
ნუ მიტირებ წულსა[1] ყრმასა,
შემომისვი ქანდარასა,
მოვაწოვებ პატარასა.

დამ ყური არ ათხოვა და განაგრძო გზა. დაინახა სიძე და დაუძახა:

— მოიცადე, ადამიანო, რძე გამიშრა და ბავშვი მიტირისო. დაუცადა კაცმა. კაცს თავისი ცოლი ჰგონია.

— სად არის შენი და, რომ აღარ მოდისო? — ჰკითხა კაცმა.

---

[1] წული — შვილი.

— მე ვუთხარი ჩემს დედამთილს ვერ გაუძლებ-მეთქი და უკან დაბრუნდაო.

მივიდნენ შინ. მიიყვანეს ბავშვიც. დედამთილი ეუბნება:

— რძალო, ლიტრა გატეხეო.

ისიც აიღებს ლიტრებს, ჩახ-ჩუხ და ამტვრევს.

— ჯამები დაამტვრიეო.

ისიც დასცხებს ჯამებს და დაამტვრევს.

— თონე გატეხეო.

აიღო ცული, დასცხო და დაამტვრია. სულ ერთიანად დაამტვრია ყველაფერი. ყველას უკვირდა—რა მოსდის ამ ქალსაო?

ბავშვი ძროხის რძით იზრდებოდა. როცა მოიზარდა, წაიყვანდა ძროხას მინდორში და აძოვებდა.

ვაშლის ხეზე შერჩენილმა ბავშვის დედამ იმდენი იტირა, რომ ცრემლადა და სისხლად დაიღვარა მიწაზე. მისი ცრემლითა და სისხლით მორწყულ ადგილზე ამოვიდა ლერწმის ტყე; გაიშალა ათასნაირი ყვავილი და ბალახი.

ერთხელ პატარა ბიჭმა თავისი ძროხა საბალახოდ წაიყვანა. მივიდა იმ ვაშლთან, რომელზედაც დედამისი დატოვეს, მოტეხა ლერწამი და ფრჩხილით სტვირი გააკეთა. დაუკრა და დაუკრა.

სტვირი უკრავდა და თან იძახოდა:

— სტვირო, სტვირო,

რასა, სტირო?

— დედაშენი ვშავდები,

ჩემი შვილი ბრძანდები!

ვაჟმა ჩაიკრა გულში სტვირი და აღარ იშორებდა. მოიტანა შინ და დაუკრა. სტვირმა ისევ ის სიტყვები დაიძახა. გაიგონა მოღალატე ქალმა და გულზე ცეცხლი მოედო. წაართვა ბავშვს სტვირი და დაუმტვრია. ბავშვმა აიღო სტვირის ნამტვრევი და დაუკრა. ნამტვრევმაც დაიძახა:

— სტვირო, სტვირო,

რასა სტირო?

— დედაშენი ვშავდები,

ჩემი შვილი ბრძანდები!

ქალმა ნამტვრევებიც წაართვა ბავშვს, თონეში ჩაყარა და დაწვა. ფერფლისაგან ქალის სახე გაკეთდა და თონეზე მიესვენა.

ბავშვი სულ თონესთან იჯდა და თავის სტვირს ჩასტიროდა.

ჩაიხედა ქალმა თონეში და დაინახა ქალის სახე. გაბრაზდა, გაცეცხლდა, ამოაღებინა ნაცარი თონედან და ბანზე მოაპნია. მშვენიერი ალვის ხე ამოვიდა. ნახა კაცმა ეს ხე და საშინლად გაეხარდა; გამოატანინა თავისი ლოგინი და ალვის ხის ქვეშ დაიდგა. ღამე როცა დაეძინებოდა, დახრიდა ალვის ხე ტოტებს და მძინარე კაცს ჩაეკონებოდა. ქალი ბრაზისაგან კვდებოდა.

— ერთხელ მოიავადმყოფა ქალმა თავი და ქმარს უთხრა:

— თუ მაგ ალვის ხეს მოსჭრით, ვარცლს გააკეთებთ და შიგ მაბანავებთ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

— ჯანაბას შენი თავი, თუ მოკვდები, მოკვდი და მომასვენეო, — უპასუხა ქმარმა.

ერთხელ კაცი სანადიროდ წავიდა. ქალმა მოიყვანა მუშები, მოაჭრევინა ალვის ხე და ვარცლი გააკეთებინა. თითქოს საბანაოდ უნდოდა.

მოვიდა კაცი შინ, ნახა ალვის ხე მოჭრილია, ძალიან ეწყინა, გაჯავრდა, მაგრამ რას იზამდა.

ალვის ხის ერთი ნაფოტი უშვილო ბებრის ბანზე დაეცა. იპოვნა ბებერმა ნაფოტი, აიღო, შეიტანა სახლში და ქოთანს დააფარა. ბებერი რომ სახლიდან გავიდოდა, ნაფოტი ქალად იქცეოდა დაგვიდა, დაასუფთავებდა იქაურობას, დარეცხდა ჯამ-ჭურჭელს, დაალაგებდა, მერე ისევ ნაფოტად იქცეოდა და ქოთანს დაეფარებოდა.

მოვა ბებერი, ხედავს დაგვილ-დაწმენდილ სახლს, დარეცხილ-დასუფთავებულ ჭურჭელს და უკვირს. მიდის მეზობლებში და ხან ვის უხდის მადლობას, ხან ვის, რომ აგრე უვლით ჩემს სახლსაო. ყველა უარს ამბობდა, — შენს სახლში

ფეხი არ შეგვიდგამს, არც დაგვიგვია და არც დაგვისუფთავებია. ბოლოს ერთმა მეზობელმა დაარიგა:

— უდარაჯე, კარებს უკან დაიმალ ლე დანახე ვინ არისო.

ბებერი ასეც მოიქცა. დაიმალა კარებს უკან და დაიწყო სახლში ცქერა. დაინახა — ნაფოტი იქცა ქალად, და დაიწყო სახლის გვა. მიეპარა ბებერი, სწვდა ქალს და დაიჭირა.

— ვაიმეო! — დაიწივლა ქალმა.

— ნუ გეშინია, შვილო, მე დედა დაშენ შვილი, მე შვილი არ მყავს და შენ იყავი ჩემი შვილიო, — უთხრა ბებერმა.

ქალს ძალიან გაეხარდა და ამასიქით ერთად ცხოვრობდნენ ტკბილად.

ერთხელ ქალი შეეხვეწა დედას:

— შენი ჭირიმე, ჩემო დედა, აქ რომ გველეშაპი ვაჟია, ის თავისი ცოლითა და შვილით დავპატიჟოთო.

— დავპატიჟოთ, შვილო, ვინც გინდა და გესიამოვნებაო, — ნება დართო ბებერმა.

გამართა ქალმა სადილი, დაპატიჟა თავისი ქმარი, შვილი და და. როცა სუფრას შემოუსხდნენ და სადღეგრძელოები ჩამოარიგეს, ქალმა აივსო ჭიქა ღვინით, აიღო ხელში და დაილოცა:

— იცოცხლეთ თქვენ, ჩემო ქმარო, ჩემო შვილო და ჩემო უფროსო დაო.

გველეშაპმა ვაჟმა იცნო თავისი ნამდვილი ცოლი და გადაეხვია. ქალმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ ულალატა უფროსმა დამ. კაცმა მოღალატე ქალი ცხენის ძუას მოაბა და დააფლეთინა; წაიყვანა თავისი ნამდვილი ცოლი და ცხოვრობდნენ სიტკბოებით.

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

უმცროსი ვაჟი და მგელი

ყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი შვილი.

ხელმწიფეს მთაში ბაღი ჰქონდა. ბაღში იდგა ერთი შესანიშნავი ხე და ოქროს ნაყოფს ისხამდა. ერთი ფრინველი შეეჩვია ბაღს, ყოველთვის მიდიოდა და მიჰქონდა ხილი.

ხელმწიფე დიდად წუხდა და უბრძანა თავის შვილებს:

— უდარაჯეთ ამ ხეს და ქურდი დამიჭერეთო.

პირველად სადარაჯოდ წავიდა ორი უფროსი შვილი, მაგრამ ვერ დაიჭირეს ქურდი. მერე წავიდა უმცროსი, ავიდა ხეზე და დაუწყო ქურდს დარაჯობა. ამ დროს მოფრინდა ერთი უზარმაზარი ფრინველი, მოგლიჯა ნაყოფი და უნდოდა წაელო. ყმაწვილმა ხელი სტაცა და დაიჭირა, მაგრამ ვერ შეიმაგრა, მხოლოდ ერთი ფრთა მოაგლიჯა. მიუტანა მამას და მოახსენა:

— ჩვენი ქურდი უზარმაზარი ფრინველი ყოფილა, თითონ ვერ შევიმაგრე ფრთა მოვგლიჯე და მოგიტანეო.

ხელმწიფემ მოიხმო თავისი შვილები და უთხრა:

— ჩემი შვილი ის იქნება, ვინც ამ ფრინველს მომგვრისო.

პირველად ორი უფროსი ძმა წავიდა. რადგანაც დრო გადავიდა და აღარ დაბრუნდნენ, ადგა და უმცროსი ძმაც წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთი ხის ძირას. ხის ქვეშ ერთი

ქვა იდო და ზედ ეწერა: მარჯვნივ წახვალ — წყალში ჩავარ-დები; მარცხნივ — ცეცხლში ჩავარდები, შუა გზაზე — მგელი შეგეჭამოს: ყმაწვილმა მგლისაკენ წასვლა ირჩია. კარგახანს იარა და გავიდა ერთ მინდორში. იქ ჩამოხტა ცხენიდან და დაისვენა.

ამ დროს გამოვარდა მგელი, მივარდა ცხენს და შეჭამა.

ყმაწვილმა ტირილი დაიწყო.

მგელმა გამოჰკითხა:

— ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიხვალო?

ყმაწვილმა ყველაფერი უამბო.

მგელმა უთხრა:

— შემაჯექ ზურგზე და მე გიშველიო.

შეაჯდა ზურგზე ყმაწვილი, მგელმა სასახლეში მიიყვანა და უთხრა:

— აგერ იმ ფრინველის გალია, მიდი ჩუმად, გალიას ხელი არ ახლო, ფრინველი კი გამოიყვანეო.

ყმაწვილმა არ გაუგონა, გალიას ხელი ახლო; შეიქნა საშინელი ხარის რეკა. გამოცვივდნენ მოსამსახურენი, დაიჭირეს ყმაწყილი და მიჰგვარეს ხელმწიფეს:

ხელმწიფემ ჰკითხა:

— ვინა ხარ, რომ აქ შემოსვლა გაბედე ფრინველის მოსაპარადაო?

ყმაწვილმა თავისი ამბავი უამბო. ხელმწიფეს უნდოდა მოეკლა, მაგრამ ყმაწვილი შეეეედრა, და ხელმწიფემ აპატია, მხოლოდ უბრძანა:

— ერთს მეფეს რომ ოქროსფაფრიანი ცხენი ჰყავს, წადი და ის მომგვარე, თორემ ჩაგიგდებ ხელშიო.

გამოვიდა დაღონებული ყმაწვილი და უამბო თავის მგელს ეს ამბავი.

— შენ ნუ გეშინია, შემაჯექ და ახლა იქ წაგიყვანო, უთხრა მგელმა:

შეაჯდა ზურგზე და წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ მეფისას.

მგელმა უთხრა:

— აგერ ცხენი, მაგრამ ოქროს უნაგირს ხელს ნუ მოჰკიდებ, მხოლოდ ცხენი წამოიყვანეო.

ყმაწვილმა არც აქ დაუჯერა, მოჰკიდა უნაგირს ხელი, საშინელი ზარის რეკა ატყდა. გამოცვივდნენ, დაიჭირეს ყმაწვილი და მიუყვანეს მეფეს.

აქაც გაურისხდა მეფე.

— როგორ გაბედე ეგ საქმეო! იმ პირობით მოგიტევებ, თუ წახვალ ერთ სახელმწიფოში, სადაც ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავთ, და იმ ქალს აქ მომგვრიო.

ეს ამბავიც უამბო თავის მგელს.

მგელმა ზურგზე შეისვა და წაიყვანა. იარა, იარა და მივიდა იმ სასახლეში.

აქ მგელმა უთხრა:

— ახლა კი დამიჯერე რაც გითხრა, თორემ ველარას გიშველიო. კოლოფი არ აიღო, მხოლოდ ახადე, ქალი ამოიყვანე და წამოიყვანეო.

ყმაწვილი სწორედ ისე მოიქცა და გაიყვანა მზეთუნახავი ქალი.

მაშინ მგელმა უთხრა:

— ამ მზეთუნახავ ქალს ნუ დავკარგავთ, მე გადავიქცევი მაგ ქალად და მე მიმიყვანე იმ ხელმწიფესთანაო.

გადაიქცა ქალად მგელი; ყმაწვილმა მიჰგვარა ხელმწიფეს და მიიღო ოქროსფაფრიანი ცხენი.

ყმაწვილი წამოვიდა. მგელიც გამოექცა იმ ხელმწიფეს და დაუხვდა წინ ყმაწვილს.

ახლა ოქროსფაფრიან ცხენად გადიქცა; ყმაწვილმა ცხენის სამაგიეროდ მგელი მიჰგვარა ხელმწიფეს და ფრინველი მიიღო.

მგელი იქიდანაც გამოიქცა და ყმაწვილს უთხრა:

— ახლა სამივე შენია, წადი და წაიყვანე, ნულარაფრისა გეშინიაო.

ყმაწვილმა მადლობა გადაუხადა, გახარებულმა სამივე წაიყვანა და მშვიდობით მივიდა თავის მამასთან.

პრასისა და ნიახურის ქაღი

ყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი.

ერთხელ ყმაწვილი თავლაში შევიდა ცხენების დასათვალიერებლად. ერთი ბებერი ცხენი თავლის კარებში იყო დაბმული. ხელმწიფის შვილი როცა უკან ბრუნდებოდა თავლიდან, ბებერმა ცხენმა კარებში შეაყენა და უთხრა მოიცადეო.

ხელმწიფის შვილი შეკრთა: ცხენი ადამიანივით როგორ ლაპარაკობსო?

ცხენმა უთხრა:

— ნუ გიკვირს, რომ გელაპარაკები; შენი დედ-მამა ცოლის შერთვას არ გიპირებს; სთხოვე მათ ჩემი თავი, შემკაზმე, წაგიყვან და ბედს გაპოვნინებ; მხოლოდ არამც და არამც არ გამცე, რომ გულთმისანი და მოლაპარაკე ცხენი ვარ, თორემ იქნება ინანოო.

ყმაწვილი მივიდა მშობლებთან და სთხოვა:

— მინდორ-ველის დათვალიერება მინდა, ნება დამრთეთ, თავლის კარებში რომ ბებერი ცხენია დაბმული, იმით წავიდეო.

მშობლებმა ნება დართეს.

ხელმწიფის შვილმა წაიყვანა ცხენი და წავიდა. ქალაქს რომ გასცდა, ცხენმა უთხრა:

— რაც შეგიძლია, ღონივრად გადამკარ მათრახი და შენ თვალები დახუჭეო.

ყმაწვილმა გადაჰკრა ცხენს მათრახი, დახუჭა თვალები და მსწრაფლ თვალუწვდენელ მინდორზე გაჩნდნენ. მინდორზე ცხრა ადლი თოვლი იდვა; შუა ადგილას ცხრა ადლ თოვლზე ხელსახოცის ოდენაზე ცხრა ადლი ბალახი იყო ამოსული; ბალახზე კიდევ ცხრა ადლი თოვლი იდვა. აფრინდა ცხენი, მივიდა ბალახთან და ყმაწვილს უთხრა:

— რამდენიც შეგიძლია, მოგლიჯე ბალახი, ჩაიდე ჯიბეში და როცა შინ მიხვალ, აჩვენე დედ-მამას; სად ნახე ეგ ბალახი, ან სად მოგლიჯე, არა თქვა, არ გაამხილოო.

ხელმწიფის შვილმა მოგლიჯა ბალახი. ცხენმა ისევ შინ მიიყვანა. ყმაწვილი მივიდა თუ არა შინ, დაიძახა:

— დედავ და მამავ, რა საკვირველება ვნახე, ამა და ამ მინდორზე ცხრა ადლი თოვლი დევს, შუა ალაგას-კი ხელსახოცის ოდენა თოვლზე ცხრა ადლი ბალახი იდგა; ბალაბზე კიდევ ცხრა ადლი თოვლი იდოო.

— შენ გაგკვირვებია ეგ ამბავი, თორემ საკვირველი არაფერიაო, — მიუგეს მშობლებმა.

— როგორ არ არის საკვირველი თოვლსა და თოვლს შუა ბალახი ხასხასებდეს; აბა მოიტანეთ რაიმე, დავაწყო, გაჩვენოთ ბალახი, თუ თქვენც არ გაგიკვირდეთო, — მიუგო ყმაწვილმა და დააწყო ბალახი თეფშზე.

ბალახი მზეთუნახავ ქალად იქცა. ყველანი გაკვირდნენ. ქალს ჰკითხეს:

— რა ხარ, საიდან, როგორ გაჩნდიო?

— პრასისა და ნიახურის ქალი ვარო, — მიუგო ქალმა.

ქალი მოსამსახურედ დააყენეს, ცალკე ბინა მისცეს.

ხელმწიფის შვილი მოწყენილი დადიოდა. ერთხელ დედ-მამამ ჰკითხა:

— მოწყენილი რად დადიხარ, უხალისოდ რადა ხარო?

— ის მზეთუნახავი ქალი მიყვარს, მინდა მასზე ჯვარი დამწეროთო.

გამოიყვანეს ქალი და ჰკითხეს: რა გვარისა ხარო?

ქალმა მიუგო:

— როგორც წინათ მოგახსენეთ, პრასისა და ნიახურის ქალი გახლავარო.

ხელმწიფემ და მისმა ცოლმა უარი უთხრეს შვილს, ბალახის ქალს ვერ შეგრთავთ ცოლადაო და სხვა ხელმწიფის ქალზე დასწერეს ჯვარი.

ერთი თვის შემდეგ პრასისა და ნიახურის ქალმა სთხოვა ხელმწიფის ცოლს:

— თქვენი რძალი მაწვიეთ ჩემს სახლშიო.

ხელმწიფის რძალი ეწვია პრასისა და ნიახურის ქალს. გამოვიდნენ მინდორში. პრასისა და ნიახურის ქალმა აიშვირა ხელი მაღლა, და რაც ქვეყანაზე ფრინველები იყო, სულ იქ მოფრინდნენ. შემდეგ გაჭიმა აბრეშუმის შულო და ფირფიტები ფრინველებს მისცა. ფრინველები თან აბრეშუმის ძაფს ახვევდნენ, თან თავიანთ ენაზე გალობდნენ. თუ რომელიმეს დაეწყებოდა ძაფი, პრასისა და ნიახურის ქალი ოქროს ზოდით ასწორებდა. უამრავი ხალხი მოვიდა ყოველი მხრიდან საყურებლად; ყველას უკვირდა.

ხელმწიფის რძალი მიუბრუნდა დედამთილ-მამამთილს და უთხრა:

— რა გაგკვირვებიათ, ეანა მე ვერ გავასწორებ ძაფს ოქროს ზოდითო?

პრასისა და ნიახურის ქალმა გადასცა ხელმწიფის რძალს ოქროს ზოდი. პატარძალმა ჩამოართვა, მაგრამ დაიჭირა თუ არა ხელში, ვეღარ დაიმაგრა, დაუვარდა, ღაეცა მუხლებზე და ორივ მუხლი დაემტვრა. სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ხელმწიფის შვილი ისევ ეხვეწებოდა დედ-მამას:

— პრასისა და ნიახურის ქალზე დამწერეთ ჯვარიო.

მშობლებმა ისევ სხვა ხელმწიფის ქალი შერთეს.

ერთი თვის შემდეგ პრასისა და ნიახურის ქალმა ისევ სთხოვა ხელმწიფის ცოლს:

— თუ შეიძლება, თქვენი რძალი მაწვიეთო.

პატარძალი ეწვია პრასისა და ნიახურის ქალს. გავიდნენ

მინდორში. პრასისა და ნიახურის ქალმა აიშვირა ხელი მაღლა — და ორმოცი ირემი მაშინვე იქ გაჩნდა. ქალმა ორმოცივე ირემი თავისი ხელით დაწველა. შედგა დიდი ქვაბით რძე ცეცხლზე და აადუღა. წაიძრო ნეკის ბეჭედი, ჩაყო ქვაბში — და რძე განელდა: ჩაჯდა ქვაბში და ბანაობა დაიწყო; თან ბანაობდა ქალი და თან რძე დუღდა. მნახველები დიდად გააკვირვა ამ ამბავმა.

ხელმწიფის რძალმა ქმარსა და დედამთილ-მამამთილს უთხრა:

— რას გიკვირთ პრასისა და ნიახურის ქალის რძეში ბანაობა, განა მე ვერ ვიბანავებო?

პრასისა და ნიახურის ქალი ამოვიდა ქვაბიდან. მის მაგივრად ხელმწიფის რძალი ჩაჯდა ადუღებულ რძეში და სულ ჩაიფუფქა.

დამარხეს ისიც.

ხელმწიფის შვილს უნდოდა გამოეცადა პრასისა და ნიახურის ქალი ვუყვარვარ თუ არაო და დედ-მამას უთხრა:

— თავს მოვიმკვდარუნებ. კუბოთი ეკლესიაში მიმავალ-ვენეთ და ვნახოთ რას იზამს პრასისა და ნიახურის ქალიო.

დედ-მამა დაეთანხმა. ერთი კვირის შემდეგ გავრცელდა ხმა: ხელმწიფის შვილი მოკვდაო. მიასვენეს ეკლესიაში კუბოთი თუ არა, წიოკობით მივარდა პრასისა და ნიახურის ქალი და კუბოს დაეკონა. შემდეგ დაიჩოქა კუბოს წინ, თავი მაღლა აიღო და მუდარით წარმოთქვა:

— მზეე და მთვარეე, თქვენ ხომ ჩემი დედ-მამა ხართ, გამიცოცხლეთ საყვარელიო.

ხელმწიფის შვილი წამოდგა. მშობლებმა ნება დართეს მაშინვე დაეწერა ჯვარი მზისა და მთვარის შვილზე.

უმცროსი ძმა

ყო ერთი გლეხიკაცი, ჰყავდა სამი შვილი.

სიკვდილის წინ მამამ შვილებს ანდერძი დაუტოვა

— რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, ქოსა კაცს მოჯამაგირედ არ დაუდგეთო.

კაცი გარდაიცვალა. შვილები იძულებული გახდნენ ქოსა კაცს მოჯამაგირედ დასდგომოდნენ. პირობა დადეს, ვისაც რაიმეზე გული მოუვიდოდა, უნდა მოეკლათ.

პირველ დღის ქოსამ უფროსი ძმა გაგზავნა ყანაში სამუშაოდ. წაიყვანა ხაოები და ლილიდან საღამოძდის ყანას ხნავდა.

ქოსამ სადილი არ გაუგზავნა. მოშივდა უფროს ძმას და გაბრაზებული დაბრუნდა შინ.

— რა იყო, გული ხომ არ მოკსვლია რამეზეო?- შეეკითხა ქოსა.

— გული მომივიდა აბა რა იქნებოდა, მთელი დღე შიმშილით მომკალითო,—მიუგო უფროსმა ძმამ.

ქოსამ შეასრულა პირობა და მოკლა უფროსი ძმა.

მეორე დღეს საშუალო ძმა გაგზავნეს ყანის სახნავად.

არც იმას ვაუგზავნეს სადილი. ისიც შეაწუხა შიმშილმა და გაბრაზებული დაბრუნდა შინ.

— რა იყო, რადა ხარ აგრე, გული ხომ არაფერზე მოგსვლიათ?—შეეკითხა ამასაც ქოსა.

— მთელი დღე შიმშილით მომკალით, გული როგორ არ მომივიდოდაო, — მიუგო საშუალომაც.

მოკლეს ისიც.

მესამე დღეს უმცროს ძმას ცხვრები გაატანეს საბალახოდ. წასვლის წინ ქოსა საუზმეს შეეწცეოდა და უმცროსი ძმა არ მიიწვია. დაამთავრა საუზმე და შეეკითხა:

— ხომ არ გეწყინა, შენი მოწვევა საუზმეზე დამავიწყდაო.

— რა იყო საწყენი, მე არაფერი არ მწყენიაო, — მიუგო უმცროსმა ძმამ.

გარეკა ცხვრები. მინდორში როცა გავიდა, კარგი ცეცხლი დაანთო, შეარჩია ერთი მსუქანი ცხვარი, გაუყარა დანა კისერში, ააგო მწვადი და მადიანად შეექცა. საღამოს გამორეკა ცხვრები და დაბრუნდა შინ.

— გული ხომ არ მოგსვლია, ხელი შეგვეშალა, სადილი ვერ გამოგიგზავნეთო, — უთხრა ქოსამ.

ბიჭმა მიუგო:

— რა იყო გულმოსავალი, მართალია, მომშივდა, მაგრამ ავირჩიე ერთი მსუქანი ცხვარი, გავუყარე დანა კისერში, გავატყავე, ავაგე მწვადი და გადავუძახე მუცელშიო.

ქოსას ეწყინა, მაგრამ არაფერი არ უთხრა.

მეორე დღეს კიდევ გაატანეს ცხვრები საბალახოდ. დაავალეს, ისე გააძღეთ ცხვრები რომ შინ წამოსვლა გაუძნელდეთ და სულ ბღავილ-ბღავილით წამოვიდნენო.

სადილი არც ახლა გაუგზავნეს.

ბიჭი მთელი დღე წამოწვა ჩრდილში, არც შეუწუხებია თავი ცხვრების გასაძღომად. კიდევ აარჩია ერთი მსუქანი ცხვარი, დაკლა და მიირთვა. შინ დაბრუნებისას აიღო მუგუზალი, დაუარა ცხვრებს და ყველას სათითაოდ ტუჩი დასწვა.

საღამოს მორეკავს ცხვრებს, და ტუჩდამწვარი ცხვრებიც მოდიან ბღავილ-ბღავილით.

ქოსა მიხვდა რაშიაც იყო საქმე და მორთო ყვირილი:

— რა გიქნია ეს, ცხვრები რად მაზარალეო?

— რა იყო, კაცო, გული ხომ არ მოგსვლიაო? — შეეკითხა ბიჭი.

— გული მომივიდა, აბა რა იქნებოდა, მაზარალე ამდენი ცხვარიო! — მიუგო ბრაზმორეულმა ქოსამ.

— მეც ეგ მინდოდა, გული ხომ მოგივიდაო, — უთხრა ბიჭმა.

მოკლა ქოსა, გაყიდა ცხვრები და სხვა ქონება და წავიდა ფართლეულის ვაჭრებთან.

— ამხანაგი ხომ არ გინდათ, გამიამხანაგეთო, — უთხრა ბიჭმა.

ვაჭრები დათანხმდნენ იმ პირობით, რომ გული არავის არ მოსვლოდა. ვისაც გული მოუვიდოდა, მოკლავდნენ.

— რა გქვია შენო? — ჰკითხეს ვაჭრებმა.

— არშინი ხიეო, — მიუგო ბიჭმა.

როცა მყიდველი მოვიდოდა, ბიჭი რამდენ არშინს გადაზომავდა, იმდენს გადახევდა და ისე აძლევდა მუშტარს.

— რას შვრებიო? — შეეკითხნენ ვაჭრები.

— რა ვქნა, ჩემი სახელი არშინი ხიეა და მეც ასე უნდა მოვიქცეო.

ვაჭრებმა უთხრეს:

— შენ აქ არ ივარგებო და მეჭურჭლესთან წაიყანვეს.

იქაც ჰკითხეს:

— შენი სახელი რა არისო?

ბიჭმა მიუგო:

— ამტვრიეო.

მყიდველი მოვიდოდა თუ არა, ბიჭი დაამტვრევდა ჭურჭელს და ისე აძლევდა.

ვაჭრებმა ჰკითხეს:

— გული მოგდის, კაცო, თუ რაზე ამტვრევ ამ ჭურჭელსო?

— გული რად უნდა მომივიდეს, ჩემი სახელი „ამტვრიეა“ — და მეც ასე ვიქცევიო.

ვაჭრებმა გადაწყვიტეს ბიჭის თავიდან მოშორება. დაამზადეს თავისთვის საგზალი კიდობანში. ბიჭი სახლში დაამწყვდიეს და დააპირეს მისი შიგ გამოწვა. ბიჭი გამოძვრა სახლიდან და კიდობანში ჩაძვრა. ვაჭრებმა სახლს ცეცხლი წაუკიდეს, წამოიკიდეს კიდობანი და გაუდგნენ გზას.

ბიჭმა ნელ ნელა მიირთვა საგზალი და სულ შეჭამა, რაც ჯიდობანში სანოვაგე იყო.

ვაჭრებს მოშივდათ, დაისვენეს ერთ ალაგას, გახსნეს ჯიდობანი — და ბიჭი გვერდით ამოუდგათ. საგზალიც ალარ არის ჯიდობანში. დაბრუნდნენ ისევ გაპარტახებულ კარ-მიდამოზე. გადაწყვიტეს ბანაობის დროს მაინც დაეხჩოთ წყალში ბიჭი, მაგრამ ბიჭმა ვაჭრები დაახრჩო და თითონ იწყო ცხოვრება ბედნიერად.

მეფე და მსახური

ყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. მეფეს ძალიან უყვარდა ქეიფი და დროსტარება. მეფეს ჰყავდა ერთი მსახური, რომელიც ჰკიცხავდა მის ასეთ საქციელს და ხშირად უსაყვედურებდა:

— მეფეს მთელი ქვეყანა აბარია, იგი თავისთავის დაკმაყოფილებაზე კი არ უნდა ზრუნავდეს მხოლოდ, არამედ ხალხის ბედზე და ავ-კარგზეო.

მეფე მაინც არ იშლიდა თავისას და ცდილობდა ჰკუის დამრიგებელი მსახური თავიდან მოეშორებია.

ერთხელ მოიხმო მეფემ მსახური თავისთან და უთხრა:

— სამ კითხვას მოგცემ და სამი დღის ვადას გაძლევ, თუ სამი დღის განმავლობაში სამივე არ ამიხსენი, თავს მოგჭრიო.

— ბრძანეთო, — მიუგო მსახურმა.

მეფემ დაიწყო:

— დალიე მთელი ზღვა; გაიგე რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა და მითხარი რას ვფიქრობ მეო.

წამოვიდა დაღონებული მსახური. არ იცის რა ქნას, დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელის.

გზაზე ბერიკაცი შეხვდა.

— გამარჯობა შენი, რას ჩაფიქრებულხარ აგრე მწარედო? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ეჰ! როგორ არ ჩავფიქრდე, დღეს თუ ხვალ სიცოცხლეს უნდა გამოვესალმოო, — მიუგო მსახურმა და თანაც ბერიკაცს ყველაფერი უამბო.

— ნუ გეშინია, მაგ გაჭირვებისაგან მე გიხსნი. შენ მხოლოდ მეფეს ერთი ტომარა ნართი[1] გამოართვი და სხვა მე ვიცი და ჩემმა გამოცდილებამაო, — უთხრა მოხუცმა.

მსახურს ძალიან გაუხარდა და მეფეს ერთი ტომარა ნართი სთხოვა. მეფემაც მისცა.

მოხუცმა ჩაიცვა მსახურის ტანისამოსი, ნართიანი ტომარა ზურგზე წამოიკიდა და ასე ამგვარად მეფესთან მივიდა.

— რა ჰქენი, ახსენი ჩემი კითხვები? — დაეკითხა მისვლისთანავე მეფე მოხუცს, რომელიც მას მართლა თავისი მსახური ეგონა.

— კი შენი ჭირიმე ავხსენი!

— აბა სთქვი, დალიე ზღვა?

— დავლევ, ბატონო, თუ შეაჩერებ ყველა იმაში შემავალ მდინარეს და შიგ აღარ ჩაუშვებო.

მეფემ დამარცხებულივით თავი დახარა. მაგრამ ისევ ჰკითხა:

— გაიგე, რა მანძილია ცასა და დედამიწას შუა?

— გავიგე, ბატონო, აგერ ზომაც მოგიტანეთ, აი ეს ნართი, თუ არა გჯერათ, თქვენ თითონ გაზომეთ და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობო, — მიუგო მოხუცმა.

— კარგი, ვთქვათ ეს ასეა; ახლა მითხარი, მე რასა ვფიქრობო?

— თქვენ, ბატონო, ახლა იმას ფიქრობთ, თითქოს თქვენ წინაშე მსახური იდგეს, მაგრამ მოტყუებული ბრძანდებითო. უკანასკნელ სიტყვებთან ერთად მოხუცმა მსახურის ტანისამოსი გაიხადა.

მეფე მიხვდა, რომ მოტყუვდა, შერცხვა, გაწითლდა და დამარცხებული გაშორდა მოხუცს.

---

1 ნართი - ცალწვერად დართული ბამბა.

შრომის შვილი



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. დიდი გაჭირვებით ირჩენდა თავს. შემდეგ ბიჭი დადგა მოჯამაგირედ. მოჯამაგირეობით თავსაც ირჩენდა და დედასაც არჩენდა. შეიძინა ხარი, ურემი, გუთანი, შრომობდა და წლის სარჩოს იწევდა.

ერთხელ ზამთარში სარჩო შემოაკლდათ. დედამ უთხრა შვილს:

— შვილო, ერთი ხარი დავკლათო.

— გაზაფხულზე რით მოვხნათ და რით დავთესოთ ყანებიო? მიუგო ბიჭმა.

— გაზაფხულამდის ბევრი დრო არის, იქამდის ვიშოვით რაიმეს და ხარს ვიყიდითო. თუ ვერაფერი ვიშოვეთ და ვერ ვიყიდეთ, მე შევებმები. ცალი ხარის მაგივრადო, უთხრა დედამ.

გავიდა ზამთარი. ხარი ვერ შეიძინეს. გუთანში ხარის მაგივრად მართლაც დედა შეება. დაიწყეს მიწის ხვნა.

ამ დროს გამოიარა ხელმწიფემ, დაინახა გუთანში შებმული ქალი და ბიჭს დაუძახა:

— ოას შვრები კაცო, სად გაგონილა გუთანში ადამიანის შებმა და მიწის ხვნაო?!

— ცალი ხარი არა მყავს, მაშ რით მოვხნა მიწაო?— შიუგო ბიჭმა.

ხელმწიფემ გადაწყვიტა ბიჭი მოეკლა და უთხრა;

— ერთი მოზვერი მყავს ტყეში, მოიყვანე და გყავდესო.

ხელმწიფემ იფიქრა მოზვერი მოკლავს ბიჭსო, მაგრამ ბიჭი მიხვდა რაშიაც იყო საქმე, წაიღო სიმინდი და ძალიან მაგარი თოკი. შევიდა ტყეში. დაინახა მოზვერი. ორ ხეს შუა თოკი გააბა, გაჩერდა და მოზვერს სიმინდი აჩვენა. მოზვერი გამოექანა სიმინდისაკენ, შეჭამა და უნდოდა ბიჭს დასჯახებოდა მაგრამ თოკში გაება. მთელი კვირა იყო მოზვერი დაბმული. ბიჭმა არაფერი აჭამა, დააასუსტა. შემდეგ წამოიყვანა შინ, შეაბა გუთანში და გახედნა.

ხელმწიფემ როცა გაიგო ბიჭი მოზვერს ცოცხალი გადაურჩა და მოაშინაურა კიდეცო, ძალიან გაუკვირდა და სანახავად წამოვიდა. ნახა მოზვერი შებმული გუთანში ხნავს მიწას.

ხელმწიფემ უთხრა ბიჭს:

— ერთი ზარმაცი ქალიშვილი მყავს და შენ უნდა შეგრთოო.

— კარგიო, დაეთანხმა ბიჭი, მაგრამ რასაც მე გეტყვი, ქალთან ერთად ისიც უნდა გამატანოო.

— აბა სთქვი, რა გინდა, თანახმა ვარო,—მიუგო ხელმწიფემ.

— გამატანე შენი ბრუციანი ცხენი, კოჭლი ძაღლი და ერთი ხანჯალიო, უთხრა ბიჭმა.

ხელმწიფე დაეთანხმა.

ბიჭმა ზარმაცი ქალი შესვა ბრუციან ცხენზე, წამოიყვანა ძაღლი, ხანჯალიც წამოიღო და წამოვიდა.

გზაში ბიჭმა დაუწყო ძაღლს ყვირილი:

— ნუ კოჭლობ, სწორად გაიარე, თორემ ხომ ხედავ ამ ხანჯალს, ზურგზე გადაგისვამო.

ძაღლი მაინც კოჭლობით მიდიოდა. ბიჭმა შემოჭკრა ხანჯალი და მოკლა. განაგრძეს გზა.

ახლა ბრუციან ცხენს აუხირდა ბიჭი:

— სწორად გაიარე, გზას ნუ უხვევ, თორემ რაც ძალლს ვუქენი ისე გიზამ შენცო!

ცხენი სწორად ვერ მიდიოდა. ბიჭმა შემოჰკრა ხანჯალი, ცხენი დავარდა და მოკვდა. ზარმაცი ქალი ძირს დავარდა.

ბიჭმა არ დაუცადა ქალს და განაგრძო გზა.

— დამიცადე, მეც წამოვალო,—დაუძახა ქალმა.

— რა ნელა მოდიხარ ჩქარა იარეო!—დაუყვირა ბიჭმა.

შეშინებული ქალი სირბილით აედევნა ბიჭს და მივიდნენ შინ.

მეორე დღეს ბიჭი ყანაში წავიდა სამუშაოდ. დედას დაუბარა:

— თუ არაფერი გააკეთოს ზარმაცმა ქალმა, საჭმელი არ აჭამოვო.

ქალს მართლა არაფერი გაუკეთებია იმ დღეს და არც არაფერი აჭამეს.

დაბრუნდა ბიჭი საღამოთი და ჩაილაპარაკა:

მუშას — საჭმელი, არამუშას — აფერიო.

დასხდნენ სავახშმოდ, გაშალეს სუფრა. ბიჭმა ერთი პური შეჭამა, დედამ — ნახევარი, ქალს კიდევ არაფერი აჭამეს.

მეორე დღესაც არაფერი არ გააკეთა ზარმაცმა ქალმა. კიდევ მშიერი დატოვეს.

მესამე დღეს ცოტა დაგავა სახლი, იმ ადგილას, საცა თითონ იჯდა, და ორი ლუკმა აჭამეს. მშიერი ქალი ეხვეწებოდა:

— ცოტა კიდევ მაჭამეთ, ხვალ უფრო მეტს ვიმუშავებო, მაგრამ ბიჭმა არ გაუგონა.

ამის შემდეგ ქალი დედამთილს არ აცლიდა საქმის კეთებას, ყველაფერს თითონ აკეთებდა და საჭმელსაც საკმარისად აძლევდნენ. დაეჩვია ქალი შრომას.

გაიგო ეს ამბავი ხელმწიფემ და წამოვიდა. ნახა მისი ქალი მართლაც შრომობს.

ქალმა უთხრა მამას:

— ცოტა რაიმე შენც გააკეთე, თორემ არაფერს არ გაჭმევენო.

მართლაც კარგახანს იყო ხელმწიფე მისი ამალით მშიერი. ბოლოს გაშალეს სუფრა, მოიტანეს საჭმელი.

ხელმწიფემ უთხრა სიძეს:

— მე დღეს არაფერი გამიკეთებია და საჭმელიც არ შერგება თურმეო.

— როგორ არა, ბატონო, თქვენ თქვენი ამალით სახლი მომიტკეპნეთ, ეს საქმის გაკეთებაა, მე ამას მთელი კვირა მოვუნდებოდიო,—მიუგო ბიჭმა

ხელმწიფეს მოეწონა სიძის გამჭრიახობა და თავისი ტახტი დაუთმო.

ღარიბი გლეხი და დევები

ყო ერთი საწყალი გლეხი. არაფერი არ გააჩნდა. ერთხელ ცოლს უთხრა:

— აქ რა უნდა გავაკეთო, წავალ სადმე, იქნებ რაიმე ვიშოვოო.

წაიღო საგზალი და წავიდა. მიადგა ერთ სახლს. სახლიდან ბებერმა გამოიხედა. გლეხმა თავშესაფარი სთხოვა:

ბებერმა მიუგო:

— აქ რომ დაგაყენო, დევები შეგჭამენო.

— ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობსო,—მიუგო გლეხმა და შევიდა სახლში.

ბებერმა გლეხი ქვაბში დამალა.

დაბრუნდა დევი, შევიდა სახლში თუ არა, ადამიანის სუნი იგრძნო.

ბებერმა ჯერ უარი თქვა, არავინ შემოსულაო, მაგრამ შემდეგ შეეხვეწა:

— ერთი საწყალი კაცი მოვიდა და არაფერი ჰკადროო.

დევმა პირობა მისცა ბებერს, არაფერს ვავნებ კაცსაო და ბებერმა გლეხი ქვაბიდან გამოიყვანა.

ივახშმეს და დაიძინეს.

მეორე დღეს დევმა ჰკითხა გლეხს:

— რას მთხოვ, რომ გაჩუქოო?

— ცოცხლად გაშვებასაო, — მიუგო გლეხმა.

— თუ შენი შეკმა მდოკოდა, წუხელ ვერ შეგჭამდიო? მაინც რასა ბთხოვ?—უთხრა დევმა.

— ცოცხლად გაშვებასო,—კიდევ უპასუხა გლეხმა.

მაშინ დევმა თითონ თავისი სურვილით აჩუქა ისეთი ძროხა, რომელიც დღეში სამჯერ იწველიდა და თითო კვირაში თითო ხბოს შობდა, ხბოც კვირაში თითოჯერ შობდა.

დევმა გლეხს პირობა დაუდო:

— ერთი წლის შემდეგ გეწვევი, კითხვებს მოგცემ, თუ მიპასუხებ,— ძროხა თავისი ნამრავლით შენი იყოს; თუ ვერ მიპასუხე, — ჩემი იყოს ძროხა თავისი ნაშრავლით და მთელი შენი ქონებაო.

— კარგიო, — მიუგო გლეხმა და წაიყვანა ძროხა.

ძროხა ისე გამრავლდა, რომ მთელი ჯოგი გახდა. გამდიდრდა ღარიბი გლეხი. იწყო დიდკაცუოად ცხოვრება. დაიყენა მოსამსახურეები, მაგრამ სულ იმასა ფიქრობდა და დარდობდა, ვინ იცის დევი რა კითხვებს მომცემს, ვაი თუ ვერ ვუპასუხოო.

გავიდა ერთი წელი. ვიღაცამ გლეხის კარებზე დააკაკუნა. გამოხედა გლეხის ვაჟმა. ორი კაცი ღამის გასათევ თავშესაფარს თხოულობდა. ბიჭმა ბამას მოახსენა ეს ამბავი.

გლეხმა თქვა:

— ხვალ დილით დევი უნდა მოვიდეს, კითხვებს მომცემს, თუ ვერ ვუპასუხე მე შემჭამს და მაგათაც ხომ არ შევაჭმევ, სჯობს ნუ შემოვიყვანთო.

ცოლმა სთხოვა:

— მაგათთან დევს რა საქმე აქვს, დავაყენოთო.

დააყენეს და ვახშამი აჭამეს. გლეხი მოწყენილი იჯდა და არაფერს ჭამდა.

მგზავრებმა ჰკითხეს გლეხს მოწყენის მიზეზი. გლეხმაც აუხსნა.

მგზავრებმა გლეხი ანუგეშეს.

დილით გლეხის კარს მართლაც მოადგა თორმეტი დევი და სამჯერ დაიძახეს:

— ჰო, ჰო, ჰო!

— ჰე, ჰე, ჰე!—გამოსძახეს შიგნიდან მგზავრებმა.

— დილას რომ ბუზი გამოვგზავნეთ, ის სად არისო? —იკითხეს დევებმა.

— ის აქამდის ზღვაში გავიდოდაო, — უპასუხეს შიგნიდან.

— ის პატარა ზღვა იქნებაო,—დაიძახეს დევებმა.

— პატარა როგორ იქნება, ყორანი შუამდის ვერ მიფრინდაო, იყო პასუხი.

— პატარა ყორანი იქნებოდაო!

— პატარა როგორ იქნებოდა, ექვს სოფელს ფრთებით ფარავდაო!

— ის ექვსი სახლი იქნებოდაო!

— სახლი როგორ იქნებოდა ერთის თავზე ვირმა დაიყვირა და შუამდის ვერ მიაწვდინა ხმაო.

— ის პატარა ვირი იქნებოდაო.

— პატარა როგორ იქნებოდა, ექვს-ექვსი წისქვილი აქეთ-იქით ეკიდა და მუხლებით კურდღელს იჭერდაო.

— ის კურდღლის ბაჭია იქნებოდაო.

— ბაჭია როგორ იქნებოდა, დილიდან საღამომდის ცოლმა და ქმარმა ტყავი ვერ გახადესო.

შეშინდნენ დევები და გაიქცნენ. გადარჩა გლეხი განსაცდელს, დარჩა ძროხა თავისი ნამრავლით და მთელი სიმდიდრე და ცხოვრობდა ცოლ-შვილით მშვიდობით.

ყარაბოღლი

ყო ერთი უშვილო ხელმწიფე, შვილს ნატრობდა. ერთხელ სიზმარი ნახა: ამა და ამ წყლის პირას ვაშლის ხე დგას; მოსწყვიტე ვაშლი, შეჭამე და შვილი გაგიჩნდებაო.

წავიდა ხელმწიფე და მიაგნო ვაშლის ხეს; ზედ სამი ვაშლი ება. ავიდა ხეზე და დაკრიფა. ორი წყალში ჩაუვარდა, მესამე შინ წაიღო; გაჭრა, ნახევარი თითონ შეჭამა, ნახევარი ცოლს შეაჭამა. ცოლი დაორსულდა. შეეძინათ ვაჟიშვილი, დაარქვეს ყათლანი.

ყათლანი მეტად დაუდეგარი ყმაწვილი იყო და სარდაფში ზრდიდნენ, კარში არ გაუავდათ. ვინც თვით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა; ვინც წლით იზრდებოდა, ის თვით იზრდებოდა. დავაჟკაცდა თითქმის ასე დამწყვდეული.

ერთხელ სარდაფში საიდგანლაც დღის სინათლემ შეაშუქა. გაუკვირდა ყათლანს:

— გარეთ რა კარგი შუქი ყოფილა, მე-კი სიბნელეში ვარ, დღე და ღამე სანათი მინთიაო.

ჰკრა წიხლი კედელს, გაანგრია, გავიდა გარეთ, მიიხედ-მოიხედა, მივიდა დედ-მამასთან და უსაყვედურა:

— რას მერჩოდით, რად მამწყვდევდით სიბნელეშიო.

დედ-მამამ ოქროს კოჭები მისცა სათამაშოდ იქნებ ამით გაერთოს და დაუდგროძლობით არაფერი გააფუჭოსო.

ყათლანმა დაიწყო მინდორში კოჭებით თამაში. ამ დროს კოკაშედგმულმა მოხუცმა დედაკაცმა გაიარა. ყათლანმა ესროლა კოჭი; კოჭი მოხვდა კოკას, კოკა გატყდა და წყალი დაიღვარა.

მოიხედა დედაკაცმა, დაინახა ყათლანი და უთხრა:

— შვილო, დაგწყევლო — როგორ დაგწყევლ ო, დედის ერთა ხარ; შენამც ჩაგვარდნია ცხრა ძმა დევის დის სიყვარული; ოჯდე — ფიცხლავ დგებოდე; იდგე ალარ — ჯდებოდეო.

ყათლანი 'მინ ალარ შესულა, მაშინვე დაადგა გზას ქალის საპოვნელად. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, მიადგა ერთ წისქვილს. 'მევიდა შიგ და მეწისქვილეს თავშესაფარი სთხოვა.

— ვინ ბრძანდებიო?—ჰკითხა მეწისქვილემ.

— ვაშლის შვილი ვარო,— მიუგო ხელმწიფის შვილმა.

მეწისქვილის შვილმა თქვა:

— მეც ვაშლისშვილს მეძახიან, ვაშლით გავჩენილვარო.

მეწისქვილემ უამბო ყათლანს; მე უშვილო ვიყავი, წყალში ვიპოვე ორი ვაშლი, ერთი მე შევჭამე, მეორე ცოლს შევაჭამე და შვილი შეგვეძინა, რომელსაც ყარაბოღლი დავარქვითო.

ყათლანმაც უამბო თავისი გაჩენის ამბავი, რომ მის მშობლებსაც ის ვაშლის ჭამის საშუალებით შეეძინა.

— ჩვენ ძმები ვყოფილვართ, ერთად ვიაროთო,—უთხრა ყარაბოღლიმ.

ყათლანი მოუყვა ყარაბოღლის,— მე ცხრა ძმა დევის დის საძებრად ვარ წამოსულიო.

ყარაბოღლი და ყათლანი წავიდნენ ქალის საძებრად. იარეს, იარეს და როგორც იყო მიაგნეს ცხრა ძმა დევის ცხრასართულიან სახლს. იქვე ძირს რკინის კიბე იდო. ყარაბოღლიმ დაავლო ხელი კიბეს და სახლზე მიაყუდა. ყათ-

ლანი აგზავნა მეცხრე სართულში, სადაც დევების მზეთ-უნახავი და იყო. ქალს ყათლანი მოეწონა და პირობა მის-ცა ცოლად გამოგყვებიო.

დევებმა გაიგეს დასთან უცხო კაცის მისვლა. მეწის-ქვილე დევმა წისქვილის სარეკელა წამოიკიდა; მებალე მარ-გილებით შეიარაღდა; მონადირეებმა თავთავიანთი საო-მარი იარაღი აისხეს. მოემზადნენ საომრად და სახლში მო-ცვივდნენ. დაინახეს — რკინის კიბე მიდგმულია სახლზე. შეჩერდნენ.

უფროსმა ძმამ თქვა:

— დაიცადეთ, ძმებო, ჩვენ ცხრა ძმას გვიჭირდა ამ კიბის მიდგმა სახლზე, ამათ-კი ორს აუწევიათ, ერთბაშად. არ შეგვიძლია მაგათთან შებრძოლებაო.

დაინახეს ყარაბოღლი და შესძახეს:

— კაცო, კაცო, სამტროდ მოსულხარ თუ სამოყვ-როდო?

— სამოყვროდ მოვედითო, — მიუგო ყარაბოღლიმ.

ავიდნენ ყველანი მაღლა. დევები სიძეს მიესალმნენ. ისე უფრთხილდებოდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

ყარაბოღლი დევებთან ერთად სანადიროდ დადიოდა. ყათლანი შინ რჩებოდა, ქალთან. რვა ოთახში სეირნობდა. მეცხრე ოთახში არ უშვებდნენ. ოთახის გასაღები ქალს თმებში ჰქონდა შენახული.

ერთხელ, როდესაც ქალს ეძინა, ყათლანმა მოჰპრა გა-საღები და გააღო მეცხრე ოთახის კარები. ოთახში უზარ-მაზარი ცხრათავიანი თეთრი დევი ება, რომელსაც ცხრი-ლის ოდენა თვალები ჰქონდა. იქვე შორიახლო ხმალი იდო.

ყათლანი შეშინდა.

დევმა უთხრა:

— აი ის ხმალი მომაწოდეო.

ყათლანი დაწვდა ხმალს, მაგრამ ადგილიდან ვერ დას-ძრა.

დევმა ქამარი შემოიხსნა, მიაწოდა და უთხრა:

ქამრის ერთი წვერი მოაბი ხმალს, მეორე კი მომაწოდე და მე თითონ მოვზიდავო.

ყათლანმა მოაბა ქამარი ხმალს, ქამრის მეორე მხარე დევს მისცა, დევმა გამოსწია ქამარი, მიითრია ხმალი. აილო, გადაკრა ჯაკვი და აეშვა. დასტაცა ხელი ყათლანს, აისროლა მაღლა, მერე ისევ მიაშველა ხელი: არ მოვკლავ სიკეთე მიყოო, და დაბნედილი ძირს დადო, მძინარე ქალი-კი გაიტაცა და წავიდა.

ყათლანი როცა გონს მოვიდა, მიიხედ-მოიხედა და ქალი ვერ დაინახა. მიხვდა რაშიაც იყო საქმე, შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ რას იზამდა.

სალამოს დევები და ყარაბოღლი დაბრუნდნენ სანადიროდან. გაიგეს ცხრათავიანი დევის მიერ ქალის მოტაცება. შეწუხდნენ დევები; იმის ხელიდან როგორ ვიხსნით დასაო.

დევებმა უამბეს ყარაბოღლისა და ყათლანს:

— ეგ დევი დევების ხელმწიფე ყოფილა, ჩვენ მამა-პაპას დაუჭერიათ და დაუბამთ, ჩვენ ვფრთხილობდით, რომ არ გაქცეულიყოო.

ყარაბოღლიმ უთხრა დევებს:

— მე წავალ ქალის გამოსახსნელად; ვადად გიდებთ სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კვირას, სამ დღეს, სამ საათს და სამ წუთს; ამ ვადამდის ჩემ ძმას ხელი არ ახლოთ; თუ დანიშნულ ვადაზე არ მოვედი, მერე რაც გინდათ ის უყავითო.

გამოემშვიდობა ძმას, დევებს და გაუდგა გზას. შეხვდა მღვდელი, რომელსაც ეკლესია ზურგზე ჰქონდა წამოკიდებული; სადაც ამწვანებულ ადგილს ნახავდა, ჩამოიღებდა და შეუდგებოდა წირვა-ლოცვას.

გაკვირდა ყარაბოღლი და დაუძახა:

— მღვდელო, მე საჭმელი პურის ტარებაც მეზარება, შენ მაგოდენა ეკლესია როგორ დაგაქვს ზურგითაო?

— ეგ რა საკვირველია, საკვირველი ის არის, ყარაბოღლიმ ცხრა ძმა დევის და რძლად გაიხადაო, — მიუგო მღვდელმა.

— ყარაბოღლი მე ვარო, — უთხრა ყარაბოღლიმ.

— მაშ ან მიყმე, ან მიძმეო, — შეეხვეწა მღვდელი.

— ყმა რად მინდა, ძმა იყავიო, — მიუგო ყარაბოღლიმ.

დაძმობილდნენ. წავიდნენ. გზაში შეხვდათ გუთნისდედა. რამდენ კვალსაც გადააბრუნებდა, იმდენ ბელტს ულაპავდა.

გაუკვირდა ყარაბოღლის და დაუძახა:

— კაცო, საგზლად წამოღებული ორიოდე პური ვერ შემიჭამია, შენ-კი ბელტს ბელტზე როგორ ულაპავო?

— ეგ რა საკვირველია, საკვირველი ის არის, ყარაბოღლიმ ცხრა ძმა დევის და რძლად გაიხადაო, — მიუგო გუთნისდედამ.

— ყარაბოღლი მე თითონ ვარო, — უთხრა ყარაბოღლიმ.

— მაშ ან მიყმე ან მიძმეო, — შეეხვეწა გუთნისდედა.

— ყმა რად მინდა, ძმა იყავიო, — უპასუხა ყარაბოღლიმ.

დაძმობილდნენ და წავიდნენ. მივიდნენ ერთ ტრიალ მინდორში. ინადირეს. ირემი მოკლეს და ცეცხლზე შედგეს. გუთნისდედა ცეცხლს მიუყენეს. ყარაბოღლი და მღვდელი სანადიროდ წავიდნენ.

ცეცხლის ახლოს ორმოდან — ცხრათავიანმა თეთრმა დევმა ამოყო თავი და გუთნისდედას დაუძახა:

— ვინა ხარ მანდ, ჩემი შიშით ცაში ფრინველი ვერ ფრინავს, ქვესკნელში ჭიანჭველა ვერ დადის, შენ-კი ჩემ ბანზე ცეცხლი დაგინთია და ხორცს ხარშავო!

— რა ვქნა, ბატონო, არ ვიცოდი თუ თქვენი იყო ბანი, მოვხარშავ და წავიღებო, — მიუგო შეშინებულმა გუთნისდედამ.

— სად წაიღებ, აიღე ქვაბი, ჩქარა პირში ჩამასხიო! — დაუყვირა დევმა.

გუთნისდედამ აიღო ქვაბი და ჩაასხა დევს პირში.

დაბრუნდნენ ძმობილები, მოიკითხეს ხორცი.

გუთნისდედამ უთხრა:

— რომელ ხორცს კითხულობთ, ზოგი ამომვლელს ვაჭამე, ზოგი ჩამომვლელს, ზოგიც მე შევჭამე და მეტი აღარ იყოო.

რას იზამდნენ, დარჩნენ მშივრები.

ყარაბოღლიმ კიდევ შედგა ცეცხლზე ირმის ხორცი. ახლა მღვდელი მიუყენა ქვაბს; თითონ ის და გუთნის დედა წავიდნენ სანადიროდ.

დევმა კიდევ ამოყო ორმოდან თავი და დაიძახა:

— ვინა ხარ მანდ, ჩემი შიშით ცაში ფრინველი ვერ ფრინავს, ქვესკნელში ჭიანჭველა ვერ დადის, შენ-კი ჩემს ბანზე ცეცხლი დაგინთია და ხორცს ხარშავო!

— არ ვიცოდი, თუ თქვენი ბანი იყოო,— მიუგო შეშინებულმა მღვდელმა.

— ჩქარა ასწიე ქვაბი, ჩამოასხი ორმოშიო!—დაიყვირა დევმა.

მღვდელმა შიშითა და კანკალით ასწია ქვაბი და ორმოში ჩაასხა.

დაბრუნდნენ ძმობილები, ქვაბი ცარიელი დახვდათ.

მღვდელმა თქვა:

— ხორცი ზოგი ამომვლელს მივაწოდე, ზოგი ჩამვლელს, ზოგიც მე შევჭამე და თქვენთვის აღარ დარჩაო.

დარჩნენ მშივრები.

ყარაბოღლიმ ისევ შედგა ირემი მოსახარშად და თქვა:

— ახლა მე დავრჩები ქვაბთან, ვნახო, თუ მართლა ამომვლელ-ჩამვლელს აჭამეთ და ერთი ნაჭერიც აღარ დაგრჩათო.

გუთნისდედა და მღვდელი წავიდნენ სანადიროდ. ყარაბოღლი ხორცს ხარშავდა. დევმა ისევ ამოყო თავი. დაინახა ყარაბოღლიმ, შემოკრა ხმალი და ცხრა თავი დააყრევინა.

დაბრუნდნენ ძმობილები, ყარაბოღლიმ უთხრა:

— დაჯექით, პური ვჭამოთ, თქვენ დევს შეუშინებიხართ და ხორცი იმისათვის გიძლევიათ; განა მეც შემაშინებდა დევი, ცხრა თავი წავაგდებინეო.

ჩაიხედეს ორმოში, ისეთი ღრმა იყო, რომ თვალი ვერ ჩაუწვდინეს.

ყარაბოღლიმ თქვა:

— სამში ერთ-ერთი უნდა ჩავიდეთ და ქალი ამოვიყვანოთო.

ჩაგზავნეს მღვდელი, მაგრამ მოყვა ყვირილს:

— დავიწვი, დავიწვი, ამიყვანეთო!

ამოიყვანეს მღვდელი და გუთნისდედა ჩაგზავნეს. იმანაც ყვირილი მორთო:

— დავიწვი, დავიწვი, მიშველეთ, ჩქარა ამიყვანეთო!

გუთნისდედაც ამოიყვანეს.

ყარაბოღლიმ თქვა:

— მე ჩავალ ორმოში; იცოდეთ, რამდენიც დავიძახო ვიწვიო, იმდენი უფრო ძირს ჩამიშვითო.

ჩავიდა ყარაბოღლი. ისიც მოყვა ყვირილს დავიწვიო, მაგრამ ძმობილები მაინც ძირს უშვებდნენ.

ჩავიდა ყარაბოღლი ძირს, ნახა მოტაცებული რძალი და ახარა:

— დევი მოვკალიო.

რძალმა უთხრა:

— ჩემს გარდა კიდევ არის სამი ქალი მოტაცებულიო.

ყარაბოღლიმ სამივე ქალი გაანთავისუფლა და თავთავისი გზით გაისტუმრა. შემდეგ რძალს უთხრა:

— შენ ზევით მოგაქცევ, მე ფეხებზე მოგკიდებ ხელს და აგვიყვანენო.

ქალი არ ეთანხმებოდა, შენ ზევით იყავ, ფეხებზე მე მოგკიდებ ხელსო, მაგრამ ყარაბოღლიმ არ ქნა. ქალი ზეძოთ დააყენა, თითონ ფეხებზე მოჰკიდა ხელი და მღვდელსა და გუთნისდედას ზევით აყავდათ. დაინახეს ქალი, მოჰკიდეს ხელი, დასვეს მიწაზე, ყარაბოღლის ჰკრეს და ძირს ჩააგდეს.

რძალმა ზევიდან ჩასძახა:

— სამი რაში გამოვა: — თეთრი, წითელი და შავი; შავზე არ შეჯდე — ქვესკნელში ჩაგიყვანს; არც წითელს მიეკარო, თეთრზე შეჯექ, ზევით ამოგისვრისო.

ყარაბოღლი არ შეჯდა არც თეთრზე, არც წითელ-რაშზე, შავ რაშს მოახტა. შავმა რაშმა ქვესკნელში ჩაიტაცა. იქ შევიდა ერთ სახლში, სადაც ბებერი დედაკაცი და სამი ქალი იყო.

ყარაბოღლიმ ბებერ დედაკაცს პური სთხოვა.

— რა ვქნა, შვილო, ფქვილი მაქვს, მაგრამ წყალი არა მაქვს, რომ ცომი მოვზილო და პური გამოვაცხო; წყალი გველეშაპს უჭირავს; თითონ ხელმწიფეს დღეში სამი თუნგი წყალი ეძლევა და ამის საფასურად გველეშაპი ხელმწიფის ქალებსა ჭამსო, — მიუგო დედაკაცმა.

ყარაბოღლიმ ჭურჭელი მოითხოვა წყლის მოსატანად. ბებერი არ აძლევდა, — გველეშაპი შეგჭამსო.

ყარაბოღლი არ მოეშვა:

— ჭურჭელი მომეცით. გველეშაპი მე ვერას მიზამსო.

ქალებმა მიუტანეს კოკები. ყარაბოღლიმ კოკა კოკას შემოკრა და დაამტვრია.

— დიდრონი კოკები ან ქვევრები მომეცითო.

ბებერმა აჩვენა მიწაში ჩაფლული ქვევრები. ყარაბოღლიმ ამოთხარა სამ-სამკოკიანი ქვევრები, დაიჭირა აქეთ-იქით ხელში და წავიდა წყლის მოსატანად

წყლის პირას ხელმწიფის ქალი იჯდა და ტიროდა. ყარაბოღლი რომ დაინახა, მოუბრუნდა და უთხრა:

— ყმაწვილო, თავი რად არ გებრალება, რომ აქ ნებით მოდიხარ, ხომ შეგჭამს გველეშაპიო!

— ნუ გეშინია, მე დაღლილი ვარ, თუ დამეძინოს და გველეშაპის მოსვლა ვერ გავიგო, ერთი წვეთი ცრემლი დამადინე და გამეღვიძებაო, — უთხრა ქალს ყარაბოღლიმ, კალთაში თავი ჩაუდო და დაიძინა.

გავიდა ცოტა ხანი. ელვა-ჭექით მოდის გველეშაპი. დაბნელდა არემარე. გრგვინავს მთა და ბარი.

შეშინებულმა ქალმა ტირილი დაიწყო. ყარაბოღლის ღაპა-ღუპით დასდიოდა ცრემლი. გამოეღვიძა ქალს და უთხრა:

— ნუ გეშინიაო.

მოიმარჯვა მშვილდ-ისარი, ესროლა და შუა წყალში ჩააგდო გველეშაპი. წყალი სისხლის ნიაღვარივით მოდიოდა.

ქალმა დაისველა ხელები გველეშაპის სისხლში და ყარაბოღლის ბეჭებზე დაარტყა, თითონ-კი დედ-მამასთან გაიქცა.

მამას ეწყინა, ქალი რომ დაინახა, და უსაყვედურა:

— რად მოხვედი, შვილო, ხომ ყველას ამოგწყვეტს გველეშაპი წყურვილითაო.

გახარებული ქალი კი გაიძახოდა:

— მამავ, გველეშაპი მოკლეს, გველეშაპი მოკლესო!

შესამოწმებლად, მართალს ამბობს ქალი თუ არაო, საქონელი გარეკეს წყალზე; მწყურვალე საქონელი დაეწაფა წყალს, ზოგი იქვე დასკდა წყლის სმით, ზოგი გზადაგზა იბოცებოდა, ზოგიც გადარჩა და ბინაზე მოვიდა.

ხელმწიფემ ახლა-კი დაიჯერა ქალის ნათქვამი. შეყარა ხალხი, უნდოდა გაეგო, ვინ მოკლა გველეშაპი, ვინ გაანთავისუფლა სახელმწიფო ასეთი უბედურებისაგან.

მკვლელს ვერ პოულობდნენ. ხელმწიფეს მოახსენეს:

— ამა და ამ დედაბერთან ერთი უცხო კაცი არის, იქნებ იმან მოკლა გველეშაპიო.

ყარაბოღლი მოიყვანეს. ხელმწიფის ქალმა დახედა ბეჭებზე, ნახა სისხლიანი ხელების კვალი და გახარებულმა დაიყვირა:

ეს არის გველეშაპის მკვლელიო.

ხელმწიფემ თავისთან მიიხმო ყარაბოღლი და უთხრა:

— შვილო, ჩემი სახელმწიფო შენი დახსნილია, შენ გეკუთვნის და შენთვის დამილოცნიაო.

— არაფერი მინდა. მაღლიდან ვარ ჩამოვარდნილი და ამიყვანეთო,— თქვა ყარაბოღლიმ.

ხელმწიფე შეწუხდა, არ იცოდა როგორ უნდა აეყვანათ ყარაბოღლი ბაღლა. ბოლოს ხელმწიფეს უთხრეს:

— ჩვენ სახელმწიფოში სამი ძმა არის ათას-ათასი წლისა, თუ ეცოდინებათ, იმათ ეცოდინებათ როგორ ავიყვანოთო.

მართლაც მივიდნენ უმცროს ძმასთან. ნახეს — ზის დახავსებული მოხუცი. დაუწყეს საყვირებით ყვირილი; ყურებთან თოფებს უცლიან; ძლივს ჩააგდეს გულისხმაში.

მოხუცმა თავი გაიქნია:

— რა დაგემართათ, რას თხოულობთ, რა გინდათო?

— მაღლიდან კაცი ჩამოვარდა, უნდა ავგზავნოთ, შენ გეცოდინება როგორ ავგზავნოთ და გვასწავლეო, — უთხრეს მოხუცს.

— მე არა ვიცი რა, ჩემ შუათანა ძმასა ჰკითხეთ, იქნებ მან იცოდესო, — მიუგო მოხუცმა.

მოვიდნენ შუათანა ძმასთან. ის უფრო დახავსებული იყო. ჩასძახიან იმასაც საყვირებით, ჰაი აქეთ, ჰაი იქით, უცლიან ყურებთან თოფებს. როგორც იყო მიახვედრეს მოხუცი, რომ იმასთან იყვნენ მისული.

მოხუცმა წყრომით თავი გაიქნია:

— რა გინდათ ჩემგან, რა საქმე გაგჩენიათო?

— მაღლიდან კაცი ჩამოვარდა, აყვანას თხოულობს და იქნებ შენ იცოდე როგორ ავგზავნოთო, — უთხრეს მოხუცს.

— მე არ ვიცი, ჩემს უფროს ძმას ეცოდინებაო, — მიუგო მოხუცმა.

მივიდნენ უფროს ძმასთან, ის უარესად დახავსებული იყო. დაიღალა ხალხი საყვირების ჩაძახებითა და თოფების სროლით. როგორც იყო გონს მოიყვანეს.

— რა ამბავია რაზე გარჯილხართო? — გაიქნია თავი მოხუცმა.

— ზეციდან კაცი ჩამოვარდნილა, შენ უნდა გვასწავლო როგორ ავგზანოთო, — უთხრეს მოხუცს.

მოხუცმა დაიწყო:

— ამა და ამ კლდეში ფასკუნჯი [1] ბუდობს; ყოველ თვეში შვილები უჩნდება, მაგრამ არწივი ჰყავს შეჩენილი და შვილებს ის უჭამს; ვინც იმ არწივს მოკლავს, ფასკუნჯს შეუძლია მისი ზევით აყვანა, თორემ სხვა ვერავინ აიყვანსო.

ყარაბოღლი მივიდა იმ კლდესთან, სადაც ფასკუნჯი ბუდობდა, და ჩაუსაფრდა არწივს. არ გასულა ბევრი დრო, მოფრინავს არწივი. დაინახეს პატარა ფასკუნჯებმა და ატეხეს ჟივილ-ხივილი. ყარაბოღლიმ მოიმარჯვა მშვილდ-ისარი, ჰკრა არწივს და მოკლა. გადარჩნენ პატარა ფასკუნჯები.

ყარაბოღლი დაღლილი იყო და იქვე დაიძინა. მივიდნენ ფასკუნჯის ბარტყები, ერთი თავთან, მეორე შუაზე და მესამე ბოლოს ფეხებთან, გაშალეს ფრთები და ყარაბოღლი მზისაგან დაფარეს.

მოფრინდა დედა ფასკუნჯი, დაინახა მძინარე კაცი, მტერი ეგონა და უნდოდა მოეკლა, მაგრამ შვილები შემოეხვივნენ:

— არ მოკლა, ჩვენი მხსნელია, ჩვენი მტერი არწივი ამან მოკლაო.

დედა ფასკუნჯიც მივიდა ყარაბოღლისთან, ფრთები გაშალა და მძინარეს მზე დაუჩრდილა.

როცა გამოეღვიძა ყარაბოღლის, ფასკუნჯმა უთხრა:

— მტერი მეგონე, კინაღამ მოგკალი; რადგან ასეთი სიკეთე მიყავი, ხომ არა გიჭირს, რომ მეც გცე პატივიო.

ყარაბოღლიმ სთხოვა:

— მაღლა ამიყვანეო.

— ოჰ, ნეტა ეგ არ შემოგეკვეთა, ძნელია; რამდენ ფრთას მოვუსვამ, იმდენი კოკა ღვინო, კოდი ნამცხვარი და თითო ცხვარი მომინდება. თუ იშოვნი რამდენიც მომინდება, აგიყვანო, — უთხრა ფასკუნჯმა.

ყარაბოღლი მოვიდა ხელმწიფესთან და ფასკუნჯის ნათქვამი გადასცა. ხელმწიფემ მრავალი საგზალი მოამზა-

[1] ფასკუნჯი—ზღაპრული ფრინველი.

დებინა მისთვის. ფასკუნჯმა გაშალა ფრთები, ყარაბოღლიმ დააწყო ზედ საზრდო და თითონ ფასკუნჯს კისერზე მოექცა. ორმდენ ფრთასაც მოიქნევდა ფასკუნჯი, იმდენ კოდ ნამცხვარს და თითო ცხვარს ჩაუდებდა პირში ყარაბოღლი და ერთ კოკა ღვინოსაც ჩაასხამდა. უკანასკნელი ფრთის მოქნევაზე ყარაბოღლის საზრდო შემოაკლდა, საჩქაროდ გამოიჭრა კუნთი და ფასკუნჯს პირში ჩაუდო.

— ო, ეს რა გემრიელი ლუკმა იყო! — დაიძახა ფასკუნჯმა და ყარაბოღლი მაღლა აიყვანა.

ყარაბოღლი კოჭლობდა. ფასკუნჯმა ჰკითხა:

— რად კოჭლობო?

— საზრდო შემომაკლდა, კუნთი გამოვიჭერ და მოგეცი, — უპასუხა ყარაბოღლიმ.

— რომ მცოდნოდა ასეთი გემრიელი ხორცი გაქვს, შეგჭამდი, — უთხრა ფასკუნჯმა.

წასვლის წინ ფასკუნჯმა დაარიგა ყარაბოღლი:

— ქამრით ხეს მიეკარ, თორემ ჩემი ფრთების მოქნევით ამოვარდნილი ქარი ისევ ქვესკნელში ჩაგაგდებსო.

ყარაბოღლი მაგრად მიეკრა ხეს. სამი დღე და ღამე ქარი ქროდა. როცა ქარი ჩადგა, ყარაბოღლი მოეხსნა ხეს და წავიდა, ერთ ალაგას ნახა — მისი ძმობილი მღვდელი და გუთნისდედა ცილაობენ მოტაცებულ ქალზე, ყარაბოღლის რძალზე: არა მე უნდა შევირთო, არა მეო. ყარაბოღლიმ ორივე მოკლა და რძალი წაიყვანა.

შესრულდა სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე და სამი საათი, რაც ყარაბოღლიმ დევებს ვადა დაუდო; სამი წუთი აკლდა ვადას. დევებმა დააწვინეს ყათლანი, ჯერ ოდნავ გაუსვეს დანა ყელში, მეორედ მაგრად უნდა გაესვათ, ყელი უნდა გამოეჭრათ, რომ ბანზე ყარაბოღლის მშვილდ-ისარი დაერჭო. მაშინვე დაანებეს ყათლანს თავი და ჭრილობა ხელსახოცით შეუხვიეს.

მოვიდა ყარაბოღლი რძლით. ნახა ძმას ყელზე ჭრილობა აქვს და დევებს უსაყვედურა:

— რატომ სამი წუთიც არ მოიცადეთო?

ყარაბოღლიმ უამბო დევებს, რაც გადახდათ რძალ-მაზლს.

დასწერეს ყათლანს ჯვარი და ქალი წაიყვანეს. ხელმ-წიფე დაბერებულიყო შვილის დარდით. ძალიან გაეხარ-და შვილის მშვიდობიანად დაბრუნება.

დედინაცვალი და გერი



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი.

მომაკვდავმა დედამ ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა. თანვე ანდერძად დაუბარა:

— ვინიცობაა, 'მვილო, მაცაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაკლას, შენ ეგ ძროხის ხორცი არ ჭამო და ძვლებს კი თავი მოუყარე და ორმოში ჩაყარეო...

მამამისმა მართლა მეორე ცოლი შეირთო.

დედინაცვალი გერს გადაეკიდა, სულ იმის ფიქრში იყო, რა ხერხი ეხმარა, რომ დაეჩაგრა.

ადგა და ავადმყოფობა მოიგონა, ლავაშები დააცხობინა, ზედ ლოგინი გაიშალა და დაწვა. გადაბრუნდებოდა, ლავაშებს მტვრევა გაჰქონდა, გადმობრუნდებოდა და აგრეთვე ამტვრევდა.

ქმარმა რომ ნახა, ჰკითხა:

— ქალო, ავად რითი ხარო?

— გვერდები მტკივა და მემტვრევაო,—მიუგო ცოლმა.

— მერე რით უნდა იწამლოო? — ჰკითხა ქმარმა.

— ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველას არ დალევ, არა გეშველება რაო,—უთხრა ცოლმა.

კაცმა იტირა: დედამ ერთი ძროხა დაუტოვა თავის ქალს და როგორ დავუკლაო.

ოადგან აღარაფერი გაეწყობოდა, ძროხა დაკლეს.

მაშინ ადგა გერი, ერთ დედაბერთან წავიდა და შეს-ჩივლა:

— დედაჩემის დატოვებული ძროხა დამიკლესო.

— დედაშენმა რა გითხრაო ჰკითხა დედაბერმა.

ქალმა უთხრა:

— ასე მითხრა, ძროხის ხორცს ნუ სჭამ და ძვალს კი თავი მოუყარეო.

დედაბერმა დაარიგა:

-- წადი, შვილო, ბაგის ქვეშ ორმო გათხარე და ის ძვლები შიგ ჩაყარეო.

გერი დაბრუნდა, ბაგის ქვეშ ორმო გათხარა, ძროხის ძვლები, ტყავი და თავ-ფეხი შიგ ჩაყარა და ზედ ფიცრები დაახურა.

დედინაცვალმა ნალეელა დალია და მორჩა. ადგა და გერი სამწყემსურში გაგზავნა. ერთი პური გაატანა და უთხრა:

-- ეს პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა სჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო.

გერი წავიდა. ტყეში რომ შევიდა, მაღლობზე შედგა, ტირილი დაიწყო და აბრეშუმის რთვას მოჰყვა. მაღლიდან გადმოიხედა და ერთი სალკარი დაინახა, შიგ დედაბერი იყო. გერს კვირისტავი ჩაუვარდა და ჩასძახა:

— დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომაწოდეო.

დედაბერმა ასძახა:

— აჰა, შვილო, კვირისტავიო; მერე უთხრა: ჩამოდი ძირს, ერთი სახლი დამიგავეო.

გერი ჩავიდა, სახლი დაუგავა, დაუწმინდა.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო,— უთხრა დედაბერმა.

დაურეცხა, დაუსუფთავა და დაულაგა.

— ერთი ქვევრებსაც დამიხედეო.

წავიდა, დახედა და მოახსენა:

— უჰ, რა კარგი და სუფთა ქვევრები გქონიაო.

ბოლოს უთხრა:

— შვილო, რათა ტიროდიო?

— დედინაცვალმა ეს აბრეშუმი და ეს პური გამომატანა. პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა სჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო; აბრეშუმიც დამირთეო.

დედაბერმა თავისი პური აჭამა, მისი კი უკანვე მისცა, აბრეშუმის დართვაშიაც მოეხმარა.

დალამებისას გერი შინ დაბრუნდა.

გერი დედაბერს მიეჩვია და ყოველთვის, როცა სამწყემსურში წავიდოდა, იმას ესტუმრებოდა.

ერთხელ, გერი რომ მორჩა სახლკარის დაგვა-დალაგებას, დედაბერმა, თითქო მადლის გადასახდელადაო უთხრა:

— წადი, შვილო, აგერ მდინარე წყალი მოდის, ნაპირას დაჯექ, თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს, არ იბანო, არც შავში, არც ვირის ფერში; ოქროსფერმა რომ ჩამოიაროს, იმაში კი თავი დაისველე და ჩემთან მოდიო.

გერმა ოქროსფერ მდინარეში თავი დაისველა და დედაბერთან მოვიდა:

ოქროს თმა გამოსვლოდა.

თავი მაგრა შეუხვია და საღამოს შინ გაისტუმრა.

გერი დედინაცვალს ემალებოდა, ვაითუ თმა დამინახოს და მომკლასო.

მაგრამ მის თმის ბრწყინვას დედინაცვალმა თვალი მოჰკრა, მივარდა, თავს გადახადა, დახედა, გაოცდა და შურით გლეჯა დაუწყო.

მერე დაწვრილებით გამოჰკითხა და როცა გერის თავგადასავალი შეიტყო, იმის მაგივრად ახლა თავისი საკუთარი ქალი გაგზავნა სამწყემსურში, თანაც დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პური და აბრეშუმ-თითისტარი გაატანა და რაც თავის გერს, ისევე იმას დააბარა:

წავიდა ქალი, ტყეში შევიდა, შედგა დედაბრის სახლის ბანზე და ხელი მიჰყო აბრეშუმის რთვას, კვირისტავი ჩაუვარდა და გადასძახა:

— შე ქოფაკო დედაბერო, ეგ კვირისტაეი მომაწოდეო.

— ჩამოდი და აიღეო, — უთხრა დედაბერმა.

ქალი ჩავიდა.

— აბა ერთი სახლი დამიგავეო, — უთხრა დედაბერმა.

შევიდა სახლში და ყველაფერი მიუმტვრ-მოუმტ ვრია.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო.

ჭურჭელიც სულ დაუმტვრია.

— ერთი ქვევრებს დამიხედეო.

— ფუჰ! ფუჰ! რა მყრალი ქვევრები გქონია, უწმინდურობით არის სავსეო.

— აბა, შვილო, წადი, — უთხრა დედაბერმა, — და ამა და ამ ადგილას დაჯექი; რამდენიმე წყალი ჩამოივლის, მაგრამ თავი არ დაისველო, სანამ ვირის ფერმა წყალმა არ ჩამოიარეოსო.

ქალი წავიდა, ვირის ფერ წყალში დაისველა თავი და ვირის ყურები გამოება.

ადგა და დედასთან გაეშურა ტირილით და თავისი ამბავი შესჩივლა.

დედამ რომ ნახა, თავში ხელი იცა და ბევრი იდარდა. მაგრამ რაღას გააწყობდა.

ხანი გავიდა. დღესასწაულმა მოატანა. დედინაცვალი თავისი ქალით თემობაზე წავიდა და გერი კი შინ დასტოვა, ერთი კოდი ფეტვი დაუყარა და საცეხველი დაუდგა: ცრემლით ააგროვე ფეტვი, ისე აკრიფე, ერთი მარცვალიც არ დარჩესო.

გერმა ტირილი მორთო, წავიდა და დედაბერს შესჩივლა — ასეა ჩემი საქმე და რა ვქნაო?

— ნუ გეშინია, შვილო, მე წამოვალ და საქმეს გამოვაკეთებო.

წამოჰყვა, დაუძახა რაც ქვეყანაზე ფრინველი იყო და უთხრა:

— ეს მარცვლები აკრიფეთო.

ფრინველებმა აჰკრიფეს და საბათმანოში ჩაჰყარეს; გაივსო. მერე საცეხველში წყალი ჩაასხა, მარილი ჩაყარა და უთხრა გერს:

— ადე, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, წადი და საცა ძროხის ძვლები ჩაჰყარე, იმ ორმოს ახადე და ასე სთქვი— რაშო, ყველაფრით განწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეთქო.

გერი წავიდა, ორმოს თავს დადგა, ყველაფერი უთხრა, როგორც დედაბერმა დაარიგა.

რაში შეკაზმული ამოვიდა და გერის ტანისამოსიც ამოიტანა. ჩაიცვა გერმა და რაშზე შეჯდა, დედაბერმა უთხრა:

— წადი ახლა დღეობაში, ცალ ხელში თვალ-მარგალიტი დაიპირე, ცალ ხელში ნაცარიო.

გერი წავიდა.

რაშიანი ქალი რომ ნახეს, გაუკვირდათ. მაშინვე თვალ-მარგალიტი მამისკენ გადაყარა, ნაცარი დედინაცვალისკენ და საჩქაროდ გამობრუნდა, რომ შინაუოებისათვის შინ მიესწრო, მაგრამ მდინარე წყალში გასვლის დროს ცალი ქოში ჩაუვაოდა. შინ რომ მივიდა, ტანთ გაიხადა, ტანისამოსი შეახვია და რაშს დააკრა, ბაგაზე შეიყვანა და უთხრა:

— რაშო, ჩაბრძანდი შენი განწყობილობითაო.

რაში ჩავიდა, გერმა ორმოს თავი დახურა, შემობრუნდა შინ, ძველებურადვე მობუღნული დაჯდა კერასთან და დაიწყო ტირილი.

დედინაცვალი რომ დაბრუნდა, გერს თავში ჩაჰკრა და უთხრა:

— შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენ გგავდა, დღეობაში რომ ქალი ვნახეო! იმ მდინარე წყალზე, სადაც გერს ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეებმა ცხენები ჩაიყვანეს წყლის დასალევინებლად, ცხენები დაფრთხნენ და წყალი აღარ დალიეს, რაკი შიგ ოქროს ქოში ბრწყინავდა.

ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა, მდინარეში რაღაცა გდია, ცხენები დაფრთხნენ და წყალი არ დალიესო.

ხელმწიფემ მაშინვე მცურავები გაგზავნა. მცურავებმა ქოში ამოიღეს და ხელმწიფეს მიართვეს.

ხელმწიფემ ქოში იასაულეს მისცა და უბრძანა:

— რკინის ქალამნები ჩაიცვით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დაიარეთ, სადაც ქალამანი გაგიცვდეთ და ჯოხი გაგიტყდეთ, იქ იქნება ამის ჩამცმელი ქალი და ის ქალი წამოიყვანეთო.

ქვეყანა მოვლეს, მივიდნენ იმ ბლეხისას, სადაც ის ქალი იყო. ჯოხიც იქ გატყდა და ქალაქნებიც იქ გაცვდა.

სახლში შეგვიშვით უნდა დავიაროთო,—უთხრეს იასაულებმა.

დედინაცვალმა არ შეუშვა, ხელი ჰკრეს, შეცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. დედინაცვალმა გერი საჩქაროდ თონეში ჩააგდო, ჭილობი გადააფარა, ზედ სიმინდი დაყარა და კრუხ-წიწილს დაუძახა. მივარდა თავის ქალს, ქოშის ცემა დაუწყო, მაგრამ არ არგო. იასაულები გავიდნენ ეზოში, ნახეს, ფინია თონეს გარშემო ფრენდა და იძახდა:

— თეთრი ქალია თონეში, თეთრი ქალია თონეშიო!

მივიდნენ, თონეს ახადეს და მშვენიერი ქალი კი ამოიყვანეს. ქოში, რომ ნახა, თქვა ჩემიაო, ჩაიცვა და არგო. წაყვანა დააპირეს, მაგრამ გვერდა მოახსენა:

— აქ მომიცადეთ და ალავ გიახლებითო.

წავიდა, ორმოს თავს დადგა, ახადა და უთხრა:

— რაშო, ყველაფერით გაწყობილი ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო. რაში ნაშინვე ამოვიდა. ქალმა ტანთ ჩაიცვა, მზეს დაემსგავსა, შეჯდა რაშზე და იასაულებს წაჰყვა.

დედინაცვალიც მოახლედ წაიყვანეს და მასთან მისი ქალიც.

გზაში მდინარე წყალი დახვდათ გასავლელი.

დედინაცვალს თურმე კალათაში კატა გაეხვია. წყალს რომ მიუახლოვდნენ, კატა გაუშვა და დაიყვირა:

— არ იქა, კურდღელი კურდღელიო!

იასაულები გამოუდგნენ. დედინაცვალი მაშინვე გერსა სწვდა, ტანსაცმელი წაჰგლიჯა, თავის ქალს ჩააცვა და რაშზე შესვა, გერს კი ხელი ჰკრა და წყალში ჩააგდო.

გერი თევზმა ჩაყლაპა. ქალი ხელმწიფეს მიჰგვარეს. იქორწილა. ვირის ყურები რომ უხახა ქალს, არ იაძა, მაგრამ რას იზამდა.

ერთი მებადური თურმე იმ მდინარეზე თევზაობდა; ბადე ისროლა, ნახა, რომ დიდი თევზი მოედო, გამოიტანა, თევზი გამოფატრა და ცოცხალი ქალი გამოიყვანა.

მებადური თვითონ უშვილო იყო და თქვა:

— ღმერთმა შვილი მომცაო.

ქალმა უთხრა:

— რადგან წყლიდან გამომიყვანე და ქვეყნიერება დამანახვე, წამიყვანე და ბედსა გწევო.

მებადურმა ცოლს მიჰგვარა და უთხრა:

— მაინც შვილი არ გვყავდა და ახლა ღმერთმა ეს ქალი მოგვცა შვილადაო.

კარგად მოუარეს, ჩააცვეს და დაახურეს. გერი თუ უწინ კარგი იყო, ეხლა ერთი-ორად უკეთესი გახდა. კარგახანს დაჰყო მებადურთან და ერთხელ უთხრა:

— მამავ! ესა და ეს ხელმწიფე დამიპატიჟეო.

— შვილო, ჩვენ რა გვაქვს მისი საკადრისი, ან რა ღირსი ვართ ხელმწიფე დავპატიჟოთო.

შვილობილმა უთხრა:

— შენ ნუ გენაღვლება, მე მხალს გავაკეთებ და იმაზე მოვიწვევო.

ხელმწიფე სანადიროდ დადიოდა. მებადური შემოეყარა და მოახსენა:

ხელმწიფევ, გთხოვ ღარიბის ოჯახში მობრძანდეო.

ხელმწიფემ თქვა: რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, რომ მპატიჟებსო, და ეწვია. სახლში რომ შევიდა, სკამი მიართვეს. ხელმწიფე დაბრძანდა. ქალმა მხალი, პური და ღვინო მიართვა. ქალს პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული.

— ჩემო ხელმწიფევ, მე ამის მეტი შეძლება არა მქონდა, რომ გაგმასპინძლებოდიო.

ხელმწიფე გაკვირდა და თქვა:

— პირახვეული რად არისო?

— სიტყვა მაქვს მოსახსენებელი, იმიტომ გავბედე და გავკადნიერდი, შენ დაპატიჟებას მამაჩემი ვერ ბედავდა, მაგრამ ძალა დავატანეო.

— აბა პირს აიხადე და მითხარი, რა გაქვს სათქმელიო.

ქალმა პირბადე აიხადა. ხელმწიფემ რომ შეხედა, მისი მშვენიერებით გაოცდა და ოქროს თმამ გააკვირვა.

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი ყოველივე, თუ როგორ იტანჯებოდა დედინაცვლისა და მისი ქალის ხელში.

ხელმწიფემ მაშინ იასაულები გაგზავნა, ორივე დედაშვილი მოაყვანინა, ცხენის კუდებს გამოაბმევინა, ორივე აათრევინა.

ქალი წაიყვანა, მეთევზე და მისი ცოლი თან გაიყოლა.

შინ რომ მივიდა, იქოოწილა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება: მათი ნახვა მტერსაც კი უხაროდა.

ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა.

სამი ძმა



ყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფე ავად გახდა, მოიხმო შვილები და უთხრა: შვილებო, მე როგორც ვატყობ, ველარ მოვრჩები; აი, ეს სამი ძვირფასი თვალი შეინახეთ; მე მრავალი მტერი მყავს,—რაკი შეიტყობენ ჩემს სიკვდილს, ვიცი, საომრად მოვლენ; მაგრამ თქვენ ნუ შეშინდებით. მე ერთი მაგარი ციხე მაქვს, ანდამატის ციხეს ვეძახით; იმ ციხეში შეიხიზნენით და რაც უნდა ჯარი მოგადგეთ, ვერ შემოგივათ. თუ, ვინიცობაა, შეშინდეთ, ერთი მეგობარი ხელმწიფე მყავს, იმასთან წადით, ეს სამი თვალი მიართვით და ის დაგიფარავთო.

გარდაიცვალა ხელმწიფე და როგორც ეკადრებოდა, ისე დაასაფლავეს.

გავარდა თუ არა ხმა ხელმწიფე მოკვდაო, მაშინვე მტრები ყოველ კუთხიდან მოადგნენ იმ ქვეყანას და შვილებს შემოუთვალეს: მამათქვენი აღარ არის და ჯავრს ახლა თქვენზე ამოვიყრითო. ყმაწვილებს შიშით გული გაუსკდათ, მსწრაფლ გაიქცნენ და მივიდნენ თავიანთი მამის მეგობარ ხელმწიფესთან.

ერთს დღეს სამმა ძმამ თქვა: მამაჩვენმა რომ სამი თვალი მოგვცა, რატომ ხელმწიფეს არ მივართვითო? მაგრამ დახე უბედურებას, თვლები დაჰკარგოდათ, და სამ ძმაში რომელსა ჰქონდა, არავინ იცოდა. ერთი ამბობდა მე

არა მაქვსო, მეორე ამბობდა მე არ მინახავსო. რომ აღარ იქნა და არავინ გამოაჩინა, მოახსენეს ხელმწიფეს: ესაა ჩვენი დარდიო არ ვიცით ჩვენში რომელს აქვს ის ძვირფანი თვლები, რომელიც მამაჩვენმა თქვენთვის მოსართმევად დაგვიტოვაო.

ხელმწიფემ ბრძანა იგავი: „ერთს ხელმწიფეს ჰყავდა ქალი. გაათხოვა და მეორე ხელმწიფის შვილს მისცა, თუმცა კი ქალს ერთის ვაჭრის ვაჟი უყვარდა. ქმარმა მიიყვანა ცოლი შინა, მაგრამ მალე შეიტყო, რომ ცოლს არ უყვარდა. ჩააცვა თავის ცოლს ძალიან მდიდრულად, ბევრი ძვირფასი ნივთი აჩუქა და გაისტუმრა სამშობლოში თავის სახლიდან.

გზაზე ამ ქალს ავაზაკები დახვდნენ.

ერთმა თქვა:

— მოდი მოეკლათო;

მეორემ:

— რადაო? ერთი სუსტი არსებაა, დეე წავიდეს თავის გზასაო.

მესამემ:

— გავძარცოთ და ისე გავუშვათო. აბა ახლა მე თქვენ გკითხავთ, რომელს უფრო კარგი უთქვამს?

უფროსმა თქვა: პირველსაო;

შუათანამ: მეორესაო.

უმცროსმა: ნივთები რო წაერთმიათ, უფრო კარგს იქმოდნენო.

— მაშ შენ გექნება დამალული თვლებიო,—უთხრა ხელმწიფემ და კიდეც გამოაჩენინა.

ორი უფროსი ძმა ხელმწიფემ სკოლაში მისცა სწავლაზე და უმცროსი კი, რადგან ძალიან პატარა იყო, შინა ჰყავდა. ერთხელ დღისით დედოფალს ეძინა. ჭერიდან ჩამოვიდა გველი, მიცურდა დედოფალთან და უნდა ეკბინა. ამ დროს უმცროსმა ძმამ გველს თვალი შეასწრო, მიჰვარდა, მოკლა, გაიტანა და ხაროში ჩააგდო. შემობრუნდა, დახედა მძინარე დედოფალს და შენიშნა, რომ ერთი წვე-

თი სისხლი ზედ ჯიბის პირთან კაბაზე დასცემოდა. მივიდა და დაუწყო წმენდა.

ამ დროს გამოელვიძა დედოფალსა, განრისხდა, ხელმწიფეს მოახსენა:

— აი ეს შენი შვილადაყვანილი რა ცუდი ყოფილა: რო მეძინა, ჯიბეში ხელს მიყოფდა და ფულსა მპარავდაო.

ხელმწიფემ უბრძანა მსახურებს ყმაწვილი წაეყვანათ და ხაროში ჩაეგდოთ.

როდესაც უფროსი ძმები სკოლიდან დაბრუნდნენ, უმცროსი ძმა მოიკითხეს. ხელმწიფემ ყველაფერი უაბო. ძმები ძალიან დაღონდნენ; მაგრამ რას იზამდნენ.

ბოლოს მოახსენეს: რატომ არა ჰკითხეთ, იქნება რა მიზეზი იყოვო?

უფროსმა ძმამ თქვა იგავი:

„იყო ერთი თავადიშვილი და ჰყავდა ერთი ქორი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა. ერთხელ სანადიროდ გავიდა. ბევრი იარა, მოსწყურდა და წყლის საძებნელად წავიდა. ნახა, ერთს ალაგას ცოტათი ჩამოსწვეთდა. შედგა ჭურჭელი... მინამ აივსებოდა, მოფრინდა იმისი ქორი, შემოჰკრა ფრთა და წყალი დაუღვარა. რასაკვირველია, თავადიშვილს ძალიან ეწყინა, კიდევ შეუდგა ჭურჭელი; ქორმა კიდევ დაუღვარა. თავადიშვილი ძალიან ბრაზზე მოვიდა: როგორ მწყურია წყალი და დახე, ეს ჩემი საყვარელი ქორი რა მტრობას მიშვრებაო! ადგა და ქორი მოკლა. შემდეგ შეჯდა ცხენზე და თქვა: მოდი წავალ, სათავეს ვიპოვნი, იქ უთუოდ დიდი წყალი იქნება და დავლევო. მივიდა, ნახა, რომ სათავეში ერთი გველეშაპი გდია და ის წყალი იმის ლეშს გასდის. ბევრი იცა თავში თავადიშვილმა: ვაი, შენ ჩემო ქორო! შენ ჩემთვის სიკეთეგდომებია და მე კი რა განუკითხავად მოგკალიო! მაგრამ რალას უშველიდა...

თქვე დალოცვილო, იქნება ჩვენს ძმასაც არა აქვს-რა დანაშაული, რატომ არ ჰკითხავთ?“ — გაათავა უფროსმა ძმამ. ხელმწიფემ უბრძანა: ტყუილად ამართლებთ თქვენს ძმას, ის დამნაშავე არისო.

შუათანა ძმამ თქვა იგავი:

„იყო ერთი ხელმწიფე; ჰყავდა ბარყუში[1] ამ ფრინველმა ლაპარაკი იცოდა და ხელმწიფეს ძალიან უყვარდა; მაგრამ იმის ვეზირს კი ეჯავრებოდა, თვალში ეკლად მიაჩნდა. ერთ დღეს ბარყუში დაეთხოვა ხელმწიფეს: ჩვენს ქვეყანაში გიახლებით და სამის თვის შემდეგ დიდის საჩუქრით დავბრუნდები და საგანგებო ფეშქაშს მოგართმევო. ხელმწიფემ ღაითხოვა. ბოროტი ვეზირი ეუბნებოდა: ნუ დაითხოვ თორემ აღარ მოვაო. წავიდა ბარყუში. გავიდა სამი თვე. ერთი საათი-ღა აკლდა ვადას, რომ შემოვიდა ვეზირი მეფესთან და მოახსენა ნიშნისგებით: აკი მოგახსენებდით აღარ დაბრუნდება მეთქი. ამ დროს კიდეც მოფრინდა ბარყუში და მიართვა ხელმწიფეს სამი თესლი უკვდავების ვაშლისა. ხელმწიფემ თავის ბაღში დაათესინა. რამდენსამე წლის უკან, როცა ვაშლი ამოვიდა და ნაყოფი მოისხა, მეფემ დაიბარა მებაღე და უთხრა: აბა, ერთი უკვდავების ვაშლი მომიტანეო. მანამ მებაღე მოიტანდა, ვეზირმა სხვა ვაშლებს შხამი წაუსვა, მებაღეს კარებში დაუხვდა და უთხრა: მოიტა, მე შევუტან ხელმწიფესო. გამოართვა კალათა, შეცვალა ვაშლები და მერე ისევ მისცა: აჰა თითონ შენ მიართვიო. შეიტანა მებაღემ ვაშლები. ამ დროს შევიდა ვეზირიცა და მოახსენა: არ მიირთვათ, მეფევ, თორემ მოჰკვდებით, შხამიანიაო. ბარყუში ეფიცებოდა შხამი არა აქვსო. ვეზირმა მოახსენა: აბა საცდელად ჯერ ძაღლს ვაჭამოთო. შეაჭამეს ძაღლს და იქვე ფეხი ფშიკა. ვეზირმა ნიშანი მოუგო ხელმწიფეს: აკი მოგახსენებდით, შხამიანია-მეთქი; მაგან უკვდავების კი არა, სასიკვდილო ვაშლი მოგართვათო. ბარყუში იმ წამსვე მოაკვლევინა ხელმწიფემ.

„იმ ქალაქში ერთი თავზე ხელაღებული ქურდი იყო. ხელმწიფემ ბრძანება გასცა უთუოდ დაეჭირათ და დაეხვრიტათ. ქურდმა იფიქრა დახვრეტას ისევ თავის თავად

---

[1] ბარყუში — ბაიყუში, ბუ.

სიკვდილი სჯობია; მოდი გადავიპარები ხელმწიფის ბაღში, სასიკვდილო ვაშლს შევჭამ და გამოვესალმები ამ წუთისოფელსო. გადახტა ბაღში, თან ხელმწიფის კაცებიც გადაჰყვნენ; ქურდმა შეჭამა ვაშლი და უცებ ახალგაზრდა ბიჭად გადაიქცა.

,,კაცები იმასვე ჰკითხავდნენ: აქ ქურდი გადმოხტა, ხომ არ გინახავსო? ის ეუბნება მე ვარო.—რას ამბობ, ის შუაკაცი იყო და შენ კი თხუთმეტი წლის ბიჭი ხარო. — რას ამბობთ, ის სწორედ მე ვარო, და უამბო როგორც იყო საქმე. მაშინვე ეს ამბავი ხელმწიფეს მოახსენეს. იმას მოაგონდა საწყალი ბარყუში, ბევრი ინანა, ვეზირიც მაშინვე მოაკვლევინა, ქურდსაც აპატივა სასჯელი, მაგრამ ბარყუშს აღარა ეშველა რა''

„თქვე დალოცვილო, ერთი ჰკითხეთ ჩემ ძმასაც, იქნებ სულ კამდე მართალია,—დაუმატა შუათანა ძმამ.

დაფიქრდა ხელმწიფე და მერე ბიჭებს უბრძანა მეფის შვილი ხაროდან ამოეყვანათ. უმცროსმა ძმამ დაწვრილებით უამბო ხელმწიფეს, როგორც იყო საქმე.

— აბა ნახეთ, ხაროში მართლა გლია მოკლულა გველიო?—ბრძანა ხელმწიფემ. ნახეს და მართალი ეამოდგა. ხელმწიფემ დიდად დაასაჩუქრა მეფის შვილი და ისიც სკოლაში მიაბარა.

ძმები დაიხარჯნენ, ისწავლეს და შემდეგ მშვიდობით დაბრუნდნენ. თავის საბრძანებელში.

ხელმწიფემ დალოცა ისინი, დიდი საჩუქრით გაისტუმრა და შემდეგშიც არ აკლებდა თავის მფარველობს.

არ ვიცია

ყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა მოჯამაგირე, რომელიც მონადირე იყო. ეს მონადირე დადიოდა სანადიროდ და ნანადირევი მეფესთან დაპქონდა.

ერთ დღეს მონადირემ არაჩვეულებრივი ჩიტი დაინახა. იფიქრა. ცოცხლად დავიჭერო, მივიდა სტაცა ხელი-დაიჭირა; ჩაისვა უბეში და გაუწია შინისაკენ. მიიყვანა ჩიტი შინ და ჩაკეტა.

მეორე დღეს მონადირე ისევ სანადიროდ წავიდა. როცა შინ დაბრუნდა, ნახა რომ ჩიტი მზეთუნახავ ქალად ქცეულიყო.

მონადირე მთელი დღეებს ქალთან ატარებდა. ხელმწიფემ იფიქრა რაღაც ცუდი ამბავია ჩემი მონადირის თავსაო და გაგზავნა ორი ვეზირი. ვეზირები მივიდნენ მონადირესთან, დაინახეს მზეთუნახავი ქალი, თვალი ველარ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

გაუკვირდა ხელმწიფეს, რომ აღარც ვეზირები გამოჩნდნენ და კიდევ გაგზავნა ორი ვეზირი; იმათაც ისე მოუვიდათ, მზეთუნახავს თვალი ვერ მოაშორეს და იქ დარჩნენ.

შეწუხდა ხელმწიფე რაღაც კარგი ამბავი არ არისო, და ახლა უფროსი გამოცდილი ვეზირი გაგზავნა და უთხრა:

— წადი და გაიგე, რა ამბავია, რა მოუვიდათ მონადირესა და ვეზირებსაო.

ვეზირი წავიდა, ნახა ყველაფერი, დაბრუნდა მეფესთან და უთხრა:

— რა მოგახსენო, ბატონო, მონადირეს ისეთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, რომ შენ არც დაგსიზმრებიაო.

ხელმწიფეს ეუცხოვა ეს ამბავი და თქვა:

— მონადირეს უნდა მოვუხერხო რაიმე და მზეთუნახავი წავართვაო.

რჩევა-დარიგებისათვის დაიბარა ვეზირები. ერთმა ურჩია:

— დააცალე — მთა, რომელიც დილის მზეს გიფარავს. ხვალ დილამდის აწმინდოსო.

ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და უთხრა:

— აი ეს მთა ხვალ დილამდის უნდა გასწმინდო, თუ არ გასწმენდ, შენი მზეთუნახავი უნდა მომცეო.

შეწუხდა მონადირე, დაბრუნდა შინ და უამბო ქალს, რაც ხელმწიფემ დაავალა.

— ეს არაფერია,—უთხრა ქალმა, მისცა ერთი ვაშლი და დაარიგა:

— ამ ვაშლს გაჰყევი; სადაც ვაშლი გაჩერდეს, იმ ეშოში ჩადი, სატეხი და ეჩო ითხოვე და მოგცემენო.

ვაშლი გაგორდა და ერთ ეზოში გაჩერდა. ეს თურმე მზეთუნახავის მშობლების სახლი იყო. დედ-მამამ მაშინვე იცნო ვაშლი და მონადირე კარგად მიიღეს. მონადირემ სატეხი და ეჩო მოითხოვა, ამათაც მისცეს და გამოისტუმრეს.

მოვიდა ვაჟი შინ და მოიტანა სატეხი და ეჩო. ცოლმა უთხრა:

— ამ სალამოთი დაიძინე, ხვალ ადრე ადექი, დაიჭირე ეჩო და სატეხი და იმუშავეო.

მონადირე დაწვა და დაიძინა. მეორე დილით წავიდა და ნახა,—მთა გაწმენდილი იყო. მივიდა, დაუწყო მიწას სწორება.

ხელმწიფეს გამოელვიძა, ნახა გაწმენდილი მთა. და ძალიან გაუკვირდა. დაიბარა ისევ ვეზირები და ჰკითხა:

— როგორ მოვიშორო მონადირე თავიდანაო?

ახლა მეორე ვეზირმა ურჩია:

— უბრძანე, ზღვის გაღმა ქალაქი რომ არის, ის ხვალ დილამდის გამოღმა გამოიტანოსო.

ხელმწიფემ დაიბარა მონადირე და ის დაავალა, რაც ვეზირმა ურჩია.

მონადირე დაღონდა და ისევ ცოლს დაეკითხა:

— რა მეშველება, როგორ მოვიქცეო?

ქალმა ისევ ვაშლი მისცა და უთხრა:

— გაჰყევი ამ ვაშლს, სადაც გაჩერდება, იქ მოითხოვე საყვირი, როცა მინდორში გამოხვალ, დაიყვირე და რაც ქვეყანაზე ნადირი არის, ყველა მოგროვდება და უთხარი შენი გასაჭირიო,

მონადირე ასედაც მოიქცა. საყვირის ხმაზე მოცვივდნენ ნადირები და უთხრეს:

— რაზე დაგჭირდით, ბატონო?

მონადირემ უთხრა ნადირებს:

— ასე და ასე არის ჩემი საქმე, ეს ქალაქი, წყლის გაღმა რომ არის, ხვალ დილამდის გამოღმა გააშენეთო.

ნადირებმა მოისმინეს მონადირის დავალება და წავიდნენ.

მონადირე დაბრუნდა შინ. მეორე დღეს გაიხედა და დაინახა წყლის გამოღმა გაშენებული ისეთი მშვენიერი ქალაქი, რომ უკეთეს კაცის თვალი ვერ ნახავდა.

ხელმწიფეს ეწყინა ეს, მაგრამ რას იზამდა. ბოლოს ერთმა ვეზირმა ურჩია:

— დაავალე მონადირეს „არ ვიცია“ მოგიტანოსო.

მეფემ მოიხმო მონადირე და უთხრა:

— გაძლევ სამი დღის ვადას, თუ მოგიტანია „არ ვიცია“ ხომ მოგიტანია, თუ არა და მოგკლავ და შენ მზეთუნახავს მე წავიყვანო.

წავიდა მონადირე „არ ვიცია“-ს საშოვნელად. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ უდაბურ ტყეში. იქ ერთი ქოხი ნახა. ქოხში ერთი ბებერი იჯდა და იძახდა:

— პილტონ აბა სადილი მომიტანეო.

მაშინვე სადილი გაჩნდა.

— აბა, პილტონ, ღვინო დამისხიო, — თქვა ბებერმა.

ღვინოც დაუსხა რაღაცამ.

მონადირე გაოცებული იდგა და ფიქრობდა, — ნამდვილად ეს უნდა იყოს „არ ვიციაო“.

ბებერი გარეთ გამოვიდა. მონადირე ჩუმად შევიდა ქოხში, ისადილა და ბოლოს დაიძახა:

— პილტონ, მოდი, ღვინო დალიეო.

მონადირეს მოესმა ხმა:

— არა ბატონო, მადლობას გწირავ, მე ღვინოს არა ვსვამ; რამდენი ხანია ბებერს ვემსახურები, იმას ჩემთვის ერთი წვეთი ღვინო არ მოუწოდებია და შენ-კი მოსვლისთანავე მომაწოდეო.

მონადირეს უკვირდა,—რა სულდგმულია, რომ ლაპარაკობსო. ბოლოს დაიძახა:

— პილტონ წამოხვალ ჩემთან თუ არაო?

— კი ბატონოო,—მოესმა ხმა.

წამოვიდა შინ და გზაზე მალიმალ გაიძახოდა:

— პილტონ!

— რაა, ბატონოო?—ესმოდა პასუხი.

გზაზე ერთი კაცი შეხვდა, რომელსაც ყუთი მიჰქონდა. ახადა ამ კაცმა ყუთს თავი და უცბად ჯარი ამოცვივდა. კაცმა ისევ ჩარეკა ჯარი ყუთში, დახურა, მოიკიდა ზურგზე და წასვლა დააპირა.

მონადირემ უთხრა:

— მოდი, კაცო დავჯდეთ, პური ვჭამოთო.

მგზავრმა უპასუხა:

— არც შენა გაქვს რაიმე, არც მე, რა უნდა ვჭამოთო.

მონადირემ დაიძახა:

— პილტონ, სუფრა გაშალეო!

გაიშალა სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელებით. დასხდნენ და ისაუზმეს.

— პილტონ, აალაგე სუფრაო, — დაიძახა მონადირემ, და სუფრა გაქრა.

მგზავრს გაუკვირდა ყველაფერი ეს და სთხოვა მონადირეს:

— გამიცვალე შენი პილტონი ჩემს ყუთშიო.

მონადირეს ჩასჩურჩულა ხმამ:

— გაატანე ჩემი თავი, ცოტაზე გავყვები და ისევ შენთან დავბრუნდებიო.

მართლა გაცვალეს.

ცოტა მანძილი გაიარა მონადირემ და მოესმა ხმა:

— დავბრუნდიო.

მონადირე მივიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ჰკითხა.

— რა ჰქენი, მომიყვანე „არ ვიციო"?

ამ დროს მეფეს სტკიცა რაღაცამ სილა და ჰკითხა:

— აბა სთქვი, ვინ შეგიბოგკრა სილაო?

გაოცებულმა მეფემ უპასუხა: — არ ვიციო.

— მე გახლავარ „არ ვიციო", — მიუგო ბმამ.

ხელმწიფე საშინლად გაბრაზდა, უნდოდა მოეკლა მონადირე, მაგრამ მონადირემ აბადა ყუთს თავი, ამოცვივდა ჯარი და დახოცა მეფე და ბრბო ვეზირები.

მონადირე დაჯდა მეფედ, ბაეთუნახავი დედოფლად და „არ ვიცია" უფროს ვეზირად.

გუშინ იქ ვიყავი,
დღეს აქ მოვედი.

კომბლე

ყო და არა იყო რა, იყო ერთი კომბლე, ჰყავდა სამი ცხვარი. ერთხელ ცხვრები ტყეში გარეკა, თითონ [illegible] კომბლებს დაუწყო კეთება.

[illegible] ეკითხება:

— კომბლე, რა სულ კომბლებს აკეთებო?

კომბლემ უპასუხა:

— მე ეს ხელობა ვიცი და ამან უნდა მაცხოვროსო.

გააკეთა კომბლები და ადგა. გაიდო ერთი დიდი კომბალი მხარზე და წავიდა ცხვრების საძებნელად. მიადგა ერთი მგლის სოროს და დაუძახა:

— შენ შეჭამე ჩემი ცხვრებიო?

— არაო,— უპასუხა მგელმა.

— აბა პირი დააღე, კბილებში ჩაგრჩენია ხორციო.

მგელმა უთხრა:

ოღონდ ნუ შომკლავ და ბედსა გწევო.

— რა ბედსა?—ჰკითხა კომბლემ.

— აგე, აქ მეცხვარეებს ბევრი ცხვარი ჰყავთ, იმ ცხვარში ერთი ოქროს ბატკანი ურევია, იმ ოქროს ბატკანს მე მოვიტაცებ და სულ ყველანი მე დამედევნებიან, შენ მოუარე და ცხვრები გარეკეო,— უთხრა მგელმა.

მგელი წავიდა და მოიტაცა ოქროს ბატკანი. მართლაც სულ ყველა მწყემსი იმას დაედევნა. მოუარა კომბლემ ცხვარსა და გარეკა.

კომბლეს გზაზე კაცები შემოხვდნენ და ჰკითხეს:

— კომბლე, შენ სამი ცხვარი გყავდა, აგრე როგორ გაამრავლე ერთ თვეშიო?

კომბლემ უპასუხა:

ტყეში გაუშვი და გამრავლდებიანო.

იმათაც იყიდეს სამი ცხვარი, გაანებეს ტყეში თავი და წამოვიდნენ შინ. ერთი თვის შემდეგ წავიდნენ საძებნელად, ცხვრები უნდა ეპოვნათ, მაგრამ ცხვრები მგელს შეეჭამა.

წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესაო?

— სახლი დავუწვათო.

დაუწვეს სახლი.

კომბლემ გაანელა ცეცხლი და აიღო ერთი საცალო ნახშირი, დაახურდავა სამი მანეთი და თავზე გადააშალა ნახშირს. მოუკრა პირი, აიკიდა საცალო და წაიღო. მივიდა ერთ სალაროსთან და უთხრა ყარაულს:

— ამაღამ აქ დამაყენეთ და ეს საცალოც შემინახეთო.

— დადექიო, — უთხრა ყარაულმა.

იმ ღამეს იქ იყო. გათენდა დილა და ეუბნება კომბლე სალაროს ყარაულს:

— ჩემი საცალო მომეციოთ.

მოუტანეს საცალო, კომბლემ გახსნა და ნახა, შემდეგ შარი მოუდო:

— მე საცალო ფულით სავსე მქონდა, თქვენ კი ნახშირი ჩაგიყრია. და ზევიდან თეთრი ფული გადაგიშლიათო; თუ მომცემთ, მომეციოთ, თუ არა და წავალ ხელმწიფესთან და გიჩივლებთო.

— ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხელმწიფესთან და საცალოს ფულით აგივსებთ და გაგატანთო, — უთხრეს ყარაულებმა.

აუვსეს საცალო ფულით და გაატანეს.

კომბლემ მოიტანა შინ ფული.

კაცებმა ჰკითხეს:

— კომბლე, შენ ნახშირი წაიღე და ფული როგორ მოიტანეო.

— სახლი დავწვი, ნახშირი გავაქრე, წავიღე და ფულზე გავცვალეო.

დაწვეს თავიანთი სახლები იმათაც, აიღეს ნახშირი, ჩაყარეს საცალოებში, დაჰქონდათ სოფელში და იძახდნენ:

— ნახშირი ფულზედო!

ნახშირზე ფულს ვინ გაუცვლიდა და აკი არავინ გაუცვალა, წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესაო?

— ცოლი მოვუკლათო.

მოუკლეს ცოლი.

კომბლემ წამოიღო თავისი მკვდარი ცოლი და მივიდა ერთ კაცთან. ამ კაცს ჰყავდა სამი ქალი, ძალიან კარგები.

კომბლემ უთხრა:

— ამაღამ აქ დამაყენეო.

— დადექიო.

თავისი მკვდარი ცოლი იქით მიაყუდა და თითონ მივიდა.

— იქ ვინღა დადგაო? — ჰკითხეს.

— ჩემი ცოლია, ჭკვიანია, რცხვენია და იქ დადგაო. წადით, ხელი მოსჭიდეთ და წამოიყვანეთო.

წავიდა ერთი ქალი, ხელი მოსჭიდა—და მკვდარი გადაიქცა. ქალი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ხელი მოვსჭიდე, გადაიქცა და მოკვდაო.

წამოხტა კომბლე და დაიწყო ყვირილი.

— ჩემი ცოლი ცოცხალი იყო, რად მომიკალით; თუ მომცემთ, მომეცით ერთერთი ქალი, თუ არა და—წავალ ხელმწიფესთან გიჩივლებთო.

ოღონდ ნუ გვიჩივლებ ხელმწიფესთან და აი ამ სამ ქალს დავამწკრივებ და რომელიც გინდა წაიყვანეო.

დამწკრივდენ სამთავე ქალები და კომბლეს რომელიც მოეწონა, აიყვანა და წაიყვანა.

შინ რომ მიიყვანა ქალი, ჰკითხეს:

— კომბლე შენ მკვდარი ქალი წაიღე და ცოცხალი ვინ მოგცაო?

— მკვდარს ცოცხალზე ცვლიანო,—უპასუხა კომბლემ.

იმათაც დახოცეს თავიანთი ცოლები, წაიღეს სოფლებში და იძახიან:

— მკვდარი ცოცხალზედაო.

მკვდარზე ცოცხალი მათ არავინ არ გაუცვალა, წამოვიდნენ შინ და თქვეს:

— რა ვუყოთ კომბლესო?

— მოვკლათო.

წამოვიდნენ, კომბლე უნდა მოეკლათ.

კომბლემ უთხრა:

— ოღონდ ახლა ნუ მომკლავთ და მე თითონ მოგაკლევინებთ ჩემ თავსაო.

წავიდა კომბლე მინდორში, გაჭრა სამი თხრილი, მერე წამოიყვანა ორი კაცი და თან ხმლები წამოაღებინა. შუა თხრილში კომბლე დადგა, იქით-აქეთ კი ის კაცები დააყენა, ხმლები დააჭერინა და უთხრა:

— როცა დავიყვირო, მაშინ შემომკარით ხმლებიო.

უცებ დაიყვირა და თითონ თხრილში ჩახტა.

მათი ხმლები ერთმანეთს მოხვდა და ორივენი დაიხოცნენ, კომბლე კი მშვიდობით გადარჩა.

კუდიანი დედაბერი და ოქროსთმიანი ბიჭი

ყო ერთი გლეხი და ჰყავდა პატარა ვაჟი. ერთხელ, როცა გლეხი ყანაში მიდიოდა, პატარა ბიჭიც გაედევნა. [illegible] მიდიხარო, მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა და წაჰყვა. გზაზე ბავშვს მოსწყურდა და წყაროსაკენ შეუხვია. წყალი რომ დალია, მაღლა აიხედა და წითელი ვაშლებით დახუნძლული ვაშლის ხე დაინახა. ვერარ მოითმინა, კბილები აუკაწკაწდა და ხეზე აფორთხდა. დაკრიფა ვაშლები და დაუწყო ჭამა.

სად იყო და სად არა, ვაშლის ხის ძირას გაჩნდა მოკუზული, კუდიანი დედაბერი.

— შვილო, ერთი ტოტი ჩამოზნიქე ფეხით, ორიოდე ვაშლს მოვწყვეტო,— შესძახა დედაბერმა.

ბავშვმა დაზნიქა ვაშლის ტოტი; დედაბერმა მოზიდა თავისკენ, წაავლო ბავშვს ფეხში ხელი, ჩამოიყვანა ძირს, ჩასვა გუდაში, თავი მოუკრა და კუნკულ-კუნკულით შინისაკენ გაარბენია.

გზაში დედაბერმა მოიხსნა გუდა, გზის ნაპირს დადო და თითონ გზას გადაუხვია. მის დაბრუნებამდის ბიჭი ამოძვრა გუდიდან, შიგ ქვა და რიყე ჩაყარა, მოუკრა თავი და თითონ ისევ ვაშლის ხეზე ავიდა.

დაბრუნდა დედაბერი, ისევ წამოიკიდა გუდა, შინ მიიტანა და რძალს დაუძახა:

— რძალო, რძალო, მოიტანე გობი, ოქროსთმიანი ბიჭი მოგიყვანეო.

რძალმა ქოხიდან სიხარულით გამოარბენია გობი. დედაბერმა მოხსნა თავი გუდას და საშინლად გაოცდა; როცა გობი ქვითა და რიყით აივსო.

დედაბერი ისევ გაექანა ეაშლის ხისაკენ, მიკუნკულდა იქ და ისევ მოტყუებით ჩამოიყვანა ბიჭი ძირს და თავმოკრული გუდით მიიყვანა შინ. რძალმა ისევ გამოიტანა გობი, მოხსნა დედაბერმა გუდას თავი და გობზე ოქროსთმიანი ბიჭი გააგორა.

ზრდიდნენ და ასუქებდნენ ოქროსთმიან ბიჭს რძალ-დედამთილი.

ერთხელ დედაბერი საღეაც მიდიოდა და რძალს ჩუმად დაუბარა:

— ეგ ბიჭი დაკალი, ქვაბით ცეცხლზე შემოდგი და სადილად მომიხარშეო.

ბიჭმა ყური მოჰკრა დედაბრის ნათქვამს.

პატარძალმა გალესა დანა და ბიჭს დაკვლა დაუპირა. ბიჭმა უთხრა:

— მომეცი დანა, მე თითონ გამოვჭრი ყელსაო.

რძალმა დანა მისცა. ბიჭმა გაუქნია დანა რძალს და კიტრივით გააგორა. ნაწილ-ნაწილად აჭრა, ქვაბში ჩაყარა და ცეცხლზე შემოდგა, თითონ კი ჭერში აძვრა.

დაბრუნდა დედაბერი და დაიწყო მოხარშული ხორცის ჭამა. ჩამოყარა ბიჭმა ჭერიდან ჭვარტლი და ხორცს დააყარა. დედაბერს თაგვი ეგონა და მიაძახა:

— ფრთხილად, თაგუნა, თუ არა შენც შეგჭამო.

კიდევ ჩამოყარა ბიჭმა ჭვარტლი. დედაბერს ახლა კატა ეგონა და მიაძახა:

— ციც, ციცუნია, თუ არა მოგაჯდები ზურგზე და წელს გაგიშლიო.

ჭვარტლი ისევ ჩამოცვივდა ჭერიდან-დედაბერმა აიხედა ზევით და რას ხედავს? ოქროსთმიანი ბიჭი ჭერში

არხეინად ზის შემოეყარა დედაბერს გული, ახლა კი მიხვდა, რომ რძლის ხორცი შეჭამა.

— დედაშვილობას, როგორ ახვედი მანდ მასწავლეო,— შეეხვეწა ბიჭს.

— როგორ ავედი და გავახურე კეცები, დავადე კეცი კეცზე, დავაჯექ და ამოვხტი ჭერზეო.

დედაბერი მართლაც ასე მოიქცა, დაიმტვრა, დაიწვა, მაგრამ ჭერში ვერ ახტა.

მეორედ შეეკითხა:

— მასწავლე, მართლა როგორ ახვედი მანდაო?

— როგორ და გავახურე შამფურები, დავაწყვე შამფური შამფურზე, დავჯექ და ამოვხტი ჭერზეო.

დედაბერმა ასეც სცადა ჭერზე ასვლა, მაგრამ გახურებულ შამფურზე წამოეგო და ჭერზე ვერ ავიდა.

მესამედაც შეეხვეწა:

— სწორი მითხარი, რით ახვედი მანდაო?

— გავახურე თონე, ზედ დავჯექი და აქ ამომახტუნაო.

ესეც სცადა კუდიანმა დედაბერმა, დააჯდა ავარვარებულ თონეს და შიგ ჩაიფუფქა.

ოქროსთმიანი ბიჭი ჩამოვიდა ძირს და შინისაკენ მოუსვა.

მონადირის შვილი

ყო და არა იყო რა, იყო ერთი გამოჩენილი მონადირე, რომელიც ყოველდღე ნადირსა ხოცდა და შინ მოჰქონდა. მონადირე ერთხელ ერთ ცარიელ მინდორზე გავიდა, უცებ წინ თეთრი ირემი ამოუხტა, გადაუდგა წინ და უთხრა:

— მესროლე თუ დამკარ,—ნეტავი შენ, და თუ ვერ დამკარ,—ვაი შენაო!

ესროლა მონადირემ და ააცდინა. ირემი გაიჭრა. დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს უთხრა:

— ღღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო.

იმ ღამეს მართლა მოკვდა მონადირე. მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟიშვილი, ისეთი ლონიერი და ყოჩაღი რამ იყო, რომ იმისი დარი ამ ქვეყანაში არავინ იყო.

ერთხელ აუჩემდა დედას მონადირის შვილი:

— დედავ, მამაჩემი რამ მოჰკლაო?

— წერამ, შვილო,—უპასუხა დედამ.

— არა, უნდა მითხრაო,—გადაეკიდა შვილი.

ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი. ადგა მონადირის შვილი, ჩამოიღო თოფი, გატენა, მოთალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ტყვია ნატყვიარში გაარტყა. გადაიკიდა თო-

მხარზე და გასწია იმ ირმის საძებნელად. გაიარა ტყეები, ხევები და იმ მინდორზე გავიდა, სადაც იმის მამას ესროლა იმისთვის თოფი და აეცდინა. უცებ გამოუხტა იმასაც თეთრი ირემი, დაუდგა წინ და უთხრა:

— მესროლე; თუ დამკარ,—ნეტავი შენ, და თუ ამაცდინე,—ვაი შენსაო!

დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახელა. წაიქცა ირემი და მოკვდა. მივიდა ვაჟი, ხორცი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავის კუდით, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან; დადო ტყავი და დაისვენა.

ვნახოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალ-მარგალიტი ასხია, დადის და დააჟღარუნებს. მონადირის შვილი გაკვირვებული დარჩა. შეიყვანს მაშინვე ირემს სახლში და დასტრიალებს თავს. შეიბერტყება ირემი, სულ თვალ-მარგალიტი სცვივა; ერთ კვირაში ერთ სახლს ავსებს.

გამდიდრდა ძალიან მონადირის შვილი; ისეთი სახლები დაიდგა, რომ ხელმწიფეს ეკადრებოდა. ერთხელ შვილი ეტყვის დედას:

— დედავ, რად გვიხდა ამდენი სარჩო და ქონება, თუ ხალხში არ გამოვალთ და ქვეყანაში არ გამოვჩნდებით; დავპატიჟოთ ხელმწიფე და ჩვენი სიმდიდრე ვაჩვენოთო.

— არ გვინდა ხელმწიფე, ის ჩვენ აქ სიკეთეს არ მოგვიტანსო,—უთხრა დედამ შვილს.

მაგრამ შვილმა არ დაიჯერა: — უთუოდ უნდა დავპატიჟოო.

— რგორც გინდოდესო,—უთხრა დედამ.

ვაჟმა მაშინვე მშვენიერი სადილი მოამზადებინა, ჩაიცვა მდიდრულად და წავიდა ხელმწიფესთან დასაპატიჟებლად. როგორც იყო წამოიყვანა ხელმწიფე, კარგი სადილი აჭამა და მერე თავისი ირემიც უჩვენა. ხელმწიფეს თვალები დაებრუცა ირმის ცქერით,

— ეგ ირემი მე უნდა წავიყვანოო, — უთხრა ხელმწიფემ ვაჟს.

ვაჟი უარზე შედგა, მაგრამ რა გაეწყობოდა? წაართვეს და წაიყვანეს.

დარჩა ხახამშრალი მონადირის შვილი. გავიდა რამდენიმე ხანი და აი ერთ დღეს ეძახის ხელმწიფე ვაჟს თავისთან, ვაჟიც წავიდა.

ხელმწიფემ უთხრა:

— აი ეს ოთახები სავსეა თვალ-მარგალიტით, ისეთი სახლები უნდა ამიშენო, რომ კაცს არ ენახოსო.

ოთხი ოთახი სავსე იყო თვალ-მარგალიტით და მეხუთე ნახევარზე.

ვაჟი შეწუხდა და მოახსენა ხელმწიფეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და როგორ ავაშენო სახლიო?

— როგორც გინდა, ისე ააშენეო, — უთხრა ხელმწიფემ.

ვაჟმა იფიქრა და უთხრა:

— კარგი, ორასი ურემი კირი მოატანინეთ, ორასი ურემი ლამი და მე ვიციო.

ყველაფერი მიუტანეს. ვაჟმა ერთი ალების ტბა იცოდა. იმ ტბაზე სასმელად მთელი ალის ჯარი მოდიოდა, წაიღო ეს ამოდენა კირი და ლამი, ჩაყარა ტბაში და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები; მერე მიუშო შიგ ბანგი. მოვიდნენ ალები, დალიეს წყალი, დაითვრნენ და იქვე დაეყარნენ. მონადირის შვილმა მიუსია კაცები მთვრალ ალებს და ყველასათვის კბილები დაათხრევინა. წამოიღო ეს კბილები, მიიწვია ხელოსნები და ისეთი სახლი დადგეს ალების კბილებისა, რომ იმაზე საკვირველი არა იქნებოდა რა.

გამოვიდა ხელმწიფე, ნახა ეს სახლი და იქვე წაიქცა. ძლივძლივობით მოასულიერეს გულწასული ხელმწიფე და შეაბრძანეს შინ.

ამ ხელმწიფის მოსამსახურეებში ერთი ბებერი იყო. ის ადგა და ხელმწიფეს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, დროს ნუ ჰკარგავთ, ეგ ბიჭი ყოჩაღი ყოფილა, მაგას შეუკვეთე, რომ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მოგიყვანოსო.

დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა:

— შენ უნდა წახვიდე და აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მომიყვანოვო.

მონადირის შვილი ეტყვის:

— დიდებულო ხელმწიფევ! თუ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი გინდათ მოგიყვანოთ, ათასნაირი ფარჩა მომეცით და ერთი ხომალდიც გამიკეთეთო.

უშოვა ხელმწიფემ ათასნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს მოსჭრიდა. მონადირის შვილმა ჩააწყო ფარჩები ხომალდში და გასწია ზღვით. კარგა გზა რომ გაიარა, ერთი შხუილი და ჭექა მოესმა, შეჰხედა და ნახა; ერთ თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოსდევს. დაიხარა მტრედი და შევარდა ხომალდში.

— ნუ მიმცემ,—ეხვეწება მტრედი ვაჟს.

— მომეცი და გამოგადგებიო,—ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს.

მისცა ვაჟმა მტრედი, და ქორმაც გასწია.

გავიდა ცოტა ხანი და უცებ საშინელი შხაპუნი და წყლის ხევა მოისმის. მოიხედა ვაჟმა და დაინახა, რომ ერთ თეთრ თევზს გამოუგდია წინ წითელი თევზი და მოსდევს. ამოხტა წითელი თევზი და შევარდა ხომალდში. თეთრი თევზი შეეხვეწა მონადირის შვილს:

— ეგ თევზი მომეც და, თუ დაგჭირდეს ჩემი თავი გამოგადგებიო. მისცა ვაჟმა წითელი თევზი თეთრ თევზს და გასწია თავის გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ქალის სახლთან. ამოალაგა რაც ფარჩა ჰქონდა და გაფინა ქალის კარებზე. გამოვიდა ქალი და გაკვირვებით შლის ფარჩას.

ვაჟმა უთხრა:

— ქალბატონო, ეგ რა არის, ფარჩები იქ არის, მე რომ გემი მაქვსო, თუ გნებავთ წამობრძანდით და ნახეთო.

ჩაიტყუა ამრიგად ვაჟმა ქალი, ჩაისვა ხომალდში და გააქანა. გზაზე ქალმა უთხრა:

— რა არის, რომ ერთი სანათურიც არ გიქნია, რომ ცა დაინახოს ადამიანმაო.

ვაჟმა მაშინვე გამოჭრა ზევით ხომალდს. ქალი მტრედად იქცა და გაფრინდა. დარჩა ცარიელი მონადირის შვილი, გაატარა ხომალდი და ერთიც ვნახოთ, დაუჭერია თეთრ ქორს ეს მტრედი და მოუყვანა ვაჟსა, მტრედი ისევ ქალად იქცა. ამრიგად გაიარეს ქალმა და ვაჟმა კარგა გზა. ბოლოს ქალი ეტყვის:

— ცის ლაჟვარდს ხომ აღარ მაჩვენებ, ეს ზღვის ტალღები მაინც მაჩვენეო.

გამოჭრა ვაჟმა ხომალდი. ქალი დგას და ვითომ ზღვას უცქერის; უცებ იქცევა თევ-ზად და დაიკარგება ზღვაში. დაიწყო მონადირის შვილმა თავ-პირში ცემა, მაგრამ რაღას გააწყობდა. წავიდა დაღონებული. უცებ შხლარტუნი მოესმის, გაიხედა და დაინახა: თეთრ თევზს დაუჭერია ეს თევზი და მოყავს. მოუყვანა თევზმა და შეუგდო ხომალდში.

ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს:

— ვისთვის გინდივარო?

— ხელმწიფისთვისაო,—უპასუხა ვაჟმა.

— არა, მე ხელმწიფეს ცოლად არ გავყვები, შენ ქმარი და მე ცოლიო,—ეტყვის ქალი.

— ეგ როგორ მოხერხდება, ხელმწიფე წამართმევს შენს თავსაო.

— ეგ მე ვიცი, შენ მარტო ის წაუღე ხელმწიფეს, რაც მე გაგატანო, და უთხარი: საჩუქარია, ქალის გამოგზავნილი, თქვენა და თქვენმა ნაზირ-ვეზირმა გახსენითთქო,—უთხრა ქალმა.

წაიღო ვაჟმა, რაც ქალმა გაატანა, და წავიდა, მიუტანა ხელმწიფეს და უთხრა:

— თქვენა და თქვენმა კაცებმა გახსენით, ქალმა მოგართვათო.

თითონ კი გაერიდა.

ხელმწიფემ და იმის ნაზირ-ვეზირებმა დაუწყეს გახსნა ქალის გამოგზავნილ საჩუქარს. უცებ იფეთქა და იქვე მიაწვინა ყველანი.

ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახელმწიფოც.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე;
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

ირმისა



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ბერიკაცი.

ეს ბერიკაცი უშვილოდ დაბერებულიყო. ისიც და იმისი ცოლიც სულ იმას ევედრებოდნენ ღმერთს, რომ შვილი მიეცა მათთვის.

გავიდა ხანი და მიეცათ შვილი, მაგრამ უბედური ბებერი კაცი მოკვდა.

ცოლს მწუხარებით რძე დააკლდა და ბავშვის რჩენა არ შეეძლო. აიღო და ბავშვი ერთ კოჭლ ირემს მიაბარა და სთხოვა:

— შენ გამიზარდეო.

ბავშვი მიეჩვია ირემს, ტყეში თან დასდევდა და როცა მოუნდებოდა, ძუძუს წოვდა.

იმ არემარეში, სადაც ეს ირემი ცხოვრობდა, ხშირად დადიოდა სანადიროდ მეფის შვილი.

ერთხელ შეხვდა ბავშვი, რომელიც ირემს დასდევდა; ეს რომ ნახა მეფის შვილმა, დაანება ნადირობას თავი და გასწია შინისაკენ.

შინ რომ მივიდა მამამ ჰკითხა:

— შვილო, რატომ არ ინადირეო?

შვილმა არ უპასუხა, მხოლოდ სთხოვა ეშოვა მისთვის სამოცდაათი ფუთი ჯაჭვი და ას ოცი კაცი ჯაჭვის მსროლელი.

მამამ წადილი აუსრულა, უშოვნა ჯაჭვიცა და კაცებიც.

წავიდნენ სანადიროდ.

ტყეში რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, ეძება ბავშვი და როცა იპოვნა, უბრძანა თავის კაცებს, რომ დაეჭირათ; ესროლეს სასროლი და შემოახვიეს ბავშვს, მაგრამ ბავშვი რომ გაინძრა, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა.

გაწყვეტილი ჯაჭვი მოხვდათ კაცებს და მეფის შვილის მეტი ყველანი დაიხოცნენ.

შინ რომ მივიდა ხელმწიფის შვილი, მამას მოახსენა:

— ჩემი წადილი თუ არ ავისრულე, თავს მოვიკლავო.

მამამ უთხრა:

— შვილო, რა არის მაგისთანა, რომ თავს იკლავო?

შვილმა მიუგო:

ერთი პატარა ბავშვი ვნახე ტყეში, კოჭლ ირემს დასდევდა და ვერ დავიჭირეო.

მამამ კიდევ გაატანა რამდენიმე ფუთი ჯაჭვი და კაცები, გაგზავნა ტყეში, მაგრამ ვერც ახლა დაიჭირეს:

ხალხი დახოცა, ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა. ასე ხუთჯერ.

ბოლოს დაიჭირეს და მოიყვანეს შინ; ირემიც თან მოჰყვა.

ბავშვი ტიტველა იყო და ლაპარაკი არ იცოდა.

ხელმწიფის შვილმა ეს ბავშვი ოთახში დასვა. როცა მოშივდებოდა, ძირს ჩამოვიდოდა, ირემთან მივიდოდა და ძუძუს მოსწოვდა.

ხელმწიფის შვილმა იფიქრა:

ვასწავლი საუბლის ჭამას და ტანთ ჩაცმასაო.

სადილობისას და ვახშმობისას შედიოდა მასთან, გაშლიდა სუფრას, მოიტანდა საუბელს, ხელ-პირს დაიბანდა და დაჯდებოდა პურის საუბელად. ასე მოდიოდა ახალ-ახალ ტანისამოს ჩაცმული და იქ ჭამდა პურს.

მერე ეს ბავშვიც ისე მოიქცა, როგორც მეფის შვილი. ადგებოდა, ჩაიცვამდა, კანკალით პირს დაიბანდა და დაჯდებოდა პურის საჭმელად.

დიდხანს იყო ასე.

ერთხელ მეფის შვილმა თვალი მოჰკრა, სიხარულით შეევარდა ოთახში და მამას შეატყობინა ეს ამბავი.

მამამ უთხრა:

— შემოიყვანეთ სახლში და ჩვენთან იცხოვროსო.

ჯერ ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ მათთან ცხოვრებამ ლაპარაკიც ასწავლა და კიდეც შეეჩვია ამათ.

სანადიროდ ისა და ხელმწიფის შვილი ერთად დადიოდნენ, მაგრამ ირმისა უფრო ღონიერი იყო. ზევით ისარს აისროდა და მიწაზე ჩამოვარდნილი რომ დაესობოდა, მისი ამოძრობა ხელმწიფის შვილს არ შეეძლო, ირმისა კი ადვილად ამოაძრობდა ხოლმე.

ერთხელ ხელმწიფე სხვაგან წავიდა, კლიტე ირმისას ჩააბარა და დაუბარა:

— ჩემმა შვილმა თუ გამოიღვიძოს და გითხრას დამატარე ოთახებიო, თერთმეტი ოთახი აჩვენე, მეთორმეტეში კი არ შეიყვანო, არ დაღუპოო.

წავიდა მეფე.

ადგა მეფის შვილი და უთხრა:

— ოთახები მაჩვენეო.

ირმისა დასთანხმდა, მხოლოდ მეთორმეტეში არ შეიყვანა:

— ეს შენი საქმე არ არისო.

ხელმწიფის შვილმა იშიშვლა სატევარი და უთხრა:

— თუ არ გააღებ, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავო.

ირმისა ადგა და გააღო..

გააღო თუ არა, დაინახა სურათი ერთი უცნაური ქალისა.

ხელმწიფის შვილი ცოცხალ-მკვდარი დაეცა. ირმისამ წამოაყენა, დააწვინა ოთახში და უთხრა:

— შენ ოღონდ კარგად იყავი და მე გიშოვნი იმასო.

ხელმწიფე რომ მოვიდა, ნახა და თქვა:

— რად მომკალი, რად აჩვენე ის სურათიო.

ირმისამ უთხრა:

— მე მოვგვრი იმ ქალს, ოღონდ წასვლის ნება მომეცითო.

ხელმწიფემ ნება დართო და ორნივ წავიდნენ.

იარეს დიდხანს, წელიწადს მოუნდნენ გზაში. ბოლოს შივიდნენ ერთ ზღვის პირას. აქ იდგა ერთი ძირი ვაშლის ხე, ზედ ვაშლები ესხა..

ირმისამ უთხრა ხელმწიფის შვილს: ჩამოაგდე ვაშლიო.

ხელმწიფის შვილმა ვერ შეძლო.

მაშინ ირმისამ მუშტი ჰკრა, ჩამოყარა ვაშლები და დასხდნენ საჭმელად.

ზღვიდან ამოვიდა ერთი დევი და ყვიროდა:

— ვინ არის, რომ პაპიჩემის დარგული ვაშლის ხილს ჭამს, ახლავ გავათავეო!

ირმისამ უპასუხა:

აქ მოდი და საკადრისს მოგახსენებო.

დევი მოვიდა თუ არა, ირმისამ ჰკრა მუშტი და მოკლა.

ამოვიდა მეორე დევი. ისიც იმას ამბობდა, რასაც პირველი.

ირმისამ ესეც მოკლა.

მესამე დევი სხვაგან ყოფილიყო და რომ მოვიდა, იმანაც ისეთივე ყვირილი მორთო.

ირმისამ შესძახა:

— მოდი შენი აძხანაგები აქ არიან და ნახეო.

მოვიდა თუ არა, ირმისა ეცა და დაიწყეს ჭიდაობა. დიდხანს იჭიდავეს; როგორც იყო, ირმისამ დასძლია და მოკლა დევი.

ადგა, ჩამოყარა ვაშლი, ჩაიყარა უბეში და ზოგიც ხელში დაიჭირა; ორი ხელმწიფის შვილს მისცა და წამოვიდნენ თავიანთ გზაზე.

იარეს დიდხანს, მივიდნენ ერთი დევის სახლში. აქ ნახეს მხოლოდ ორი დევის ქალი. ამათ უთხრეს:

— ყმაწვილებო, გირჩევთ ახლავე წახვიდეთ, თორემ დევები მოვლენ და შეგჭამენო.

არ დაუჯერა ირმისამ და დაჯდა ჩრდილში. ამოიღო ვაშლები და მოჰყვნენ ჭამას.

დევის ქალები მორბილდნენ და შუქარის მაგიერ, რაც-კი შეიძლებოდა, პატივი სცეს.

როცა ისინი ვაშლს შეექცეოდნენ, სამი ძმა დევი მოვიდა.

— რა სულიერი ხართ, რომ ჩემს სახლში მოსულხართ და ჩრდილში დამჯდარხართო? — ჰკითხა ერთმა დევმა.

ირმისამ მიუგო:

— მოდი და გეტყვიო.

დევი მივიდა თუ არა, ირმისა ეცა, წააქცია და ზედ მუხლით შედგა.

მოვიდა მეორე დევი, განუმეორა პირველი დევის სიტყვები. ესეც წააქცია ირმისამ და ერთიმეორეზე დააწვინა.

მოვიდა მესამე დევი და დაიკვეხა:

— ვინ არის იმისთანა, რომ ჩემი ძმები ერთმანეთზე დააწვინა და მოკვლას უპირებს, რომ აქვე გავათავოო!

ირმისამ უთხრა:

— მოდი აქ და მე გეტყვი ვინცა ვარო.

მოვიდა თუ არა, დაუწყო მუშტის ქნევა; ირმისამ სტაცა ხელი, წააქცია, სამივე ძმა ერთმანეთზე დააწვინა და უთხრა:

— მოგკლათ თუ არაო?

დევები შეეხვეწნენ, ღმერთი თავდებად მისცეს და მოახსენეს:

— დღეის ამასიქით ჩვენც თქვენი ძმები ვიქნებით და თქვენც ჩვენი ძმები იყავითო.

აუშვა ირმისამ და შევიდნენ სახლში.

დევებმა მასპინძლობა გაუმართეს ხელმწიფის შვილსა და ირმისას. მერე ურჩიეს, რა გზით უნდა წასულიყვნენ ქალთან.

— აქეთ თუ წახვალთ, ოცდაათ დღეს მოუნდებით, მაგრამ უშიშრად მიხვალთ, უკანა გზით თუ წახვალთ, ათ დღეს მიხვალთ, მაგრამ დევები არიან მძლავრები და შეგჭამენ; თუ ამ დევებს გადაურჩით, მერე მიხვალთ იმ ქალთან, როცა დაღამდება, ლოგინს დაგიგებთ, საჭმელს გაჭმევთ და დაგაწვენთ. სწორედ მაშინ, როცა იმ ქალს შენთან მოპარვა მოუნდება, მე აქედან მაშხალას ვისვრი. თუ ის ქალი მოგეპარა და თითზე ბეჭედი ისე გაგიკეთა, რომ ვერ გაგეღვიძა, უსათუოდ მოგკლავს. ამისთვის ვახშმის შემდეგ არ დაიძინოთ იმ ქალის სახლში. ჩვენ უთუოდ მაშხალას ვისვრით და მაშინ დაიჭირეთ ის ქალიო.

წავიდნენ ორივე ძმები. დიდხანს იარეს და მივიდნენ ერთი დევის სახლში.

აქ ერთი დევი იწვა და ტყვედ მოყვანილი ქალი ბუზებს უგერებდა. დაინახა თუ არა ეს ყმაწვილები, ქალმა უთხრა:

— აქედან წადით ჩქარა, თორემ როცა დევი გაიღვიძებს, მეც შემჭამს და თქვენცაო.

ირმისამ უთხრა:

— შენ აქ ჩამოდი და ის მე ვიცი, რასაც დევი მიზამსო.

ქალმა მიუგო:

— ბუზები დაეხვევა, გამოიღვიძებს და დაგვხოცავსო.

ირმისამ უთხრა:

— აქ ჩამოდი, აქაო.

ჩამოვიდა ქალი, დევს გამოიღვიძა და თქვა:

— ვინ წამართვა ჩემი საკბილო ცხოველიო?

ირმისამ უთხრა;

— მე გახლავარო.

გაბრაზებული დევი ჩამოვიდა და შეება ირმისას: დაიწყეს ბრძოლა: დიდი ხნის შემდეგ ირმისამ დასძლია და მოკლა დევი.

ირმისამ წაიყვანა ქალი და ჩააბარა იმ სამ დევს, როგორც თავიანთი და.

წამოვიდნენ ისევ, იარეს დიდხანს, მივიდნენ ერთ სასახლეში. ნახეს, რომ დევების ქორწილია.

შევიდნენ ეზოში. დაინახა თუ არა დევების უფროსმა, ჩამოგზავნა ერთი მათგანი იმათი ვინაობის შესატყობლად. შეიტყვეს, რომ სხვა რჯულისანი იყვნენ.

ჩამოგზავნა ხელმეორედ:

— დახოცეთ ეს კაცები, თუ არ ამოვიდნენ ჩვენთანაო.

მაგრამ ირმისამ ეს დევი უცებ მოკლა.

როცა შეიტყვეს დევი მოკლესო, სხვა დევი ჩამოგზავნეს, მაგრამ ისიც მოკლა.

ასე რომ ყველა დახოცა. მიდგა რიგი ახლა უფროს დევზე.

ჩამოვიდა თუ არა უფროსი დევი, მაშინვე ეძგერა ირმისას, დაიწყეს ჭიდაობა, დიდხანს იჭიდავეს; დევმა მოიქნია ირმისა და მუხლებამდე ჩასვა მიწაში; შერე ირმისამ მოიქნია დევი და წელამდე ჩასვა მიწაში. ბოლოს მაინც ირმისამ აჯობა: ჩასვა მიწაში თავებამდე და მერე ხელი მიჰყო ამ თავების მოჭრას — დევი ასთავიანი იყო; მოსჭრა ოთხმოცდაცხრამეტი თავი და უთხრა:

— რა გირჩევნია — სიკვდილი თუ სიცოცხლეო?

დევმა მიუგო:

— სიცოცხლე მირჩევნია, ოღონდ ამიშვი და ჩემი საცხოვრებელი შენთვის მომიციაო.

ღმერთი თავდებად მისცა; როცა ამოვიდა, ისევ ჩხუბი დაუწყო, მაგრამ ისევ ირმისამ დასძლია.

მაშინ დევმა უთხრა:

— ცა და ღმერთი ზევით, მიწა და წყალი ქვეით თავდებად გქონდეს, ოღონდ ამიშვი და ჩემს ღონეს მეფის შვილს მივსცემო.

აუშვა და დაუტოვა მეფის შვილი ამას და თითონ წავიდა.

წასვლისას დევს უთხრა:

— შენ ამას ასწავლე სულ ყველაფერი შენი ხერხი და ღონე, თორემ როცა გამოვივლი მოგკლავო.

წავიდა ირმისა. მივიდა იმ ქალთან, რომელსაც ეძებდნენ. საღამო იყო. ქალმა ვახშამი აჭამა. დაუგო ლოგინი და დააწვინა.

როცა გავიდა ერთი საათი, მივიდა ის ქალი, აიღო ბეჭედი და უნდა თითზე გაეკეთებინა.

მაშინ სამმა დევმა მაშხალა ესროლა და ზურგში მოხვდა.

სტაცა უცებ ხელი ირმისამ ამ ქალს თითში.

ქალმა უთხრა:

— მე შენი ბედი ვყოფილვარო,—და გაიკეთა ბეჭედი თითზე.

ირმისამ მიუგო:

— ჩემთვის კი არა, ჩემი ძმისთვის მინდიხარ ცოლადაო.

დილა რომ გათენდა, ქალმა გასცა ბრძანება დევების ქალაქში, რომ სულ ყველას მიეტანა მისთვის თითო ხელი ძვირფასი ქვეშსაგები ძღვნად, სხვა რჯულის კაცზე ვთხოვდებიო.

ყველამ მიუტანა, მხოლოდ ერთმა სახლობამ უარი უთხრა.

ირმისამ მოჰკიდა ხელი იმ დევს, წააქცია და უთხრა იმის ცოლ-შვილს:

— თუ არ მომიტანთ ძვირფას ქვეშსაგებს, მოვკლავ ამასაც და თქვენცაო.

იმათ უარი უთხრეს, მაშინ ირმისამ როგორც დევი, ისე მისი ცოლ-შვილი სულ ერთიან ამოწყვიტა.

მერე მშვიდობით წამოვიდნენ შინ.

მეორე დღე რომ გათენდა, დევები მოგროვდნენ ირმისასთან და ეს ქალი თავისი მზვითევით წამოიყვანეს მეფის შვილთან.

მაშინ მეფის შვილი ისევ დევის სახლში იყო ხერხისა და ღონის სასწავლებლად.

მეფის შვილთან რომ მივიდნენ, ნახეს, რომ ნაცარში იჯდა და ღონის მომატება კი არა, რაც ღონე ჰქონდა, ისიც წართმეოდა.

მივიდა ირმისა დევთან და უთხრა:

— რა არის ესა, რატომ პირობა არ აასრულეო?

დევმა თავისი ღონე მაშინვე მისცა მეფის შვილს ირმისას ბრძანებით.

ირმისამ მოკლა დევი, იმის ქონება მთლად წამოიღო და ყველანი ერთად წამოვიდნენ.

იმ სამ ძმა დევთან რომ მოვიდნენ, კიდევ გამართეს ქორწილი. სამ დღეს აქ დარჩნენ, მერე წამოვიდნენ.

დიდხანს იარეს და მივიდნენ იმ ვაშლის ძირში.

იმ ღამეს იქ იყვნენ დევები, მეფის შვილი, ირმისა და ხუთი ქალი: სამი ქალი იყვნენ სამი ძმა დევის დები, ერთიც ის, რომელიც დევს წაართვა, მეხუთე — ცოლი მეფის შვილისა.

იმ ღამეს ყველანი დაწვნენ და დაეძინათ; ირმისასაც ბიეძინა.

ამ დროს მოფრინდა ერთი რაღაც ცხოველი და მეფის შვილის ცოლი ჰაერში აიტაცა, ირმისა უცებ წამოხტა, გააღვიძა ამხანაგები და უთხრა:

— ხომ ხედავთ, დევმა წაიყვანა მეფის შვილის ცოლიო.

მეფის შვილს, რასაკვირველია, ეწყინა, მაგრამ რას იზამდა.

ირმისამ უთხრა დევებს:

— თქვენ აქ იყავით, მანამ არ მოვიდე, თორემ ყველას დაგხოცავთო.

დევები დათანხმდნენ და იქ დარჩნენ, ირმისა და მეფის შვილი კი წამოვიდნენ.

დიდხანს იარეს და მივიდნენ ერთ დევის სახლში; ის დევი სანადიროდ წასულიყო. მოტაცებული ქალი იქ იყო და ეზოში დასეირნობდა. ირმისა და მეფის შვილი რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა და უთხრა:

— წადით ახლავე, თორემ მოვა ჩემი ქმარი დევი და ორივეს შეგჭამთო.

მაგრამ ირმისამ უთხრა:

— შენ იმას გეხვეწებით, რომ შეგვიტყვე, სადა აქვს იმას თავისი სულიო?

— კარგიო, — უთხრა ქალმა და ადგილი დაუნიშნა, რომ ერთი თვის შემდეგ მოსულიყვნენ.

წავიდნენ ირმისა და მეფის შვილი და დადგნენ ერთ გამოქვაბულ კლდეში.

როცა დევი მოვიდა, ჰკითხა თავის ცოლს:

— არავინ მოსულაო?

იმან უპასუხა:

— არავინაო.

ერთი კვირის უკან უთხრა ცოლმა დევს:

— შენი სული სად არის, შემოვწირო რამეო.

დევმა უთხრა:

— ჩემი სული შენ რად გინდაო?

ცოლმა უთხრა:

— როგორ რად მინდა, რასმე შემოვწირავ, რომ ცხონდე და ჩემთვისაც კარგი იყოსო.

დევმა უთხრა:

— ჩემი სული სვეტშიაო.

ქალმა ეს სვეტი ისე შეღება, რომ იმის შეხედვას არა სჯობდა რა.

დევმა რომ ეს ნახა, უთხრა:

— ჩემი სული თუ ასე გიყვარს, ამ კატაში არისო.

ცოლმა ეს კატა ისე გაალამაზა, მეტი არ შეიძლებოდა. უკერავდა კარგსა და კარგს ტანისამოსს და აცმევდა. ეს რომ ნახა დევმა, უფრო მოუწონა და უთხრა:

— ჩემი სული ცხრა მთას იქით არის. ერთს ხეზე ჩამოკიდებულია ცხრათავიანი დევი, იმას შიგნით უზის ირემი, ირემში შველია, შველში კურდღელი, კურდღელში არის ბაჭია, ბაჭიაში კოლოფი და იმ კოლოფში სამი მერცხალი. ორი მერცხალი არის ჩემი თვალები და ერთი ჩემი სულიაო.

გაუხარდა ქალს, რომ ყველა შეიტყო, მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ მეფის შვილი და ირმისა.

როგორც მოვიდნენ, ქალმა ყველაფერი უამბო, რაც დევისგან გაეგონა.

ამათ წასვლა დააპირეს, მაგრამ ქალმა უთხრა:

— ისევ თავი დაანებეთ, რადგან ის დევი, რომელიც ხეზეა ჩამოკიდებული, თუ სუნი მიუვიდა ადამიანისა, დიდ მანძილზე მიიზიდავს და შეგჭამსო.

ირმისამ უთხრა:

— ნუ გეშინიან, მე იმას მოვუხერხებ და ხელში ჩავიგდებო.

ორივენი წავიდნენ.

ირმისამ და მეფის შვილმა დიდხანს იარეს, მივიდნენ ერთ მთის სიახლოვეს, გაიარეს ცხრა მთა; მივიდნენ თუ არა მთის ძირში, მეფის შვილი ააკანკალა დევის შუქმა, მაგრამ ირმისამ დაიმაგრა. როცა ორიოდე ადლის სიახლოვეს მივიდნენ, ორივენი გამოაგდო შუქმა. მაგრამ, როგორც იყო, ირმისამ გაჭრა თოკი, ჩამოვარდა დევი, მოსჭრა ამ დევს ცხრა თავი, გაჭრა შუაზე, ამოიყვანა ირემი, ისიც გაჭრა, ამოიყვანა შველი, ისც გაჭრა, გამოხტა კურდღელი, სტაცა ხელი კურდღელს და გაჭრა, შიგ ნახა ბაჭია, ისიც გაჭრა ამოიღო კოლოფი.

ამ დროს გახდა, ავად დევი.

ირმისამ გააღო კოლოფი, ამოიყვანა ერთი მერცხალი და მოკლა.

მაშინ დევს ცალი თვალი დაევსო.

მივიდა დევთან ირმისა და უთხრა:

— ეს ქალი რომ წამოიყვანე, ეგ იმიტომ მოგივიდაო.

ირმისამ ამოიყვანა მეორე მერცხალი და ისიც მოკლა.

დევი ორივე თვალით დაბრმავდა.

წამოიყვანეს ქალი და მოვიდნენ იმ ვაშლის ძირში. აქ დახვდათ იმათ სამივე დევი. იმ ღამეს იქ დარჩნენ, მაგრამ ირმისას არ დასძინებია, რადგან ეშინოდა, კიდევ არავინ წამართვას ქალიო.

როცა შეიქნა შუაღამე, მოვიდა სამი ქაჯი, შემოსხდნენ ვაშლის წვეროზე და დაიწყეს ლაპარაკი. ერთმა თქვა:

— რა ბედი მიეცეს ამ ცოლ-ქმარსაო?

მეორემა თქვა:

— ის ბედი მივცეთ, რომ როგორც შევიდეს სიძე ეზოში და ცხენი გამოათამაშოს, ცხენიდან გადმოვარდეს და მოკვდესო.

მესამემ თქვა:

— თუ ამას გადარჩეს, ხელმწიფის ცოლმა რომ მიართვას ოქროს სარტყელი და ოქროს ფეხსაცმელი, მაშინ სარტყელი გველად გადიქცეს და ქალი შეეპამოს და თუ ამას გადარჩეს, ფეხსაცმელმა ფეხი მოსტეხოსო.

პირველმა კიდევ თქვა:

— თუ ამასაც გადარჩეს, ღამე მოვიდეს გველეშაპი და ორივე ჩანთქასო. თუ ამას ვინმე ყურს უგდებდეს და გააცხადოს, ქვა-გრილად გადიქცესო.

ამას ყურს უგდებდა ირმისა, მაგრამ მან არავის უთხრა.

მეორე დღეს წამოვიდნენ შინ. როგორც შევიდნენ ყველანი ეზოში, იმ დროს მეფის შვილმა გადაჰკრა ცხენს და უნდოდა გაეთამაშებინა, მაგრამ ირმისამ არ გაუშვა, ცხენს აღვირი დაუჭირა და ჩამოხტნენ ცხენიდან.

დედამთილმა მიართვა რძალს ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი, მაგრამ ირმისამ გამოართვა, დაამტვრია და გადაყარა.

ამას ყველაფერს გადარჩნენ, მაგრამ ის ღამე კი საშიში იყო.

ირმისამ იმ ღამეს არ დაიძინა, საცა ცოლ-ქმარი იწვნენ, იმ ოთახს ჰყარაულობდა. შუაღამისას მივიდა გველეშაპი, ირმისამ მოკლა ის, გამოიტანა, ერთ სახლში შეიტანა და იქ დააგდო, თითონ კი დაწვა და დაიძინა.

როცა ადგა, ეს სახლი შელესა.

გაიმართა ქორწილი და გასტანა სამ დღეს.

ქორწილის შემდეგ დეკები წავიდნენ თავიანთ სახლში.

ერთხელ დღესასწაულში ხელმწიფე და მისი შვილი სალოცავად წავიდნენ, მაშინ დედამთილმა და რძალმა დაუწყეს გამოკითხვა ირმისას:

— რატომ არ მიეცი ნება მეფის შვილს ცხენი გაეთამაშებინა და ოქროს სარტყელი და ფეხსაცმელი რად დაამტვრიე და გადაჰყარეო?

მაგრამ ირმისამ არაფერი უთხრა, მხოლოდ სთხოვა:

— დამეხსენითო.

დიდხანს ეხვეწნენ და ბოლოს ირმისამ უთხრა:

— ჩემი სიკვდილი გინდათ და აი გეტყვითო.

ირმისამ ყველაფერი უამბო, რაც ქაჯებმა ილაპარაკეს, და როგორც გაათავა, ქვა-გრილად გადაიქცა.

დაიწყეს ტირილი დედამთილმა და რძალმა.

ადგა რძალი და გაიქცა მკითხავთან. მივიდა და შეეხვეწა:

— მირჩიე რამე ქვა-გრილისაო.

მკითხავმა უთხრა:

— შენი შვილი მოხარშე ძდუღარე წყალში და გადაასხი იმ ქვა-გრილსა, ის ბავშვი და ქვა-გრილი ერთად მოვლენ შენთანაო.

წამოვიდა და მოხარშა თავისი შვილი, გადაასხა ირმისას და თითონ შევიდა თავის ოთახში.

ცოტა ხანს უკან ამოვიდნენ ორივენი მღერით და დაიწყეს ამის შემდეგ ყველამ ერთად მშვიდობიანად და ბედნიერად ცხოვრება.

სასწაულმოქმედი პერანგი

ყო და არა იყო რა, იყო დასავლეთის ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟი. ერთ-ხელ ხელმწიფე ძლიერ ავად გახდა, დაიბარა შვილები და უთხრა:

— ვიცი, ველარ მოვრჩები, სიკვდილის დღე მომიახლოვდა, ჩემს შემდეგ თუ რაიმე გაგიჭირდეთ, აღმოსავლეთის ხელმწიფესთან მიდით და შემწეობა სთხოვეთო.

გარდაიცვალა ხელმწიფე და ისე დაასაფლავეს, როგორც შეეფერებოდა. გაიგეს შორეულმა სახელმწიფოებმა ეს ამბავი და დაესხეს ობლების ქონებას. ობლებმა ძლივს გაასწრეს მტრებს ცოცხლად და აღმოსავლეთის ხელმწიფეს შეაფარეს თავი.

აღმოსავლეთის ხელმწიფემ კარგად მიიღო ობლები, მისცა საკუთარი სახლი, მიუჩინა მოსამსახურე და კეთილად ეპყრობოდა. ერთ მეთვალყურეს დაავალა:

— ხელმწიფის შვილები კარგად აღზრდილები ჩანან; ყური უგდე დღეს სადილზე რას იტყვიან, და ამბავი მომიტანეო.

დასხდნენ სადილად დასავლეთის ხელმწიფის შვილები. უფროსმა ძმამ აიღო პური ხელში და თქვა:

— ამ პურს ადამიანის სისხლი ურევიაო.

საშუალომ აიღო ბატკნის ხორცის ნაჭერი და თქვა:

— ეს ბატკახი თავისი დედის რძით არ არის გაზრდილი, ძაღლის ძუძუ უწოვიაო.

უმცროსმა თქვა:

— ხელმწიფე ხელმწიფის შვილი არ არისო.

ამათი ნალაპარაკევი მეთვალყურემ ხელმწიფეს მოახსენა.

ხელმწიფემ ბრძანა:

— მოიყვანეთ გუთნისდედაო.

გამოცხადდა გუთნისდედა.

ხელმწიფემ ჰკითხა:

ამ პურს ადამიანის სისხლი რად ურევიაო?

— თესვის დროს ხელი გავიჭერი და მუჭით რომ ხორბალს ვაპნევდი, სისხლიც თან ჰყვებოდაო, — უპასუხა გუთნისდედამ.

დაიბარეს მეცხვარეებიც. ხელმწიფემ ამათაც ჰკითხა:

— ამ ბატკანს ძაღლის ძუძუ რად აწოვეთ, თავის დედას რად მოაშორეთო?

მეცხვარეებმა უპასუხეს:

— დედა მოუკვდა, რძით ვზრდიდით და ძაღლსაც შესჩვეოდაო.

ბოლოს ხელმწიფე მივიდა დედასთან და უთხრა:

— დედი, წუხელის სიზმარში მასწავლეს, თუ ძუძუს მომაწოვებ, სიბერემდის ვიცოცხლებო.

დედამაც მისცა ძუძუ. ხელმწიფემ ძუძუ პირში ჩაიდვა, კბილები მოუჭირა და უთხრა:

— ვიცი, ხელმწიფის შვილი არა ვარ; მითხარ, ვინ იყო მამაჩემი, თორემ არ აგიშვებო.

რაღას იზამდა დედა, გამოუტყდა და უთხრა:

— მეჯინიბის შვილი ხარო.

აღმოსავლეთის ხელმწიფე დარწმუნდა დასავლეთის ხელმწიფის ვაჟები მართლაც პატივისცემის ღირსნი არიანო და ამასიქით კიდევ უფრო კარგად ეპყრობოდა. გამოზარდა და როდესაც სრულწლოვანნი შეიქნენ, გაისტუმრა თავის სახელმწიფოში; სამივეს თითო ცხენი დაუტვირთა ფულითა და თვალ-მარგალიტით.

წავიდნენ ძმები. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ ჯვარედინ გზას. დაისვენეს. იქ ერთი დიდი ქვა იდო, რომელზედაც სამივე მხარეზე ეწერა: — ამ გზით წავიდეს მგზავრი, — დაბრუნდეს; ამ გზით წავიდეს, — ან დაბრუნდეს ან არა; ამ გზით წავიდეს, — სულ აღარ დაბრუნდესო. ქვა შუა ალაგას იდო და წარწერები გზებისკენ ჰქონდა მიქცეული.

ძმებმა ირჩიეს სხვადასხვა გზით წასვლა. შინ რომ მივიდეთ, მტერი სულ გაანადგურებდა იქაურობასო და დაიწყეს მსჯელობა, ვინ რომელი გზით წასულიყო.

ურფოსმა ძმამ აირჩია ის გზა, რომელზედაც ეწერა: წავიდეს, ისევ დაბრუნდესო; საშუალომ აირჩია — ან დაბრუნდეს, ან არაო; უმცროსმა — კი — წავიდეს, ველარ დაბრუნდესო.

ბევრი ეხვეწნენ უმცროს ძმას, შენც ჩვენი გზა აირჩიე, მანდეთ ნუ წახვალო, მაგრამ არ გაიგონა. ძმებმა ქვის ქვეშ დააწყვეს ბეჭდები და პირობა დადეს, — ვინც უწინ გამოიაროს, თავისი ბეჭედი გამოიღოს და მამის ბინაზე წავიდესო.

უმცროსი ძმა შორს წავიდა უგზოუკვლოდ, თითონ არ იცოდა სად მიდიოდა. გავიდა ერთ დიდ გზაზე. გზამ ზღვის პირას მიიყვანა და კიდევაც დაღამდა. იქ ერთი ქოხი ნახა. გაუკვირდა, — ამ უდაბურ ალაგას რა უნდა ვინმესო. ახლოს მივიდა და ნახა ქოხში ერთ დედაბერი იყო. დედაბერს გაუკვირდა ვაჟის მისვლა და ჰკითხა:

— შვილო, რამ მოგიყვანა ამ უდაბურ ადგილსო?

— დედაშვილობას, ბინა მომეცი, ღამე გავათიოო, — შეეხვეწა ხელმწიფის შვილი დედაბერს.

დედაბერმა შეიწვია ვაჟი სახლში. ყმაწვილმა მოხსნა ცხენს ხურჯინები, ქოხში შეიტანა და ცხენი გარეთ დაბა. როცა დაბნელდა ხელმწიფის შვილმა გამოხედა ცხენს გარეთ, ქოხს ირგვლივ შემოუარა და უცნაურმა სანახავმა შეაჩერა: ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო გაბრწყინვებული, როგორც ცეცხლი, ისე ანათებდა. ძალიან შეშინდა

ხელმწიფის შვილი, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიფა, შევიდა დედაბერთან და ჰკითხა:

— რა არის ის, ზღვაში რომ ანათებსო?

— ეგ ოქროს სასახლეა, შიგ მზეთუნახავი ხელმწიფის ქალი ცხოვრობს, პირზე მრავალკეცი საბურველი აქვს ჩამოფარებული, მაგრამ მაინც ასე ანათებს მისი სილამაზე მთლად ამ მიდამოსო, — უპასუხა დედაბერმა.

— როგორ ცხოვრობს, გვერდით ვინ ახლავს, ან როგორ შეიძლება მასთან ასვლა, გეცოდინება და მასწავლეო, — შეეხვეწა ვაჟი.

დედაბერმა უამბო:

— როდესაც ხელმწიფე ცოცხალი იყო, აქ ქალაქი იყო გაშენებული; ხალხიც მრავლად ვცხოვრობდით; ეგ ქალი რომ შეეძინა, თილისმისმცოდნე პირები შეკრიბა და ეს სასახლე ასე გააჩერა ჰაერში დაკიდული; ხმელეთიდან კიბე გააკეთებინა იმ სახლამდის და თითონ იმით ადიოდა ქალთან; კიბეს ათასი მეომარი უარაულობდა, სხვას არავის შეეძლო იქ ასვლა; ერთხელ ზღვა აღელდა და ქალაქში რაც სახლები იყო, ან ხალხი ცხოვრობდა, სულ ზღვაში შეიტანა; მე ზევით მთაზე ვიყავი წასული საზრდოს საშოვრად და გადავრჩი. მას აქეთ აქა ვარ, არც სიკვდილი მეღირსა და ასე ვიტანჯები მარტოკა. იმ ქალს განგება თუ უგზავნის საზრდოს, თორემ არა ვიცი რა. ის კი ვიცი რომ ცოცხალია, რადგანაც ღამე ანათებს. მეც ციდან საზრდო მეძლევა და ასე ვცხოვრობო.

ხელმწიფის შვილმა მოისმინა ეს ამბავი. ისე გაერთო ფიქრებში, რომ მთელი ღამე ძილი არ მოსვლია. მეორე დღეს შეჯდა ცხენზე, წაიღო ფული და წავიდა. იარა, იარა და მიადგა ერთ ქალაქს. დაიქირავა ხურო, დურგლები, იყიდა ხის მასალა, მოიტანა იმ ზღვასთან და გააკეთებინა კიბე სასახლემდის. ოსტატებს ბევრი ფული აჩუქა და სთხოვა:

— როცა სასახლეში ავალ, კიბე დაშალეთ და ზღვაში ჩაყარეთო.

გამოეთხოვა დედაბერს და ქალის სახლში ავიდა. ოსტატებმა კიბე დაშალეს და ზღვაში ჩაყარეს. ხელმწიფის შვილმა დაიწყო ბანზე წინ და უკან სიარული. ქალს ფეხის ხმა მოესმა და დაიძახა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, აქ ადამიანს არასოდეს არ გაუვლია და შენ საიდან მოხვედიო?

— ბედმა შენთან გამომგზავნა შენ ამხანაგადაო, — მიუგო ვაჟმა.

— მე ზეციდან ჩამომდის, საზრდო, თუ შენთვისაც ჩამოვა, მოდი ჩემთან, თუ არა და მანდ გაჩერდიო, — დაუძახა ქალმა.

გავიდა ცოტა ხანი და მაღლიდან ორივესთვის ჩამოეშვა პურ-ღვინო.

ქალმა და ვაჟმა ისადილეს და შეჰფიცეს სიკვდილამდის არ ეღალატნათ ერთმანეთისთვის.

ცხოვრობდნენ ტკბილად და უზრუნველად. ქალმა ვაჟს აჩვენა რვა ოთახი, სავსე სხვადასხვა სანახაობით; ერთში ფრინველები იყო და ტკბილ ხმაზე გალობდნენ; მეორეში იყო თუთიყუში და ადამიანივით ტიტინებდა; მესამეში აუარებელი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლი იყო; მეოთხეში — ქალის ტანისამოსი; მეხუთე, მდიდრულად მოწყობილი, საცხოვრებლად ჰქონდა. დახარჩენ ოთახებში ბაღი იყო გაშენებული ათასნაირი ყვავილითა და ხეხილებით. ისეთი ხეხილები მთელ დედამიწაზე არ იყო; ყვავილები ლაპარაკობდნენ; ერთი ამბობდა: „მე რომ დამყნოსო, მოვკვდები“ მეორე ამბობდა: — მკვდარს რომ დამადო, გავაცოცხლებო და სხვა. მეცხრე ოთახი არ აჩვენა ქალმა ვაჟს და უთხრა:

— ნუ მთხოვ მაგის ჩვენებასო.

ერთხელ, როცა ქალს ეძინა, ხელმწიფის შვილმა მოიპარა მეცხრე ოთახის გასაღები და წავიდა ოთახის სანახავად. გააღო, შევიდა და გაოცდა. ოთახში კიდევ პატარა ოთახი იყო. გაოცებული ვაჟს კარები ღია დარჩა. გააღო პატარა ოთახიც და შიგ ნახა, პატარა ჩიტი ნისკარ-

ტით პერანგს ქსოვდა. უცხო კაცის დანახვაზე ჩიტი გაფრინდა და პერანგიც თან წაიღო. დაღონებული ვაჟი მივიდა ქალთან და დაჯდა.

გაიღვიძა ქალმა. მაშინვე გაიგო ყველაფერი და ვაჟს უთხრა:

— თუ ასე ძალიან გინდოდა ოთახის დათვალიერება, მეტყოდი და გაჩვენებდი; ის ისეთი პერანგი იყო, რომ მცმოდა, მთელი ქვეყანა რომ შემბმოდა, ვერას დამაკლებდა, ახლა-კი მუდამ შიშში უნდა ვიყოთო.

დაღონდნენ ორივენი, მაგრამ რას იზამდნენ.

ჩიტმა პერანგი შორს გაიტაცა ტრიალ მინდორზე, ერთ ალაგს დაუვარდა, მიატოვა და გაფრინდა.

გაზაფხული იყო. მწყემსებს ცხვარი მიყავდათ იალაღზე. ღამის გათევა მინდორში მოუხდათ. ცეცხლი არა ჰქონდათ, რომ აენთოთ. იცქირეს იქით-აქეთ, იქნებ სხვა მწყემსებია სადმე, რომ ცეცხლი გამოვართვათო. შორს წერტილივით დაინახეს ცეცხლი და ერთი მწყემსი გაგზავნეს მოსატანად. წავიდა მწყემსი. მიუახლოვდა იმ ადგილს და ხედავს რაღაც ანათებს, მაგრამ ცეცხლი არ არის. მეცხვარე შიშმა აიტანა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლია და ახლო მივიდა. ნახა პერანგი, აიღო და წამოვიდა. მოაქვს და უხარია:

— ეს რა კარგი რამე ვიშოვნე, ჩვენს ხელმწიფეს მივუტან და დამასაჩუქრებსო.

მიიტანა ამხანაგებთან პერანგი. მწყემსები გაკვირდნენ; პერანგი არც ნაქსოვი იყო, არც ნაქარგი, არც ხელით ნაკერი ჰქონდა სადმე.

წაიღო მწყემსა პერანგი ხელმწიფესთან. ხელმწიფეც ძალიან გაკვირდა:

— ხელოვნური რამე არ არის, ცით მოწყვეტილი უნდა იყოსო.

ხელმწიფემ მწყემსი დაასაჩუქრა და
შეყარა ნაზირ-ვეზირები.

— გამიგეთ, რა არის ეს, ან ამის ჩამცმელი ციურია თუ ქვეყნიურია.

წავიდნენ სხვადასხვა მხარეს საძებრად. მთელი წელიწადი ეძებეს, მაგრამ ვერაფერი გაიგეს და დაღონებულები დაბრუნდნენ შინ.

ხელმწიფემაც მოიწყინა. ისევ გასცა ბრძანება:

— ვინც იმ ქალს იპოვის და მომიყვანს, ჩემი სახელმწიფოს ნახევარს იმას დავუმტკიცებო.

მოვიდა ერთი ბებერი და ხელმწიფეს მოახსენა:

— იდღეგრძელეთ, ხელმწიფევ! რად სწუხდებით აგრე; მომეცით ერთი პატარა ნავი; ერთი ჩარექა ბანგი და ერთი ჩარექაც ღვინო და მე მოვიყვან იმ ქალსაო.

გაეხარდა ხელმწიფეს, მისცა ყველაფერი და გაისტუმრა.

მივიდა დედაბერი ზღვასთან. ჩაუშვა ნავი ზღვაში და წავიდა. იმდენი იარა, რომ მივიდა ქალის სასახლესთან და დაუწყო გარს შემოვლა. ქალი და ვაჟი ბაღში დასეირნობდნენ. გადმოიხედეს და დაინახეს ბებერი ზღვაში, მაღლა იშვერს ხელებს და ყვირის.

— მიშველეთ, ამიყვანეთ, ვიღუპებიო.

ვაჟი გაიქცა და თოკები მოარბენინა.

ქალი არ უშვებდა:

— ნუ შვრები, არ ამოიყვანო, თორემ დავიღუპებითო.

ვაჟმა არ გაუგონა, ჩაუშვა თოკი და ამოიყვანა ბებერი.

ბებერმა მოხერხებულად მიამაგრა ნავი სახლზე, ისე რომ ქალსა და ვაჟს არ შეუმჩნევიათ; ამოყვანისათვის მადლობა შესწირა ვაჟს და იმათთან დარჩა; ემსახურებოდა და ათასნაირი ქვეყნიური ამბით ართობდა ქალ-ვაჟს.

ერთ დღეს ბებერმა ამოიღო ხელმწიფის მიერ გამოტანებული ღვინო და ბანგი; ღვინო თითონ დალია, იმათკი ბანგი შეაპარა და დააძინა. ვაჟს დანით ყელი გამოსჭრა, ქალი-კი თოკით ნავში ჩაუშვა, თვითონაც ჩაეშვა, აუშვა ნავი და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან და მიიყვანა მძი-

ნარე ქალი. ქალი მისთვის საგანგებოდ მორთულ ოთახში მოათავსეს.

ქალმა გაიღვიძა და საშინლად გაოცდა, რომ უცხო სახლში ნახა თავისი თავი. პირისფარეშებმა ხელმწიფეს მოახსენეს:

— ქალმა გაიღვიძაო.

ხელმწიფეს გაეხარდა და ქალისაკენ გაეშურა. უცხო კაცის დანახვაზე ქალმა ამოიღო ჯიბიდან დანა, გულზე დაიდვა და დაუძახა:

— არ მოხვიდე ახლოს, თორემ თავს მოვიკლავო.

ხელმწიფე შეჩერდა.

ქალმა დაუწყო გამოკითხვა:

— ვინა ხარ, რა ჰქვია აქაურობას, ან მე ვინ მომიყვანია აქაო?

ხელმწიფემ უთხრა:

— მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ, შენ ბებერმა მოგიყვანა, შენი ქმარი მოკლა, ახლა მე უნდა შეგირთო ცოლად; შენი პერანგიც აქა მაქვს, როდესაც ჯვარს დავიწერთ, მაშინ მოგართმევ, მინამდის კი მე მექნებაო.

— კარგი, შენ ხელთა ვარ, რას გავაწყობ; მომეცი ერთი წლის ვადა, რომ ქმარი ვიგლოვო; არავინ შემოხვიდეთ ჩემთან, თუ ვინმე გაბედავთ შემოსვლას, თავს მოვიკლავ; მთელ შენს სახელმწიფოს შავი ჩააცვი და სახლსაც შავი გადააკარიო, — უთხრა ქალმა.

ხელმწიფე ყველაფერზე დაეთანხმა.

დასავლეთის ხელმწიფის უფროსმა ვაჟმა, რომელიც სხვა გზით წავიდა, ვაჭრობაში ბევრი ფული მოიგო; ბოლოს მობეზრდა აქეთ-იქით სიარული და წამოვიდა ძმების შესახვედრად. მოვიდა ჯვარედინ გზაზე. ასწია ქვა და ნახა, საშუალო ძმას ბეჭედი წაეღო, უმცროსს — არა. წავიდა უმცროსი ძმის საძებრად. ბევრი სიარულის შემდეგ მივიდა ბებერთან, რომელიც ზღვის განაპირას ქოხში ცხოვრობდა და ჰკითხა:

— ოთხი წლის წინ ერთი ვაჟი წამოვიდა აქეთ და ხომ არა იცი რაო.

— ბებერმა ყველაფერი უამბო, რაც იცოდა, და ბოლოს დაატანა:

— რაც იმ ქალთან ავიდა, აღარა ვიცი რა და აგერ ცხრა დღე იქნება აღარც სინათლე დამინახავსო.

ეს ხელმწიფის შვილი წავიდა ერთ ქალაქში, დაიქირავა ხუროდურგლები, მოატანინა მასალა, გააკეთებინა კიბე და ავიდა სასახლეში. ავიდა და ნახა საუცხოვო ქალაქი, მდიდრულად მორთული; ნახა თავისი ძმა ყელგამოჭრილი ხრიალებს; ბებერს სიჩქარით მთლიანად ვერ გამოეჭრა ყელი. ადგა უფროსი ძმა, დაიარა ყველა ოთახი, ნახა მშვენიერი ბაღი სხვადასხვა ხეხილითა და ყვავილებით; ნახა ყვავილი, რომელიც იძახოდა: „მე რომ მკვდარს დამადო, გავაცოცხლებო"; მოწყვიტა ეს ყვავილი, მიიტანა ძმასთან, დაადო და გააცოცხლა. უმცროსმა ძმამ გაახილა თვალები და ჩაილაპარაკა:

— უჰ, რამდენი ხანი მძინებიაო!

ძმა რომ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— როგორ მოხვედი აქ, ან ქალი სად არისო?

ძმამ უამბო, თუ როგორ ამოვიდა აქ, როგორ იპოვა ის ყელგამოჭრილი, როგორ გააცოცხლა და სხვა და ისიც უთხრა ქალი არ მინახავსო.

უმცროს ძმას მოაგონდა ყველაფერი, მიხვდა,—ბებერი იზამდა ამასო და წასასვლელად დაიწყო მზადება. შევიდა ბაღში, დაჭრა ხის კენწეროები, შეკრა კონები, ჩაუშვა წყალში, დასხდნენ ზედ ძმები და წავიდნენ. როცა ნაპირს გავიდნენ, უფროს ძმას უთხრა:

— წადი, ძმაო, შინ, მე სანამდის იმ ქალს არ ვიპოვი, მის გზაზე უნდა მოვკვდეო.

გაშორდნენ ერთმანეთს. უფროსი შინ წავიდა, უმცროსი-კი ქალის საძებრად. ბევრი ძებნის შემდეგ მივიდა იმ ქალაქში, სადაც ქალი იყო. ნახა — ყველაფერს შავი აქვს

გადაკრული, ყველას შავი აცვია და მზეც რიგიანად არ ანათებს. იკითხა ამის მიზეზი და უამბეს:

— ხელმწიფემ ერთი ქალი მოიყვანა. ქალი ქმარზე არის მგლოვიარე, არასოდეს არ იცინის, სულ დარდიანია; ყველას შავები ჩაგვაცვეს და მზეც აღარ გვინათებს.

წავიდა ვაჟი, ხელმწიფის კარზე ჩაიარა და დაიძახა:

— კარგი ნამყენების გაკეთება ვიცი, საუკეთესო ტოტები მაქვს, ხომ არ ინებებთო.

— მებაღედ აიყვანეთო,—გასცა ბრძანება ხელმწიფემ.

ვაჟი დადგა მებაღედ, გააკეთა ნამყენები. ნამყენებმა იმავე ზაფხულს დაისხა საუკეთესო ხილი. მებაღემ აავსო ერთი კალათა ხილით და ხელმწიფეს მიართვა. გააკვირვა ხელმწიფე ხილის სიდიდემ და მშვენიერებამ. აიღო და ქალთან გაატანა მებაღეს, იქნებ ესიამოვნოსო.

მებაღე მივიდა ქალის ფანჯარასთან. ქალმა მაშინვე იცნო ქმარი და კარები გააღო. გაიხარეს ირივემ და უამბეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი.

ხელმწიფეს მოახსენეს:

— ქალს ძალიან მოეწონა ხილი და მებაღე მიიღოო.

ამის შემდეგ ხელმწიფემ ნება დართო მებაღეს—ყოველდღე მიეთავაზებინა ქალისთვის არჩეული ხილი. ამგვარად დაიწყო ვაჟმა ქალთან სიარული.

ქალმა უთხრა ვაჟს:

— წელიწადი რომ შესრულდება, მაშინ მე თითქოს ხელმწიფეზე ჯვარი უნდა დავიწერო. იმ დღეს მომიტანენ ჩემს პერანგს. მე მოვითხოვ წინასწარ ბაღში გავლას. მოვალ ბაღში; შენც იქ შენს დამყნილ ხეებს კენწეროები დასჭერი, მზად გქონდეს; გავშლი პერანგს, დავსხდეთ ზედ და გაგვაფრენსო.

შესრულდა წელიწადი. ხელმწიფემ გამოუგზავნა ქალს პერანგი და სთხოვა:

— გამოდი, ჯვარი დავიწეროთო.

ქალმა შეუთვალა:

— დიდი სიამოვნებით, მხოლოდ ერთი თხოვნა ამისრულეთ და მეტს აღარას გთხოვთო.

მოვიდა ხელმწიფე და ჰკითხა ქალს:

— რასა მთხოვო?

ქალმა უთხრა:

— თქვენ თქვენის ჯარით ბაღის კარებში გაჩერდით; მე ბაღში შევალ მარტოკა, ვნახავ დასხმულს იმ ხილს, რომელსაც აქამდის მიგზავნიდით; მინდა ჩემის თვალით ვნახო როგორ ასხია, დავსტკბე იმის ცქერით და შემდეგ თქვენი ნებაა, მე წინააღმდეგი არა ვარ ქორწინებისაო.

ხელმწიფემ ნება დართო ქალს ბაღში შესულიყო. ქალმა ჩაიცვა პერანგი; ხელმწიფე და ჯარი ბაღის კარებში ჩადგა. ქალი შუა ბაღში შევიდა, გაიხადა პერანგი, დაჯდა ზედ, მებაღეც გვერდით მოისვა და პერანგს უთხრა:

— აბა, პერანგო, ამწი და ჩემს სასახლეში მიმიყვანეო.

აიწია პერანგი მაღლა-მაღლა და გაფრინდა.

დარჩნენ ხელმწიფე და ჯარი პირდაღებულები.

ქალ-ვაჟი მივიდა შინ, რაც საუკეთესო რამ ჰქონდათ წამოიღეს, ხღვის პირს მცხოვრები დედაბერიც არ დაივიწყეს, თან წაიყვანეს და წავიდნენ უფროს ძმებთან. იმათ ახალი სახლები აეშენებინათ. ძმებს გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ჭირი იქა,
ლხინი აქა.

ერთი აბაზის კვერცხი



ყო და არა იყო რა, იყო ერთი სოვდაგარი *). ერთხელ ჩვეულებისამებრ წავიდა ეს სოვდაგარი უცხო ქვეყანაში. ივაჭრა, ნავაჭრი ჯორ-აქლემებს აჰკიდა და წამოვიდა.

იარა, იარა და მიადგა ერთ სოფელს. სოვდაგარი სოფელში არ შევიდა, სოფლის განაპირას მინდორში ჩამოხსნა ჯორ-აქლემებს ტვირთი და დაბინავდა.

საღამოთი სოვდაგარმა სოფელში ბიჭი გაგზავნა საჭმელის საყიდლად. ბიჭმა ვერაფერი იშოვა; ბოლოს, როცა უკან ბრუნდებოდა, შეხვდა ერთი დედაკაცი, რომელსაც მოხარშული კვერცხები მიჰქონდა გასაყიდად.

ბიჭმა გამოართვა დედაკაცს ერთი აბაზის კვერცხები და უთხრა:

— ხვალ აქეთ გამოვივლით და ფულს მაშინ მოგცემთო.

სოვდაგარმა და მისმა მხლებლებმა ერთი აბაზის კვერცხებით ივახშმეს და დაიძინეს.

მეორე დღეს აჰკიდეს ჯორ-აქლემებს ტვირთი და გაუდგნენ გზას.

ერთი დღის სავლელი გზა რომ გაიარეს, სოვდაგარს მოაგონდა, რომ ღარიბ დედაკაცს კვერცხების ფასი ერთი

*) სოვდაგარი ვაჭარი.

აბაზი არ გადაუხადა. შეწუხდა, მაგრამ რას იზამდა. იფიქრა, იფიქრა და თქვა:

— ამ დედაკაცის კუთვნილ აბაზს ჩემ ფულში არ გავურევ, ცალკე ვაბრუნებ და ვასარგებლებო.

ასედაც მოიქცა. გაიარა ხუთმა წელმა. სოვდაგარმა ის ერთი აბაზი ისე ასარგებლა, რომ ოთხმოცი თუმანი გახადა. მეექვსე წელს სოვდაგარს ისევ იმ ქვეყანაში მოუხდა წასვლა სადაც ხუთი წლის წინათ იყო სავაჭროდ.

გამოიარა იმ სოფელში, სადაც დედაკაცისაგან ერთი აბაზის კვერცხი იყიდა, ჩამოხსნა ჯორ-აქლემებს ტვირთი და სოფლის განაპირას დაბინავდა.

სოვდაგარმა უთხრა ბიჭებს:

— წადით იპოვეთ ის დედაკაცი და უთხარით, სოვდაგარი გეძახის, ძლიერ საჭირო საქმე აქვს შენთანთქო.

ბიჭები მაშინვე წავიდნენ სოფლისკენ; ბევრი კითხვის შემდეგ იპოვნეს ის დედაკაცი და გადასცეს სოვდაგრის დანაბარები.

დედაკაცი მაშინვე გაჰყვა ბიჭებს.

სოვდაგარმა უთხრა დედაკაცს:

— დედი, მე ამ ხუთი წლის წინათ ვიყავი აქ, შენგან ერთი აბაზის კვერცხები ვიყიდე, ფულის გადახდა დამავიწყდა; ის აბაზი მასაქეთ ვასარგებლე შენ სახელზე, ოთხმოცი თუმანი გახდა, აი ახლა მოგიტანე ეს ოთხმოცი თუმანი და მიიღეო.

ამაზე ღარიბმა დედაკაცმა მიუგო სოვდაგარს:

— გეძებდი და გიპოვნე, შენ მაგით ველარ გადამირჩები; ჩემს კვერცხზე კრუხს დავსვამდი, წიწილებს გამოჩეკდა, წიწილები დაიზრდებოდნენ, კვერცხებს დადებდნენ; ისინიც წიწილებს გამოჩეკდნენ და ამგვარად ამ ხუთი წლის განმავლობაში მათი მოგება სამასი თუმანი გახდებოდა; თუ გინდა ნებით გადაიხადე სამასი თუმანი, თუ არა და სასამართლოს საშუალებით გადაგახდევინებო.

სოვდაგარი არ მოელოდა ამას, სახტად დარჩა, იფიქრა მადლი მატლად მიქციაო და დედაკაცს ვეღარაფერი უთხრა.

წავიდა დედაკაცი სასამართლოში და სოვდაგარს სამას თუმანზე უჩივლა.

დაიბარეს სოვდაგარი. მსაჯულმა გამოუცხადა:

— ამ დედაკაცისაგან ხუთი წლის წინ აბაზის კვერცხები წაგიღია, ფული არ მიგიცია; ხუთი წლის განმავლობაში ერთი აბაზის კვერცხები სამას თუმანს ისარგებლებდა და შენ სამასი თუმანი უნდა გადაუხადო ამ დედაკაცსაო.

დაღონდა სოვდაგარი, მსაჯულს სამი საათის ვადა — სთხოვა.

რჩევა უნდა ვკითხო ვისმესო.

მსაჯულმა მისცა სამი საათის ვადა.

სოვდაგარი გამოვიდა გარეთ და დაინახა ერთი პატარა ბიჭი, შეაჩერა ბიჭი და უთხრა:

— პატარა ბიჭო, ერთი რამ უნდა გკითხოვო.

— ბრძანე, მამობილოვო, — მიუგო ბიჭმა.

სოვდაგარმა დიწყო:

— ასეა, შვილო, ჩემი საქმე; ხუთი წლის წინ ერთი დედაკაცისაგან ვიყიდე ერთი აბაზის კვერცხი; ფულის გადახდა დამავიწყდა; ის ერთი აბაზი ვაბრუნე, ვასარგებლე, ოთხმოცი თუმანი გავხადე, ვაძლევ დედაკაცს და აღარ მჯერდება; იძახის: ჩემი კვერცხები აქამდის სამას თუმანს მასარგებლებდა და სამასი თუმანი უნდა მომცეო; სასამართლოში მიჩივლა, მსაჯულმაც ასე გადამიწყვიტა და აღარ ვიცი რა ვქნაო.

— მამობილო, დედაკაცმა კვერცხები მოხარშული მოგყიდა თუ მოსახარშიო? — ჰკითხა პატარა ბიჭმა.

— მოხარშულიო, — მიუგო სოვდაგარმა.

— მაშ მამობილო, წადი, იყიდე ერთი აბაზის მოხარშული კვერცხი, დააწყე თეფშზე, წაიღე და მსაჯულის წინ დადგი; როცა გკითხოს მსაჯულმა ეს რა არისო, შენ უთხარი: ამ კვერცხებით წიწილები გამოაჩეკინეთ და მაგ

დედაკაცს სამასი თუმნის მაგივრად ექვსას თუმანს მივცემთქო,—დაარიგა პატარა ბიჭმა სოვდაგარი.

სოვდაგარს მოეწონა ბიჭის რჩევა-დარიგება, საჩქაროდ იყიდა ერთი აბაზის მოხარშული კვერცხები, დააწყო თეფშზე, წაიღო და მსაჯულს დაუდო წინ.

— ეს რად მოიტანეო?—ჰკითხა მსაჯულმა სოვდაგარს.

— გთხოვთ, ბატონო მსაჯულო, ამ კვერცხებიდან წიწილები გამოაჩეკინოთ, მაშინ მე სამასი თუმნის მაგივრად ექვსას თუმანს მივსცემ ჩემს მომჩივანსო,—მიუგო სოვდაგარმა.

— მოხარშულია თუ მოუხარშავი ეგ კვერცხებიო?—იკითხა მსაჯულმა

— მოხარშულიაო,—უპასუხა სოვდაგარმა.

— როგორ იქნება, მოხარშული კვერცხებიდან წიწილები როგორ გამოიჩეკებაო?!—გაიკვირვა მსაჯულმა.

— დალოცვილო, მაშ რაში მადებთ სამას თუმანს გადასახადსო?—მიუგო სოვდაგარმა.

— როგორ, შენ დედაკაცისაგან მოხარშული კვერცხები იყიდე, თუ მოუხარშავიო?—ჰკითხა მსაჯულმა.

— თითონ დედაკაცს ჰკითხეთ და იმან თქვასო,—უპასუხა სოვდაგარმა.

მსაჯული დაეკითხა დედაკაცს.

— სოვდაგარს მოხარშული კვერცხები მიჰყიდე თუ მოუხარშავიო?

— მოხარშულიო,—მიუგო დედაკაცმა.

მსაჯულმა დაადგინა:

— იყიდოს სოვდაგარმა ერთი აბაზის მოხარშული კვერცხები და მისცეს დედაკაცსაო.

ამგვარად პატარა ბიჭის რჩევით გამართლდა სოვდაგარი; დედაკაცს აღარც ოთხმოცი თუმანი მისცა და აღარც ოთხმოცი კაპეიკი. „ბევრის მძებნელი ცოტასაც დაჰკარგავსო, და ასე მოუვიდა იმ დედაკაცსაც.

სოვდაგრის შვილი

ყოფილ ერთი სოვდაგარი, ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟი. ეს სოვდაგარი წინათ მდიდარი ყოფილიყო და შემდეგ გაღარიბებულიყო.

ერთხელ ვაჟმა უთხრა დედას:

— დედი, იქნებ მამაჩემის სიმდიდრიდან ცოტა ფული გადაგირჩა, მომეცი, ქარავანი მიდის სავაჭროდ და მეც გავყვებიო.

— ოცი თუმანი გვაქვს, შვილო, სამკვდროდ შენახული, სხვა არაფერი გაგვაჩნიაო,—უპასუხა დედამ.

— მომეცი ის ოცი თუმანი, ვასარგებლებ, იმედია, მოგებით მოგიტანო,—უთხრა ვაჟმა.

დედამაც აიღო ოცი თუმანი და მისცა შვილს, ქმარს კი არაფერი უთხრა.

წაიღო ფული ვაჟმა და დაფიქრებული მიდის ქუჩებში. ერთი სახლიდან წიგნის კითხვის ხმა მოესმა. ავიდა, ნახა, რომ სასწავლებელია.

— თქვენსავით წიგნის კითხვა და წერა მასწავლეთ და რასაც მთხოვთ, მოგცემთო,—უთხრა ვაჟმა მასწავლებელს.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო,—მიუგო მასწავლებელმა.

— ოც თუმანს მოგცემ ოღონდ ჩქარა მასწავლეო.

— კარგიო.

მალე მართლა ისე კარგად შეისწავლა ვაჟმა წერა-კითხვა, რომ მასწავლებელს სჯობნიდა. მისცა მასწავლებელს ოცი თუმანი, გამოართვა წიგნები, ქაღალდი და საწერ-კალამი და წამოვიდა შინ. მივიდა დედასთან და უთხრა:

— კარგი საქონელი ვიყიდეთ და მოვდიოდით, გზაზე მეკობრეები *) დაგვესხენ თავს და რაც გვქონდა სულ წაგვართვეს; მე გავექეცი და ჩემი ამხანაგები იქვე დახოცესო.

— ნუღარ იდარდებ, შვილო, რადგან შენ ცოცხალი გადარჩიო,—უთხრა დედამ.

გავიდა რამდენიმე დღე და კიდევ უთხრა შვილმა დედას:

— დედი, ფული აღარა გაქვს? მომეცი, ახლა სხვა ქარავანი მიდის, გავყვები, ვაჭრობაში გამოცდილი ვარო.

— ოცი თუმანი-ღა მაქვს, შვილო, რომ მოგცე, ვაი თუ მამაშენმა მოიკითხოს ხა რა ვუთხრაო?—უპასუხა დედამ.

— არა, დედი, ჯერ არ მოიკითხავს, მომეცი, მოგებას მოვიტანო,—შეეხვეწა შვილი.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც. წაიღო ვაჟმა ფული და წავიდა. გზაზე ნახა კოჭებს თამაშობდნენ. ყოველ თამაშის დროს ერთი იგებდა. მივიდა ვაჟი კარგ მოთამაშესთან და უთხრა:

— მასწავლე კოჭის თამაში, ისე რომ ვერავინ მაჯობოს, და რასაც მთხოვ, მოგცემო.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო,—მიუგო მოთამაშემ.

— ოცი თუმანი წაიღე, მხოლოდ კარგად და ჩქარა მასწავლეო.

ასწავლა მოთამაშემ ვაჟს კოჭის თამაში. ორ დღეში ისეთი მოთამაშე შეიქნა ვაჟი, რომ მასწავლებელს უგებდა. წამოიღო ორი კოჭი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დედას უთხრა:

---

*) მეკობრე—ავაზაკი, ყაჩაღი, ქურდი.

— კაცი რომ უბედურ დღეს დაიბადება, ის არის; ვივაჭრეთ, გავემგზავრეთ და ღამით კლდის ძირას დავდექით; მოზვავდა კლდე, ჩემი ამხანაგები და ნავაჭრი საქონელი ქვეშ მოიტანა; მე განზე ვიდექი და გადავრჩიო.

— რადგანაც შენ გადამირჩი შვილო, საქონელს აღარ დავეძებო—უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა ისევ უთხრა დედას:

— დედი, იქნება კიდევ გქონდეს ფული, ყოველთვის ხომ არ ვიზარალებ, ახლა მოგებას ვნახავ.

— რა ვქნა, შვილო, მამაშენმა სულ სამოცი თუმანი მომაბარა; ოცი თუმანი-ღა დამრჩა, ისიც რომ მოგცე, მამაშენს რაღა ვუთხრაო?

— განა, დედი, კიდევ ვიზარალებ? ეგეცა ვცადოთო.

მისცა დედამ ის ოცი თუმანიც და გაისტუმრა. წავიდა ვაჟი. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ ბაღთან. იქ ხალხი შეკრებილიყო; ზოგი დაფა-ზურნას უკრავდა და ზოგიც თამაშობდა; თამაშობდა აგრეთვე ხე, ქვა, ფოთოლი, ბალახი; სულიერი და უსულო ყველაფერი მხიარულობდა.

— რა მოგცე დაფა-ზურნის დაკვრის ასე კარგად შესწავლაშიო?—ჰკითხა ვაჟმა მედაფაზურნეს.

— ათი თუმანი მომეცი და ძალიან კარგად გასწავლიო.

— ოცი თუმანი იყოსო.

სამ დღეში ისე შეისწავლა ვაჟმა დაკვრა, რომ მედაფაზურნეს სჯობნიდა. წამოიღო დაფა-ზურნა და წამოვიდა შინ. მოვიდა დედასთან და უთხრა:

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო: რომ იტყვიან, ისეა ჩემი საქმეო. ძალიან კარგად ვივაჭრეთ, დიდი მოგება ვნახეთ; ზღვით დავბრუნდით; ერთ დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა, ხომალდი დაიმსხვრა; ჩემი ამხანაგები ზღვაში დაიღუპნენ; მე ერთ ფიცარზე შევრჩი, ზღვამ ნაპირს გამომაგდო და გადავრჩიო.

— რადგან შენ გადამირჩი, შვილო, ფულს ვინა ჩივისო,—უთხრა დედამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟმა მამას უთხრა:

— ჩვენს ქალაქში ერთი მდიდარი სოვდაგარი მოვიდა. ჩამატარე იმის კარზე და დაიძაბე:—ბიჭი ვის უნდა ერთ

ტომარა ოქროზე გასაყიდი-თქო, ის უარის თქმას არ იკადრებს და მიყიდისო.

მამამ აიღო ტომარი, მოჰკიდა ხელი შვილს, წაიყვანა: მდიდარი სოვდაგრის კარზე ჩაატარა და დაიძახა:

— ვის უნდა ბიჭი, ერთ ტომარა ოქროზე ვყიდიო.

მდიდარ სოვდაგარს გაეცინა და ჩაილაპარაკა:

— ვინ მისცემს ბიჭში ერთ ტომარა ოქროსაო?

შვილმა მამას ხმამაღლა უთხრა:

— აბა აქ რისთვის მომიყვანე, სადა აქვს მაგას ამდენი ოქრო, რომ გაიმეტოსო?

ითაკილა მდიდარმა ეს, მაშინვე აავსო ტომარა ოქროთი, მისცა მამას და ბიჭი დაიტოვა.

ბიჭმა ჩუმად უთხრა მამას:

— ეგ ფული დიდხანს გეყოფათ, შემდეგ მე ძოგეშველებითო.

წამოიღო კაცმა ფული, მოუტანა ცოლს და იწყეს ცოტ-ცოტა ხარჯვა.

სოვდაგარი ნანობდა, — ასე ძვირად ვიყიდე ბიჭი და რა უნდა გავაკეთებინო ისეთი, რომ ღირდესო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა შინ გაეგზავნა და იქ ემუშავებინა. დაწერა წერილი: ეს ბიჭი ძვირად ვიყიდე, ამუშავეთ, სულ ქვა და ქვიშა აზიდვინეთო. წერილი ბიჭს გადასცა ცოლისთვის გადასაცემად. აჰკიდა ჯორ-აქლემს საქონელი, ერთი ნოქარი გაატანა და ბიჭიც გააყოლა. ზღვა უნდა გაევლოთ. ჩასხდნენ გემში და წავიდნენ. გზაში ნოქარმა და გემის პატრონმა კოჭი ითამაშეს. ნოქარმა ყველაფერი წაგო: თავისიც, სოვდაგრის მიერ გატანებულიც, ბიჭიც და თავისი თავიც.

— რაც მე მაქვს ჯიბეში, ის ჩემია თუ მოგებულიაო? იკითხა ბიჭმა.

— მე შენი თავი მოვიგე, რაც ჯიბეში გაქვს, შენიაო, — უპასუხა გემის პატრონმა.

ბიჭმა ამოიღო ჯიბიდან ორი კოჭი და ორი შაური ფული. ეთამაშა გემის პატრონს და მოუგო. დაიხსნა თა-

ვისი თავი; კიდევ ეთამაშა და ნოქარი დაიხსნა; ეთამაშა და დაიხსნა სოვდაგრის მიერ გამოტანებული საქონელი და ბოლოს გემის პატრონს მოუგო ყველაფერი, გემიცა და თვითონ გემის პატრონიც მოიგო.

როცა ნაპირს მივიდნენ, ბიჭმა უთხრა გემის პატრონს:

— შენ გამითავისუფლებიხარ, გემიც შენი იყოს, მხოლოდ თუ ჩემი გვარის კაცმა გამოიაროს, უფასოდ გამოიყვანეო.

— კარგიო, — მიუგო გემის პატრონმა.

ბიჭი და ნოქარი გაუდგნენ გზას. გზაზე ბიჭმა ჰკითხა ნოქარს:

— ვისთან მივდივართ, შინ ვინა ჰყავს ჩვენს ბატონსაო?

— ცოლი და სამი ქალიშვილი, ერთი გასათხოვარი და ორი პატარაო, — უთხრა ნოქარმა.

ბიჭმა ჩუმად გახსნა სოვდაგრისაგან გამოტანებული წერილი და წაიკითხა, რაც შიგ ეწერა. დახია და ისეთივე ხელით სხვა ქაღალდზე დაწერა: ეს ბიჭი რომ მოვიდეს, ჩვენს უფროს ქალზე ჯვარი დასწერეო.

მივიდნენ სოვდაგრის სახლში. ბიჭმა გადასცა წერილი სოვდაგრის ცოლს. დასწერეს ჯვარი ბიჭს სოვდაგრის ქალიშვილზე.

მოახლოვდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ბიჭი დაფიქრდა, რა უნდა ვუთხრაო? მთელი დღეები დაღონებული დადიოდა. ერთ დღეს ქალაქგარეთ გაიარა. ნახა — ერთი ყმაწვილი დგას და ერთ შენობას შეჰყურებს. ბიჭი მიესალმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ყმაწვილმა არ მოიხედა. ვაჟი მივიდა ახლოს, მოჰკიდა ხელი და ჰკითხა:

— რას შეჰყურებ ასე, რატომ არ მოიხედავო?

— იმ შენობაში ერთი ქალი დავინახე. მინდა ერთხელ კიდევ დავინახო, მაგრამ აღარ გამოდისო, მამაჩემი ამ ქვეყნის ხელმწიფეა, ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს; ვინც იმ ქალს დამახასვებს, თავის საცხოვრებელს გავუყოფო, — მიუგო ყმაწვილმა.

— იმისი საცხოვრებელი არ მინდა, ერთი თხოვნა ამისრულოს და მე გაჩვენებ იმ ქალსაო,—მიუგო სოვდაგრის შვილმა.

— ისეთი რა უნდა მოსთხოვო, რომ მამაჩემმა ვერ შეგისრულოსო,—უთხრა ხელმწიფის შვილმა.

სოვდაგრის შვილმა ამოიღო თავისი დაფა-ზურნა, დაუკრა და დაუკრა. ყველამ და ყველაფერმა ცეკვა დაიწყო. თითონ ხელმწიფის შვილიც ცეკვავდა. ქალი შენობიდან ცეკვით გამოვიდა და მოაჯირზე გადმოდგა. ბიჭმა შეწყვიტა დაკვრა.

ქალმა დაუძახა:

— კიდევ დაუკარიო.

— რა საკადრისია ჩვენ აქ დაუკრათ და თქვენ მანდ იცეკვოთო.

ქალმა ყმაწვილები სახლში მიიწვია და სოვდაგრის შვილს უთხრა:

— ქონება ბევრი მაქვს და შენ უნდა იყო ჩემი ქმარიო.

— მე ცოლი მყავს, აი ეს ჩემი ძმა არის და ეს შეირთეო,—უთხრა ხელმწიფის შვილზე სოვდაგრის შვილმა.

ქალი დაეთანხმა.

ხელმწიფის შვილმა მამასთან მახარობელი გაგზავნა და დააბარა:

— ცოლი შევირთე, ის ქალი, ვისი ნახვაც მენატრებოდაო.

ხელმწიფეს ძალიან გაეხარდა და ბრძანება გასცა:

— ჩემი შვილის მხსნელი აქ მომიყვანეთო!

წაიყვანეს სოვდაგრის შვილი ხელმწიფესთან.

ხელმწიფემ უთხრა:

— სამი წელია ჩემი შვილი იქ იდგა და იმ სახლს შეჰყურებდა; დღეს ის შენ გამიბედნიერე და რას მთხოვ, რომ შეგისრულოო.

— სხვა არაფერი მინდა, ესა და ეს სოვდაგარი რომ მოვიდეს ამ ქვეყანაში, თავის სახლში მისვლამდის დააჭერინეთ და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეთ. ბევრი მოვა და გთხოვს მის განთავისუფლებას; ნურავის თხოვნას ნუ შეი-

წყნარებ, მხოლოდ ჩემი თხოვნა შეიწყნარეო,—მიუგო სოვდაგრის შვილმა.

ხელმწიფე შეჰპირდა:

— ეგ ადვილი საქმეა და აგისრულებო.

ხელმწიფემ დასწერა ჯვარი შვილსა და რძალს, მოიწვია მრავალი ხალხი და დიდი ლხინი გადიხადა.

მოვიდა სოვდაგრის მოსვლის დრო. ხელმწიფის განკარგულებით ყველა გზაზე დარაჯები დააყენეს. შემოვიდა ქალაქში სოვდაგარი თუ არა, დაიჭირეს და ხელმწიფეს წარუდგინეს.

ხელმწიფემ ბრძანა:

— განუკითხავად ჩამოახრჩვეთო.

უკვირს სოვდაგარს:

— არაფერი დამიშავებია, რას მემართლებითო?

— განუკითხავად ჩამოახრჩვეთ, დიდი დანაშაული აქვსო!—გაიძახის ხელმწიფე.

ამართეს სახრჩობელა, აიყვანეს ზედ სოვდაგარი, უნდა ჩამოახრჩონ. მიდიან ხელმწიფესთან დიდი პირები და სთხოვენ აპატიეთო.

— არ შეიძლება, ჩამოახრჩეთო!—ამბობს ხელმწიფე.

ბოლოს მოვიდა ხელმწიფესთან სოვდაგრის შვილი და სთხოვა.

— ჩემი ხათრისათვის აპატიეთო.

ხელმწიფემ ბრძანა:

— ჩამოხსენით ამ ვაჟის ხათრისთვისაო.

გაანთავისუფლეს სოვდაგარი. გადახედა თავის მხსნელს და შინისაკენ წავიდა. შიშისგან ავად გახდა და ლოგინში ჩაწვა. ამ დროს ფანჯარასთან გაიარა სოვდაგრის შვილმა. დაინახა სოვდაგარმა და თქვა:

— აი ის არის ჩემი მხსნელი, მაგან გამათავისუფლაო.

— ეგ ხომ ჩვენი სიძეაო,—მიუგო ცოლმა.

— რა სიძე, რას ამბობო?—გაუკვირდა სოვდაგარს.

— ჩვენი ქალიშვილის ქმარია, შენ ხომ მოიწერე უფროს ქალზე დასწერე ჯვარიო, და მეც დავსწერეო,—უთხრა ცოლმა.

— მე ეგ არ მომიწერია, მე მოგწერე,—ძვირად ვიყიდე და ქვა და ქვიშა აზიდინე მეთქი, მაგრამ ეს ჩემი მსხნელია და ასე იყოსო.

დაუძახეს ვაჟს. სოვდაგარმა დალოცა სიძე-ქალიშვილი და უთხრა:

— გინდ აქ იცხოვრეთ, გინდ წაიღეთ რაც გინდოდეთ და წადითო.

ვაჟმა თავის დედ-მამასთან წასვლა ირჩია. სოვდაგარმაც აუკიდა ჯორ-აქლემებს უამრავი სიმდიდრე და გაისტუმრა.

ვაჟი მივიდა მშობლებთან. იმათ ძალიან გაიხარეს შვილის დაბრუნებით და მშვიდობით ცხოვრობდნენ.

გლეხი და ვაჭრები

არიბ ცოლ-ქმარს ერთი ძროხა ჰყავდა. ერთ დღეს კაცმა თავის ვაჟს უთხრა:

— შვილო, წაიყვანე ძროხა, ბაზარში აატარ-ჩაატარე, სამ თუმნად იქნება თუ ოთხად გაჰყიდე; მშივრები ვიხოცებით, სანოვაგე ვიყიდოთო.

შვილმა მოაბა თოკი ძროხას და ბაზარში ჩაიყვანა. აატარ-ჩაატარა.

დაინახა ერთმა ვაჭარმა და დაუძახა:

— ბიჭო, ბიჭო, მოიყვანე ეგ ხბო, მომყიდე, სამ მანეთს მოგცემო,

— ხმო კი არა, ძროხა არის, სამ მანეთად როგორ მოგყიდო!—გაიკვირვა ბიჭმა და გაშორდა ვაჭარს.

მეორე ვაჭარმა დაუძახა:

— ბიჭო, სად მიგყავს ეგ თხა, მომყიდე, ორ მანეთს მოგცემო.

— თხა კი არა ძროხა არის, ორ მანეთად ძროხას ვინ მოგცემსო!—მიუგო ბიჭმა და ამასაც გაშორდა.

დაედევნა მესამე ვაჭარი და ახლა დაუძახა:

— რას ახეტიალებ ამ ციკანს, მომყიდე, მანეთს მოგცემო.

— ციკანი კი არ არის, ძროხაა, მანეთად ვინ მოგცემს ძროხას, სამ მანეთადაც არ გავყიდიო!—უპასუხა ბიჭმა.

ბიჭმა იფიქრა: ვაი თუ ის მუშტარიც დავკარგო, სამი მანეთი რომ მაძლია ძროხაში და სხვებმა ათი შაური ან აბაზი შემაძლიონო, აატარა ისევ პირველ ვაჭართან და სამ მანეთად მიჰყიდა ძროხა.

დაბრუნდა ბიჭი შინ. მშობლები ძალიან შეწუხდნენ, რომ ძროხაში მხოლოდ სამი მანეთი აიღო, მაგრამ რას იზამდნენ.

იფიქრა, იფიქრა ბიჭის მამამ და გადაწყვიტა, რადაც არ დასჯდომოდა ვაჭრები შინ მიეპატიჟნა. იშოვა ფული, გააკეთა ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი, ამოთხარა სამ ადგილას ორმო, ჩადგა საჭმელი შიგ და მიწა წააფარა.

მოიწვია ვაჭრები, გაშალა სუფრა; დაჰკრა ერთ ორმოს ბარი,—ამოიღო საჭმელი; დაჰკრა მეორეს—ამოიღო საჭმელი; დაჰკრა მესამეს—კიდევ ამოიღო საჭმელი.

ვაჭრები ხარბად შეექცეოდნენ ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს, თანაც უკვირდათ, ასეთი გემრიელი საჭმელები საიდან ჩნდება მიწაშიო.

— ეს თილისმიანი ბარია; როცა მინდა, დავკრავ მიწას და ამოვა საჭმელებიო,—უთხრა მასპინძელმა ვაჭრებს.

ვაჭრებს მოეწონათ ბარი და შეევაჭრნენ.

— ჩვენ მოგვყიდე, რამდენსაც გინდა მოგცემთო.

მასპინძელი ჯერ ვერ იმეტებდა ბარს გასაყიდად, ბოლოს ათ თუმნად მიჰყიდა.

წაიღეს ვაჭრებმა ბარი და ერთი-მეორეში ჩხუბი მოუვიდათ: არა ჩემი უნდა იყოს, არა ჩემიო. ბოლოს ოოგორც იყო მორიგდნენ, რიგ-რიგობით უნდა ეხმარათ ბარი,

მიიტანეს შინ ბარი, დაჰკრეს მიწას, მაგრამ საჭმელი არ აღმოჩნდა. დაჰკრეს მეორე ალაგას, მესამეს, ბოლოს სულ გადაბარეს მთელი კარმიდამო, მაგრამ საჭმელი არ გაჩნდა.

მიხვდნენ, რომ მოატყუა ღარიბმა კაცმა და წავიდნენ მასთან საჩხუბრად.

კაცმა წინასწარ იყიდა ორი კურდღელი. ერთი ცოლს დაუტოვა სახლში და უთხრა:

— საჭმელი დაამზადე, სუფრა გაშალე, სადილი მზად გქონდესო. ვაჭრები თუ მოვიდნენ, ჩემთან გამოგზავნე მინდორშიო.

წაიყვანა მეორე კურდღელი და წავიდა მინდორში.

მოვარდნენ ყვირილით გაბრაზებული ვაჭრები. ცოლმა ისინი მინდორში გაგზავნა ქმართან,

ვაჭრებმა ჩხუბი და ყვირილი დაუწყეს კაცს:

— რად მოგვატყუე ბარი თილისმიანიაო, კარმიდამო გადავთხარეთ და საჭმელები არ გაჩნდაო.

კაცმა თავი იმართლა:

— თქვენ გდომებიათ ბარი ყოველდღე გაძლევდეთ საჭმელს, ის კი კვირაში ან თვეში ერთხელ აჩენს საჭმელსო.

ვაჭრებმა დაიჯერეს.

კაცმა ისევ თავისთან მიიწვია ვაჭრები, გაუშვა კურდღელი და დაუბარა:

— ჩემ ცოლს უთხარი, სტუმრები მომყავს და სუფრა გაშალეთქო.

კურდღელმა მოუსვა და ვინ იცის საით გაკურცხლა.

მივიდა კაცი შინ, მიიყვანა ვაჭრებიც. სუფრა გაშლილი დაუხვდათ.

ვაჭრები განცვიფრდნენ კურდღელის განიერებაზე და სთხოვეს კაცს, კურდღელი მოგვყიდეო.

კაცი ჯერ თითქოს უარზე იყო, არ უნდოდა კურდღლის გაყიდვა. ბოლოს მორიგდნენ, და ათ თუმნად გაყიდა კურდღელი.

წაიყვანეს ვაჭრებმა კურდღელი. გზადაგზა სტუმრები დაპატიჟეს. გაუშვეს კურდღელი და დააბარეს:

— აბა, კურდღელო, გასწი ჩვენს ცოლებს უთხარი: სტუმრები მოგვყავს და სუფრა გაშლილი დაგვახვედრეთქო.

კურდღელმა გაჰკურცხლა.

მივიდნენ შინ—არც სუფრაა გაშლილი და არც კურდღელია.

ცოლებს ჰკითხეს:

— სუფრა რად არ გაშალეთ, კურდღელი სად არის, რომ გამოგიგზავნეთო?

— რა კურდღელი,—რას ამბობთ, ჩვენთვის კურდღელი არავის მოუყვანია,—გაიკვირვეს ქალებმა.

ვაჭრებს შერცხვათ სტუმრებისა: გზადაგზა სულ კურდღლის გონიერებზე და გაწვოთნაზე იკვეხიდნენ.

დამუქრებულები წავიდნენ ისევ კაცთან.

კაცმა წინასწარ გააკეთა სტვირი. ცოლს ყელზე სისხლით სავნე ნაწლავი შემოახვია და დაარიგა:

— ვაჭრები ისევ მოვლენ, მე სტვირს დავუკრავ, შენ ამღერე; მე დანას გაგისვამ ყელში, ნაწლავს გავჭრი, სისხლი გადმოგივა; შენ წაიქეცი და თავი მოიმკვდარუნეო; ერთხან სამგლოვიარო ხმაზე დავუკრავ, შემდეგ—სამხიარულოზე, შენ წამოხტი და ცეკვა დაიწყეო.

გაათავა დარიგება თუ არა, ვაჭრები ჩხუბით, აყალმაყალით მოადგნენ კარებს.

— კაცი ისევ თავის მართლებას მოყვა:

— თქვენ ალბათ შორს გაუშვით კურდღელი, ჯერ უნდა მოგეშინაურებიათ, რა იცოდა კურდღელმა თქვენი სახლი, სხვასთან მივიდოდა.

ვაჭრებმა ესეც დაიჯერეს.

ცოლ-ქმარმა გაშალა სუფრა. ვაჭრები მიიწვიეს. მასპინძელმა დაუკრა სტვირი, ცოლმა დაამღერა. კაცი გაუჯავრდა ცოლს, კარგად არ ამღერიო, მივარდა გამოუსვა დანა ყელში, სისხლის ღვარი წავიდა, ქალი დავარდა ძირს, მოკვდა. კაცმა დაუკრა სამგლოვიარო, შემდეგ სამხიარულო დაუკრა, ქალი წამოხტა, ცეკვავდა; ხტოდა.

ვაჭრები კინალამ გააგიჟა ამ ამბავმა.

დაუწყეს ხვეწნა-მუდარა კაცს:

— კურდღელი დავკარგეთ, სტვირი მაინც მოგვყიდეო.

მასპინძელი ჯერ თითქოს ვერ იმეტებდა სტვირს გასასყიდად, ბოლოს მიჰყიდა კარგ ფასად.

წაიღეს ვაჭრებმა სტვირი სახლში, მიიწვიეს სტუმრები, დაუკრეს სტვირი, დაამღერეს ცოლებმა. ვაჭრებს გული მოუვიდათ, რატომ კარგად არ მღერითო, მივარდნენ ცოლებს, გამოჭრეს დანით ყელები; ქალები უსულოდ დაეცნენ ძირს. დაუკრეს ვაჭრებმა სამგლოვიარო, შემდეგ სალხინო, მაგრამ ქალები არ ინძრეოდნენ.

ვაჭრებს ეშვი შეეპარათ, ასულიერეს ქალები, მაგრამ მკვდრებს რა გააცოცხლებდა! შექნეს ტირილი, თავში ცემა. დაწნეს გოდორი, მიიტანეს კაცთან ლანძღვა-გინებით, ცოლები რად დაგვახოცინეო. აიყვანეს კაცი, ჩასვეს გოდორში, გადაუხლართეს თავი, და წამოკიდეს ზურგზე და წავიდნენ მთისაკენ: უნდოდათ კლდეში გადაეჩეხათ.

გავიდნენ მინდორში, წყალი მოსწყურდათ. დადგეს გოდორი მინდორში და წავიდნენ წყლის საძებრად.

კაცმა დაიწყო გოდორში ბუტბუტი:

— არ წავალ, არ მინდა, არ მინდა!

ამ დროს მინდორზე მეცხვარე ცხვრის ფარას მორეკავდა. დაინახა, გოდორი ინძრევა, მივიდა ახლოს, გაიგონა გოდრიდან კაცის ბუტბუტი.

— ვინა ხარ გოდორში, ან რას ბურტყუნებ?—ჰკითხა მეცხვარემ.

— როგორ თუ რას ვბურტყუნებ, ჩამაცივდნენ, გინდა თუ არა ხელმწიფის ქალი შეირთეო. რად მინდა ხელმწიფის ქალი, რა ჩემი საქმეა ხელმწიფის სიძე გავხდეო,— მიუგო გოდრიდან კაცმა.

— ამოგიყვან, ეს ცხვრის ფარა შენი იყოს, გოდორში მე ჩავჯდები, ხელმწიფის ქალსაც მე შევირთავ,—უთხრა მეცხვარემ.

— კარგი, გადაუხსენ გოდორს თავი,—ამოსძახა კაცმა.

ამოვიდა გოდრიდან გლეხი, მის მაგივრად გოდორში მეცხვარე ჩაჯდა. გადაუხლართა თავი გოდორს გლეხმა, გაირეკა ცხვარი და წავიდა.

ვაჭრები დაბრუნდნენ წყაროდან, წამოიკიდეს გოდორი, აიტანეს კლდეზე და დაბლა გადაუძახეს. არხეინად წამოვიდნენ უკან, ჯავრი ამოვიყარეთო.

მოდიან და წინ შეხვდათ გლეხი, ცხვრის ფარას მოირეკავს.

ვაჭრები განცვიფრდნენ და ჰკითხეს;—ისეთი მაღალი კლდიდან გადავაგდეთ და ცოცხალი როგორ გადარჩა, ან ამდენი ცხვარი სად იშოვეო?

— თქვენ გეგონათ მოვკვდებოდი? დაბლა სულ ლამაზი მინდვრებია და ფარა და ფარა ცხვარი დადის, აი ეს ცხვარი იქიდან წამოვასხიო,—უთხრა კაცმა.

ვაჭრებმა სთხოვეს:

— რადგან ეგრე ყოფილა, გოდორი დაგვიწანი, ჩვენ შიგ ჩავჯდებით და იმ კლდიდან გადაგვაგდეო.

გლეხსაც ეს უნდოდა, თითონ ვაჭრებს დააწნევინა დიდი გოდორი, აატანინა კლდეზე; ვაჭრები ჩასხდნენ გოდორში, გლეხმა გადაუხლართა კარგად თავი, კრა ხელი, გადაუძახა უფსკრულში და მიაძახა:

— კიდევ გაყვლეფთ და მოატყუებთ ხალხს?

გამორეკა ცხვრის ფარა და წამოვიდა შინისაკენ; თავის მაგიერ დალუპული მეცხვარე ენანებოდა, მაგრამ იმის ცოდვას ვაჭრებს ახვევდა თავს.

ღარიბი კაცი და სოვდაგარი

ყო ძალიან ღარიბი კაცი, ჰყავდა ძალიან ლამაზი ცოლი და ორი ვაჟი.

ქვეყანაზე საცხოვრებლად არა გააჩნდათ რა.

კაცი დღეში თითო გუდურა შეშას მოჭრიდა, გაყიდდა და იოლად მიდიოდნენ.

ერთხელ ცოლმა უთხრა:

— კაცო, შვილები წამოგვეზარდნენ, ტყეში დავსახლდეთ. ჩვენც ხელს წაგახმარებთ, შეშის მოჭრას გიშველითო.

კაცმა მოიწონა ცოლის რჩევა. წამოიკიდეს ძველ-ძველები; ჩადგეს ქოხი ტყის პირში და დასახლდნენ.

კაცი სანამ ერთ გუდურა შეშას გაყიდდა, მეორე გუდურაც მზად იყო. ცოტა უკეთ დაიწყეს ცხოვრება.

ერთ საღამოთი სოვდაგარი დასაპანებული ჯორ-აქლემებით ტყის ახლო მინდორში ღამის გასათევად დაბინავდა. მოჰკრა თვალი ქალს, მოეწონა. მოიფიქრა ქალის მოტყუებით გატაცება.

ღამე რომ კარგად გატყდა, ბიჭი მიგზავნა ქოხში:

— ქალს მუცელი გვიტკივა და თუ მანდილოსანი გყავთ, ღვთის გულისთვის მოხედოსო.

ქალი არ მიდიოდა, არ გვატყუებდნენო. ქმარი არ მოეშვა, გაგზავნა:

— რად მოგვატყუებენ, რა ჯავრი სჭირთ ჩვენიო.

სოვდაგარმა მაშინვე ჩასვა ქალი ყუთში, დაკეტა, წამოჰკიდა აქლემს და ალხეინად გაემგზავრნენ.

დილით ქალი რომ აღარ დაბრუნდა შინ, ქმარი ხან აქეთ ეცა, ხან იქით. ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. მოჰკიდა შვილებს ხელი და წავიდა უგზოკვალოდ. ტირილ-ღრიალით მიადგა ერთ მდინარეს. წყალი დიდი იყო. იფიქრა:—ჯერ ერთს გავიყვან, მერე მეორესაო. უფროსი შვილი ნაპირზე დატოვა, უმცროსი აიყვანა ხელში, შევიდა წყალში. კაცი ფიქრებში წავიდა, გაუშვა ხელი. ბავშვი წყალში ჩაუვვარდა. სდია, სდია, ვერ დაიჭირა ბავშვი.

გამობრუნდა—ეს ხელიდან წამივიდა, ის მაინც გამოვიყვანო მშვიდობითაო.

მიატანა ნაპირს, მივარდა მგელი, დაავლო ბავშვს პირი, გაიტაცა დაიწყო კაცმა თავში ცემა, ტირილი:

— ვაიმე, ცოლო, ვაიმე, სიღარიბით გაზრდილო შვილებო, მოგიკვდეთ მამა, სად მოგნახოთ, სადღა გიპოვნით, მგლის შეჭმულებო, წყალში დამხრჩვალებო!!

მიადგა დუქანს. მედუქნეს ჰკითხა:—მოჯამაგირე ხომ არ გინდა, დამიყენეო.

მედუქნემ უთხრა:—გოდრის დაწვნა თუ იცი, დაგიყენებო.

კაცმა უთხრა:—შე დალოცვილო, სოფლელ კაცს გოდრის დაწვნა როგორ არ მეცოდინებაო?

— მაშ შენი სიგრძე დაწანი,—უთხრა მედუქნემ.

დაწნა კაცმა გოდორი.

მედუქნემ უთხრა:—აბა ჩაჯექი, როგორ მოგივაო.

კაცი ჩახტა. მედუქნემ სწრაფად გადაუხლართა თავი და, წამოიკიდა ზურგზე, სირბილით აიტანა მთის წვერზე. თუმცა მთის წვერზე არწივი ბუდობდა და ვინც ადამიანს მოუყვანდა, სასყიდელს კარგს აძლევდა.

მედუქნემ დადგა გოდორი და უთხრა:—იცოდე თუ გაჩერდები, არწივი შეგჭამს, თუ გაანძრევ გოდორს, დაგორდება და ადიდებული წყალში ჩავარდები.

კაცმა იფიქრა:—არწივის შეჭმას ისევ წყალში დავიხ-ჩოო. შეინძრა, დაგორდა გოდორი, კაცი შიგ ხელებს აფათურებდა; ცდილობდა გოდორი როგორმე დაემტვრია.

კალათი ოღრო-ჩოღრო ქვა-გორახებზე იმტვრეოდა. დაიშალა. კაცი გამოვიდა.

— ეჰ, ამ სიალალმართლემაც კეთილი არ დამაყარაო.

შეხვდა მისებრ საწყალი კაცი. ტანისამოსი შეიცვალა, წვერი მოიპარსა, მივიდა მედუქნესთან და ჰკითხა.

— მოჯამაგირედ მინდა დავდგე და ხომ არ დამიყენებო?

— დაგიყენებ, თუ კალათის დაწვნა იციო,—უთხრა მედუქნემ.

— როგორი კალათიც გნებავდეს: დავწნავო—მიუგო კაცმა.

— მაშ შენი სიგრძე გოდორი დასწანიო,—უთხრა მედუქნემ.

გოდრის დაწვნა გაათავა.

მედუქნემ უთხრა:—აბა ჩაჯექ, როგორ მოთავსდებიო.

— ჯერ შენ ჩაჯექი, დაგინახო, რომ მეც ისე ჩავჯდეო.

ჩაჯდა მედუქნე. კაცმა გადაუხლართა თავი, წამოიკიდა, სულ სირბილით აიტანა მთის წვერზე, დატოვა იქ და არხეინად ჩამოვიდა. დაიწყო დუქანში ვაჭრობა.

ერთხელ ორი ბიჭი მივიდა მედუქნესთან და სთხოვეს—ბიჭებად აგვიყვანეო.

მედუქნემ აიყვანა.

ერთ დილით ერთი სოვდაგარი მივიდა დუქანში, მოითხოვა სასმელ-საჭმელი და ბიჭები, დუქნის ახლოს ჩამოხადა ჯორ-აქლემიდან საპალნე, ბიჭები დაუყენა და თითონ დუქანში შევიდა დასასვენებლად.

ბიჭები ჩამოსხდნენ ერთ ყუთზე.

ერთმა თქვა:

— ერთად ვართ ორივე ამდენი ხანია და ჯერ არა ვიცით რა ერთმანეთისა, ვინა ვართ, სადაურიო.

ერთმა დაიწყო თავგადასავალი:

— მამაჩემი ძალიან ღატაკი იყო. დღეში თითო გუდურა შეშის ფასით გვაცხოვრებდა ცოლ-შვილს; ორი ვაჟი ვყვანდით; ჩვენ რომ წამოვიზარდენით, დედაჩვენმა უთხრა მამაჩვენს:

— ტყეში დავსახლდეთ, ჩვენც მოგეხმარებით შეშა ფიჩხის მოჭრაში და ღმერთი გვიშველისო. ავაშენეთ ქოხი, ტყის ნაპირას დავდექით. დღეში თითო გუდურა შეშას თითოს კიდევ ვუმატებდით და წინათ თუ ნახევარზე მშივრები ვიყავით, ახლა მუცელს ვიძღობდით. ერთ საღამოთი ვიღაც მგზავრები დადგნენ ჩვენი ქოხის შორიახლო. შუალამისას დედაჩვენი წაიყვანეს: ქალს მუცელი გვიტკივა და უშველეო. დედაჩემი წაიყვანეს. ის იყო და ის, დაიკარგა, სად წაიყვანეს და სად არა, ველარა გავიგეთ რა. მამაჩემი ველარ დადგა სახლში, ტირილით დაგვიჭირა ხელი შვილებს და წაგვიყვანა. ერთგან წყალი დაგვხვდა გასასვლელი. ჩემი უფროსი ძმა ნაპირზე დასვა, ორივეს ერთად ვერ გაგიყვანთო. მე ამიყვანა, ჯერ მე უნდა გავეყვანე, მერე ჩემი ძმა. მამაჩემს ხელი გაეშვა, წყალში ჩაუვარდი. ტირილით მდია, ველარ მომეწია. მატარა, მატარა წყალმა და წისქვილის სათავესთან მიმიყვანა. მეწისქვილემ ამომიყვანა, აქამდის ვიყავ, მაცხოვრებდა, ახლა ამ მედუქნესთან დავდექო.

მეორე ბიჭი გადაეხვია:

— მე ვარ შენი ძმა, მეც მგელმა მომიტაცა, სანამ მამაჩემი ამიყვანდა, მაგრამ მონადირემ გამოგლიჯა მგელს ჩემი თავი და აი, როგორც ხედავ, მეც მედუქნესთან დავდექო.

ყუთიდან ხმა გაისმა:

— თქვენ გენაცვალოთ, შვილო, დედა, ჩქარა ამოგიყვანეთო.

ბიჭებმა ყუთს მტვრევა დაუწყეს.

სოვდაგარს შეესმა რახუნი, მტვრევა და გამოვარდა. მედუქნეც გამოჰყვა. დაუწყეს ლანძღვა ბიჭებს.

ბიჭებმა უთხრეს:

— დედაჩვენი ზის ყუთში, სოვდაგარმა მოგვტაცაო.

იცნო მედუქნემ, რომ მისი ცოლი იყო, შვილებიც გამოემცნაურნენ მამას, უამბეს თავიანთი თავგადასავალი, მეწისქვილემ როგორ გადაარჩინა დახრჩობას, მგელს მეცხვარემ როგორ გამოსტაცა.

მოეხვივნენ ერთმანეთს.

სოვდაგარი გაიპარა და იმისი იმოდენა სიმდიდრე, ფარჩეულობა, ჯორ-აქლემები სულ მათ დარჩათ და დაიწყეს ტკბილი, ბედნიერი ცხოვრება.

პ/მგ. რედაქტორი მ. ჩიქოვანი
გადაეცა წარმოებას 26/III—37 წ.
ხელმოწ. დასაბეჭდად 20/V—37 წ.
ქაღ. ზომა 70 x 105

ანაწყობის ზომა $6^1/_2$ x $10^1/_2$
მთავლიტი № 1929
შეკვეთა № 314
ტირაჟი 7000

ხაჭბიომეედგამის ხტამბა, ა.ა. წერეთლის ქ. № 3/5.